

ნინო თევდორაძე

Nino Tevdoradze

ენათმეცნიერების შესავალი

Introduction to Linguistics

თბილისი 2016

Tbilisi 2016

ნინო თევდორაძე

Nino Tevdoradze

„ენათმეცნიერების შესავალი“ განკუთვნილია ინგლისური ენის ფილოლოგიის ბაკალავრიატის საფეხურის სტუდენტებისათვის და მიზნად ისახავს მათთვის თანამედროვე ლინგვისტიკის თეორიის და მისი კვლევის მეთოდოლოგიის საფუძვლების გაცნობას. იგი მათ დაეხმარება შეიძინონ როგორც სისტემური, ასევე კომუნიკაციაზე ორიენტირებული ლინგვისტური დარგების ცოდნა, რასაც შემდგომში უნდა დაეფუძნოს ყველა ენათმეცნიერული დისციპლინის შესწავლა. წიგნი, ასევე, დახმარებას გაუწევს ნებისმიერ ფილოლოგიური პროფილის სტუდენტს და ენათმეცნიერების საკითხებით დაინტერესებულ მკითხველს.

რედაქტორი: პროფ. გურამ ლებანიძე

Editor: Prof. Guram Lebanidze

სარჩევი

ლექცია 1

ლინგვისტიკა როგორც ჰუმანიტარული მეცნიერება
თანამედროვე ენათმეცნიერების პრობლემატიკა და მისი ძირითადი ცნებები
ენის სემიოტიკური პარადიგმა

ლექცია 2

ენობრივი ნიშანი: მისი ფუნქცია და სტრუქტურა
თანამედროვე ლინგვისტიკის სისტემური, კომუნიკაციური და
ლინგვოკულტუროლოგიური პარადიგმები

ლექცია 3

ენობრივი სისტემის დონეობრივი სტრუქტურა: დონეები და მისი ერთეულები
პარადიგმატული და სინტაგმატური მიმართებები ენობრივ სისტემაში

ლექცია 4

ენობრივი დონეები და მათი შესაბამისი ლინგვისტური დარგები
ლინგვისტური იმანენტიზმი და მისი ორი ეტაპი

ლექცია 5

კომუნიკაციური პარადიგმა: დისკურსი და ტექსტი როგორც ამ პარადიგმის
ძირითადი ცნებები
დისკურსის სტრუქტურა
ინტერსუბიექტურობა როგორც დისკურსის ძირითადი პრინციპი

ლექცია 6

ტექსტი როგორც ლინგვისტური ცნება და ტექსტის ლინგვისტური თეორია
ტექსტის ფუნქციური და სტრუქტურული ასპექტები

ლექცია 7

ენობრივი სისტემის ფონოლოგიური დონე: ფონემა როგორც ფონოლოგიური დონის
ძირითადი ერთეული

ლექცია 8

ფონოლოგია და ფონეტიკა
ბგერათა დახასიათება მათი ფუნქციის და ჟღერადობის მიხედვით
ფონოლოგიური ოპოზიციის ტიპები
ფონოლოგიური სისტემები: თანხმოვანთა და ხმოვანთა სისტემები

ლექცია 9

ენობრივი სისტემის მორფოლოგიური დონე: მორფემა როგორც მორფოლოგიური დონის ძირითადი ერთეული

ლექცია 10 ენობრივი სისტემის მორფოლოგიური დონე და მისი შიდა დონეებრივი სტრუქტურა

მორფემა და სიტყვა როგორც ამ დონის ენობრივი ერთეულები

ლექცია 11

ენობრივი სისტემის ლექსიკური დონე: სიტყვა (ლექსემა) როგორც ლექსიკური დონის ძირითადი ერთეული

სიტყვის სემანტიკური სტრუქტურა

სიტყვის მნიშვნელობის კომპონენტური ანალიზი

სიტყვის სიგნიფიკაციური, დენოტაციური და კონოტაციური მნიშვნელობა

ლექსიკური ნომინაცია

ველის ცნება და ლექსიკურ-სემანტიკური ველი

ლექცია 12

სიტყვათა სემანტიკური მიმართებები: სინონიმია, ანტონიმია, პოლისემია

ლექცია 13

ენობრივი სისტემის სინტაქსური დონე: წინადადება როგორც სინტაქსური დონის ძირითადი ერთეული

ლექცია 1

ლინგვისტიკა როგორც ჰუმანიტარული მეცნიერება თანამედროვე ენათმეცნიერების პრობლემატიკა და მისი ძირითადი ცნებები ენის სემიოტიკური პარადიგმა

სანამ შევუდგებოდეთ ენათმეცნიერების როგორც ერთ-ერთი სამეცნიერო დისციპლინის შესწავლას, თავდაპირველად გავერკვეთ იმაში, თუ რა არის ზოგადად მეცნიერება.

ყოველი მეცნიერული დისციპლინა გამოიყოფა სინამდვილის რომელიმე ასპექტის (მხარის) აღქმისა და კვლევის პროცესში. ამ შემთხვევაში, მნიშვნელოვანია მითითება იმაზე, თუ რას გულისხმობს სინამდვილე. სინამდვილედ შეიძლება მივიჩნიოთ ყოველივე ის, რაც არის ჩვენში და ჩვენს გარშემო. მიუხედავად იმისა, რომ სინამდვილე თავისთავად მოიცავს მრავალ ასპექტს, საბოლოო ჯამში, ყველა მათგანი თავს იყრის ორ ძირითად სფეროდ - ადამიანი და ბუნება (სამყარო), ანუ სინამდვილე წარმოდგენილია დიქოტომიურად (ბერძნ. *dichotomia* - *dicha* „ორ ნაწილად“ *tome* „გახლეჩა“). თანამედროვე აზროვნებაში ტერმინი „დიქოტომია“ გამოიყენება მაშინ, როცა სინამდვილე, ან მისი რომელიმე მხარე, დანახულია ორი ნაწილისაგან შემდგარად (მაგ. ქალი და მამაკაცი, დღე და ღამე და ა.შ.).

სინამდვილის ორივე სფერო - ადამიანი და ბუნება (სამყარო) თავის თავში მრავალ ასპექტს მოიცავს, რომელთა აღქმისა და კვლევის პროცესში გამოიყოფა სხვადასხვა მეცნიერული დისციპლინები. ამ მეცნიერულ დისციპლინათა ერთობლიობაც იყოფა ორ ძირითად ჯგუფად: საბუნებისმეტყველო მეცნიერებები და ჰუმანიტარული მეცნიერებები. საბუნებისმეტყველო მეცნიერებები შეისწავლიან ცოცხალ ან არაცოცხალ ბუნებას, როგორცაა, მაგალითად, ქიმია, ფიზიკა, ბიოლოგია და ა.შ. ჰუმანიტარული მეცნიერებები სწავლობენ ადამიანური სინამდვილის ამა თუ იმ ასპექტს. მაგალითად, ფსიქოლოგია შეისწავლის ადამიანის ფსიქიკას, ისტორია - ადამიანის არსებობას ისტორიულ დროში, ლიტერატურათმცოდნეობა - ადამიანის შემოქმედების ისეთ სახეობას, როგორცაა მხატვრული ლიტერატურა და ა.შ.

მაშასადამე, როგორც საბუნებისმეტყველო, ისე ჰუმანიტარული მეცნიერებები, აღქმისა და კვლევის პროცესში სწავლობენ სინამდვილის რომელიმე ასპექტს (ქიმია სწავლობს ნივთიერებათა ქიმიურ შემადგენლობას, ფსიქოლოგია იკვლევს ფსიქიკას და ა.შ.). გამონაკლისს წარმოადგენენ ისეთი მეცნიერებები, როგორცაა ღმრთისმეტყველება და ფილოსოფია, რადგან ისინი იკვლევენ არა სინამდვილის რომელიმე ასპექტს, არამედ სინამდვილეს მის მთლიანობაში. ფილოსოფია სინამდვილეს მის მთლიანობაში აღიქვამს და იკვლევს იმაზე დაყრდნობით, რასაც ადამიანის გონება ჰქვია იმდენად, რამდენადაც ეს გონება შეიძლება

დამოუკიდებლად მოქმედებდეს. ღმრთისმეტყველება კი იგივე სინამდვილეს აღიქვამს და იკვლევს გამოცხადებაზე დაყრდნობით.

როდესაც ვამბობთ, რომ არსებობს სინამდვილის ორი სფერო - ადამიანი და ბუნება, ამგვარი გაყოფა და დაცალკევება არ ნიშნავს, რომ ადამიანი და ბუნება ცალ-ცალკეა. ბუნება თავის თავში მოიცავს ცოცხალ და არაცოცხალ ბუნებას - ცოცხალი ბუნება მოიცავს არაცოცხალ ბუნებას - ადამიანი კი თავის თავში ატარებს ბუნებას. რელიგიური (მაგალითად, ქრისტიანული სწავლების მიხედვით), არსებობს სინამდვილის ისეთი დონე, რომელიც ადამიანს აღემატება. ამგვარი ურთიერთმიმართებები ცხადი ხდება სინამდვილის ვერტიკალური ხედვისას და იგი უპირისპირდება იმგვარ ხედვას, როდესაც ბუნებისა და ადამიანის უშუალო დაკავშირება გულისხმობს ჰორიზონტალურ განლაგებას.

ამდენად, შეიძლება ითქვას, რომ მთელი სინამდვილე და სინამდვილის ნებისმიერი მონაკვეთი შეიძლება აღქმული (დანახული) იქნას ორნაირად - **ჰორიზონტალურად და ვერტიკალურად**. ჰორიზონტალური ხედვის ორი სფერო - ადამიანი და ბუნება - შეიძლება დავინახოთ ვერტიკალის ფარგლებშიც - **იერარქიულ-დონეებრივად**. „იერარქია“ (ბერძნ. *hierarkhes*) ორი ნაწილისაგან შედგება - *hier* ნიშნავს „საკრალურს“ („არაამქვეყნიურს“), ხოლო *arkhes* ნიშნავს „მმართველობას“. ამ სიტყვამ დაკარგა ეს მნიშვნელობა და დღეს „იერარქია“ ნიშნავს ისეთ სისტემას, სადაც მასში შემავალი ყოველი მომდევნო ელემენტი თავის თავში მოიცავს წინა ელემენტის თვისებებს და ამავე დროს, აღემატება მას (მაგალითად, გავიხსენოთ სახელმწიფო სტრუქტურის იერარქია, ზეციური იერარქია და ა.შ.).

სწორედ ასეთივე იერარქია აქვს ენას - ყოველი დონე მის იერარქიაში წარმოდგენილია ერთეულით, რომელიც მოიცავს წინა ერთეულის თვისებას და ამავე დროს, აღემატება მას. ამ საკითხს, ცხადია, შესაბამის დროს დავუბრუნდებით ჩვენი სალექციო კურსის ფარგლებში.

მეცნიერული დისციპლინების ერთობლიობაში გამოყოფილი ორი ჯგუფიდან, ენათმეცნიერება შეიძლება მივაკუთვნოთ ჰუმანიტარულ მეცნიერებებს - იგი არის ადამიანური სინამდვილის ისეთი ასპექტის შემსწავლელი ჰუმანიტარული მეცნიერება, როგორცაა ენა.

ენა ძველი წელთაღრიცხვიდან მოყოლებული მუდამ იყო ფილოსოფოსებისა და ღმრთისმეტყველების განსაკუთრებული ინტერესის საგანი. მაგრამ ენის შემსწავლელი მეცნიერება - ენათმეცნიერება - ჩაისახა მე-19 საუკუნეში, ხოლო თანამედროვე სახით ენათმეცნიერება არსებობს მე-20 საუკუნის დასაწყისიდან.

ნებისმიერი მეცნიერება თავის საგანს გამოყოფს და იკვლევს ორი თვალსაზრისით - **თეორიული და მეთოდოლოგიური**. რას ნიშნავს თეორიული და მეთოდოლოგიური

ასპექტები? სიტყვა „თეორია“ (*theoria* ბერძნ.) ნიშნავს „ხედვას.“ იგი არის თვალსაზრისების ერთობლიობა, რომელთაც უნდა ასახონ შესასწავლი ობიექტი. რას შეიძლება ნიშნავდეს თეორია ენასთან მიმართებაში? ცხადია, იმის დანახვას და თქმას, თუ რას წარმოადგენს ენა - როგორია მისი ბუნება, არსი და ა.შ. სიტყვა „მეთოდოლოგია“ (*methodologia* ბერძნ.) კი შედგება ორი ნაწილისაგან - „მეთოდი“ (*methodos* ბერძნ.) ნიშნავს „გზას“, ხოლო „ლოგია“ (*logia*), ისე როგორც მთელ რიგ მეცნიერებათა დასახელებებში („ბიოლოგია“, „გეოლოგია“, „არქეოლოგია“ და ა.შ.), ნიშნავს „მომღვრებას“, „სწავლებას“, „კვლევას“. თუმცა, თავდაპირველი მნიშვნელობით ეს ტერმინი დაკავშირებულია „*logos*“-თან (ბერძნ.), რაც „სიტყვას“ ნიშნავს. ამ ორი ასპექტიდან - **თეორიული** (როგორ ხედავს ესა თუ ის დისციპლინა თავის კვლევის ობიექტს) და **მეთოდოლოგიური** (როგორ იკვლევს თავის ობიექტს), ცხადია, გადამწყვეტია თეორიული ასპექტი, ვინაიდან როგორც ხედავს მეცნიერება თავის ობიექტს, იმის შესაბამისად იკვლევს მას.

ჩვენი კურსის მიზანი სწორედ თანამედროვე ენათმეცნიერების იმ თეორიის გაცნობაა, რომელსაც იგი აგებს იმისდა მიხედვით, თუ როგორ ხედავს თავის შესასწავლ ობიექტს.

ყოველი მეცნიერება არსებობს ისტორიულ დროში. ისტორიული დრო უნდა გავიგოთ როგორც ისტორიულ ეპოქათა მონაცვლეობა. რას ნიშნავს მეცნიერების ამგვარი (ისტორიული) არსებობა? იმას, რომ ყოველი მეცნიერული დისციპლინა, ისტორიულ დროში, ერთი მხრივ, ინარჩუნებს თავის საკვლევ ობიექტს, მეორე მხრივ კი, იცვლის ხედვას. მაგალითად, ენათმეცნიერების არსებობის მანძილზე, მისი საკვლევ ობიექტი მუდამ იყო ენა, მაგრამ ამ დროის განმავლობაში იცვლიდა თავის ხედვას (წარმოდგენას) ენის შესახებ.

სწორედ მეცნიერული დისციპლინის ამ ორმხრივი მდგომარეობის გამოსახატავად, თანამედროვე აზროვნებას აქვს ისეთი ცნება-ტერმინი, როგორცაა **„მეცნიერული პარადიგმა“**. ეს ის ცნებაა, რომელიც საერთო, ამოსავალი ცნებაა ყველა მეცნიერული დისციპლინასათვის და რომლის გარეშეც ვერ იარსებებდა ვერცერთი მეცნიერული დისციპლინა. ნებისმიერი მეცნიერული დისციპლინა არსებობს დინამიკურად - მუდმივად იმყოფება განვითარების პროცესში. ამ პროცესში იცვლება ხედვა (წარმოდგენა) საკუთარი კვლევის ობიექტზე. მეცნიერული პარადიგმა გვიჩვენებს ხედვის შეცვლას - თუ როგორ აღიქვამს ესა თუ ის მეცნიერება თავის საკვლევ ობიექტს თავისი ისტორიული არსებობის მოცემულ ეტაპზე. შესაბამისად, ჩვენ შეგვიძლია გამოვიყენოთ მეცნიერული პარადიგმა იმისათვის, რომ დავინახოთ თანამედროვე ენათმეცნიერების არსი, როგორც თეორიული, ისე მეთოდოლოგიური გაგებით.

ახლა შეგვიძლია კიდევ უფრო ზუსტად განვსაზღვროთ ჩვენი სალექციო კურსის მიზანი და პასუხი გავცეთ კითხვას: როგორია ენის თანამედროვე ლინგვისტური

თეორია და ენის კვლევის თანამედროვე მეთოდოლოგია? ამ მიზნის განხორციელებას, ცხადია, მთელი სალექციო კურსი დასჭირდება, მაგრამ დასაწყისშივე და ახლავე შეგვიძლია ვთქვათ, რომ ამ პასუხის გაცემისას იკვეთება ორი ფუძემდებლური ცნება-ტერმინი, რომელთა განმარტებას უაღრესად დიდი მნიშვნელობა უნდა მიეცეს, ესენია: „ენობრივი ნიშანი“ და „დექოტომია“.

ორივე ცნება ეფუძნება შვეიცარიელი ენათმეცნიერის ფ.დე სოსიურის მიერ შემუშავებულ თეორიას და მეთოდოლოგიას. თანამედროვე ენათმეცნიერება იწყება სწორედ სოსიურის კონცეფციით და ჩვენი კურსის ფარგლებში მას არაერთხელ დავუბრუნდებით.

თავდაპირველად, განვმარტოთ ნიშნის ცნება.

მთელ ნიშნობრივ სინამდვილეს სწავლობს სემიოტიკა (ბერძ, *semeion* ნიშნავს „ნიშანს“) - ზოგადად ნიშნის შემსწავლელი მეცნიერება.

რა კავშირია სემიოტიკასა და ლინგვისტიკას შორის?

ნიშნობრივ სისტემათა შესწავლას საფუძვლად ედება ფერდინანდ დე სოსიურის სწავლება ენის როგორც ნიშანთა სისტემის შესახებ. რამდენადაც თანამედროვე ენათმეცნიერებისათვის ფუძემდებლური მნიშვნელობა აქვს ნიშნის ცნებას, შესაბამისად, სრულიად ბუნებრივია ის განსაკუთრებული ადგილი, რომელიც თანამედროვე ლინგვისტიკას უკავია სემიოტიკის ფარგლებში - იგი ერთ-ერთ სემიოტიკურ დისციპლინას წარმოადგენს. ლინგვისტური სემიოტიკა, ანუ ენობრივი ნიშნის თეორია, სემიოტიკის (ანუ ზოგადად ნიშნის - მთელი ნიშნობრივი სინამდვილის შემსწავლელი მეცნიერების) უმნიშვნელოვანესი ნაწილია.

ჯერჯერობით განვმარტოთ არა ენობრივი ნიშნის, არამედ ზოგადად ნიშნის ცნება და დავახასიათოთ იგი მისი ფუნქციისა და სტრუქტურის მიხედვით.

ნიშანი არის ის საგანი თუ ქმედება, რომელიც მიუთითებს რომელიმე სხვა საგანსა და ქმედებაზე. ნიშანზე შეიძლება ვილაპარაკოთ ნებისმიერ ისეთ შემთხვევაში, როდესაც რაღაც მიუთითებს რაღაცაზე. მაგალითად, კვამლი მიგვითითებს იმაზე, რომ სადღაც ცეცხლია; შუქნიშნები ფეხით მოსიარულეებს მიგვითითებენ, როდის გადაკვეთოთ ქუჩა გზებზე, ხოლო მძღოლებს - როდის დაძრან ან გააჩერონ მანქანა; საგზაო ნიშნები მიგვითითებენ საგზაო წესების შესახებ. ამდენად, ნებისმიერი ნიშნის ფუნქცია არის მითითება.

როგორია ნიშნის სტრუქტურა? (ჯერჯერობით ჩვენ კვლავ ვლაპარაკობთ ნებისმიერ ნიშანზე და არა უშუალოდ ენობრივ ნიშანზე.) ნიშნის სტრუქტურა

შედგება ორი ნაწილისაგან - მას აქვს გამოხატვის პლანი და შინაარსის პლანი, ანუ ნებისმიერი ნიშნის სტრუქტურა გულისხმობს ფორმის და შინაარსის არსებობას.

ნიშნის სტრუქტურაში გამოიყოფა მისი განზომილებები - სინტაქტიკა, სემანტიკა და პრაგმატიკა.

სინტაქტიკა - ნიშნის მიმართება იმავე სისტემის სხვა ნიშანთან (ნიშნებთან) (მინიმუმ ორი ნიშანი უნდა გვექონდეს, მაგალითად, საგზაო ნიშნების ფერების მიმართება ერთმანეთთან);

სემანტიკა - ნიშნის მიმართება იმ რეალობასთან, რომელზეც ის მიუთითებს (მაგალითად, შუქნიშანი მიუთითებს საგზაო წესების შესახებ);

პრაგმატიკა - ნიშნის მიმართება იმ სუბიექტთან, რომელიც იყენებს მას (მაგალითად, მძღოლები იყენებენ შუქნიშანს იმისათვის, რომ მოწესრიგდეს საგზაო მოძრაობა. მაგრამ, ამავე დროს, შუქნიშანს იყენებს ფეხით მოსიარულე, როდესაც უნდა ქუჩა გადაკვეთოს; მას ასევე იყენებს პოლიციელი, რომელიც აწესრიგებს საგზაო წესების დაცვას. გარდა შუქნიშნის მიმართებისა თითოეულ მათგანთან, თავად მძღოლს, ფეხით მოსიარულესა და პოლიციელს შორისაც გვაქვს მიმართება (ურთიერთმიმართება). ამდენად, პრაგმატიკა გულისხმობს როგორც მიმართებას ნიშანსა და სუბიექტს შორის, ასევე მიმართებას თავად ნიშნის (ნიშანთა) ფუნქციის აღმქმელ სუბიექტებს შორის, რასაც ეწოდება „**ინტერსუბიექტურობა**“).

შევეცადოთ უფრო დეტალურად განვმარტოთ, თუ რას ნიშნავს ტერმინი „ინტერსუბიექტურობა“. როდესაც ვახსენებთ სიტყვა „სუბიექტს“, მაშინვე გვახსენდება მეორე სიტყვა - „ობიექტი“. სუბიექტად მოიაზრება ამა თუ იმ მიმართების აქტიური მხარე. მაგალითად, თუ ადამიანი იკვლევს სინამდვილის ამა თუ იმ ასპექტს, მაშინ ადამიანი არის სუბიექტი, ხოლო ხსენებული ასპექტი კი - ობიექტი. თუმცა, სუბიექტ-ობიექტის მიმართება შეიძლება გავიგოთ მეტად ფართოდ (მაგალითად, თუ ქალს უყვარს მამაკაცი, მაშინ ეს ქალი იქნება სუბიექტი, ხოლო მამაკაცი ობიექტი). ლათინური წარმოშობის ტერმინი *inter* კი ნიშნავს „შორის“. შესაბამისად, ტერმინი „ინტერსუბიექტურობა“ ნიშნავს იმას, რომ ორ ან ორზე მეტ სუბიექტს აქვთ მათთვის საერთო მნიშვნელოვანი ობიექტი, ისევე როგორც ზემოთ მოყვანილ მაგალითში, სადაც მძღოლს, ფეხით მოსიარულესა და პოლიციელს შორისაც არის ურთიერთმიმართება, რამდენადაც შუქნიშანი მათთვის საერთო და მნიშვნელოვანი ობიექტია.

გარდა იმისა, რომ ნიშანს აქვს ფუნქცია და სტრუქტურა, იგი შეიძლება ეკუთვნოდეს რომელიმე ჯგუფს (კლასს), ანუ შესაძლებელია ნიშნების კლასიფიკაცია. კლასიფიკაცია ნიშნავს ნიშანთა მთელი სიმრავლის ცალკე ჯგუფებად დაყოფას. პირველ რიგში, ამგვარ კლასიფიკაციასთან (ანუ ტიპოლოგიასთან) გვაქვს საქმე,


როდესაც გავმიჯნავთ ვერბალურ და არავერბალურ ნიშნებს. ტერმინი „ვერბალური“ მომდინარეობს ლათინური სიტყვისაგან *verbum*, რაც ნიშნავს „სიტყვას“ და ამავე დროს, „ზმნას“. „ვერბალური“ ნიშნავს ისეთ „სიტყვას“, რომელიც ამა თუ იმ ენის ფარგლებში არსებობს და სწორედ ამით განსხვავდება არავერბალური ნიშნისაგან, რომელიც არ არსებობს ენის ფარგლებში. არავერბალური ნიშნის ფუნქცია შეიძლება შეასრულოს ნებისმიერმა საგანმა, ან ჟესტმა (თავის გაქნევა, თვალის ჩაკვრა, გაღიმება და ა.შ.), მიმიკამ და ა.შ.

მაშასადამე, ნიშნები მათი კლასიფიკაციის, ანუ ტიპოლოგიის მიხედვით, შეიძლება დაიყოს ვერბალურ (ენობრივ) და არავერბალურ ნიშნებად.

ნებისმიერმა ნიშანმა შეიძლება შეასრულოს ისეთი ფუნქცია, რომელიც ყველასათვის ცნობილია, ანუ მისთვის ჩვეული ფუნქცია და ასევე ისეთიც, რომელიც მხოლოდ გარკვეულ სიტუაციაში (გარკვეულ კონტექსტში) შეიძლება შეასრულოს. პირველ შემთხვევაში, ნიშანი იქნება უზუალური (usual), ხოლო მეორეში - ოკაზიონალური (occasional). ამდენად, ნიშანთა ტიპოლოგიაში შეიძლება გამოვყოთ უზუალური და ოკაზიონალური ნიშნები.

ზემოთ ჩვენ უკვე აღვნიშნეთ, რომ ლინგვისტიკა არის სემიოტიკური დისციპლინა და იგი ენას იკვლევს როგორც ნიშნობრივ მოვლენას (ფენომენს). რას უნდა ნიშნავდეს მისი დიქოტომიური ხედვა?

სოსიურისათვის ენა არსებობდა როგორც ადამიანთა შორის ურთიერთობისათვის აუცილებელი და ადამიანის ფსიქიკაში არსებული საშუალება, ხოლო მეორე მხრივ, ამ საშუალების გამოყენება. ამდენად, სოსიურმა მოახდინა ენის (langage) დიქოტომია, ანუ გაყოფა (გამიჯვნა) ენად (langue) და მეტყველებად (parole).



მაგრამ სოსიურმა ენის საკუთარი სემიოტიკური პარადიგმა შექმნა მე-20 საუკუნის დასაწყისში. დღეისათვის, ენობრივი სინამდვილის ზემოთ წარმოდგენილი დიქოტომია - ენა და მეტყველება - აღიქმება როგორც ენობრივი სისტემა და მისი აქტუალიზაცია, ანუ გამოყენება. ენობრივი სისტემის აქტუალიზაციას (გამოყენებას) ეწოდება „დისკურსი“. „დისკურსი“ ფრანგულ ენაზე ნიშნავს „მეტყველებას“. მაგრამ მან, როგორც ლათინურ ენაზე წარმოშობილმა ტერმინმა, საყოველთაო მნიშვნელობა

შეიძინა, რის შესახებაც შემდეგში უფრო დეტალურად და საფუძვლიანად ვისაუბრებთ.

მაშასადამე, თუ სოსიურის მიხედვით, ენა არის სოციალური ფენომენი, რომელიც ენობრივი სოციუმის (კოლექტივის) ფსიქიკაში არსებობს სისტემის სახით (გარკვეული წესების - ფონეტიკური თუ გრამატიკული წესებისა და ლექსიკური შედგენილობის სახით) და ამ სისტემას ადამიანი იყენებს მეტყველებაში, თანამედროვე ლინგვისტიკაში ენა როგორც სისტემა არის ურთიერთობის ის საშუალება, რომელსაც ჩვენს ფსიქიკაში ვატარებთ და ამ სისტემის აქტუალიზაცია არის დისკურსი.

თანამედროვე ლინგვისტიკასთვის, რომელიც ეყრდნობა ენის სემიოტიკურ კონცეფციას და რომლის ცენტრალური თეზისი არის ის, რომ ენა ნიშანთა სისტემაა, ასევე და შეიძლება ითქვას, მოცემულ ეტაპზე უფრო მნიშვნელოვანიცაა ამ სისტემის აქტუალიზაციის, ანუ მისი გამოყენების კვლევა. **თანამედროვე ენათმეცნიერება ენას ხედავს როგორც ნიშნობრივ, ასევე როგორც დიქოტომიურად არსებულ ფენომენს.**

ამდენად, ჩვენ უკვე შეგვიძლია პასუხი გავცეთ (ცხადია, ამ პასუხს შემდეგი გაშლა დასჭირდება ჩვენი კურსის ფარგლებში) ჩვენს მიერ ზემოთ ფორმულირებულ კითხვას: როგორია ენათმეცნიერების მიერ თავის საკვლევი ობიექტის - ენის - ხედვის თანამედროვე პარადიგმა? **ენათმეცნიერების მიერ ენა გაგებულია როგორც დიქოტომიურად არსებული ნიშნობრივი ფენომენი.**

ვიმსჯელოთ შემდეგ საკითხებზე:

- 1.რა არის მეცნიერული დისციპლინა და როგორ შეისწავლის იგი თავის საგანს?
2. რატომ არის ენათმეცნიერება ჰუმანიტარული მეცნიერება?
3. განმარტეთ რას ნიშნავს ტერმინი „იერარქია“? რა ტიპის იერარქიებს იცნობთ?
- 4.განმარტეთ ტერმინი „მეცნიერული პარადიგმა“ და მისი მიმართება მეცნიერულ დისციპლინებთან.
- 5.რა განსხვავებაა მეცნიერული პარადიგმის ორ ასპექტს - თეორიულსა და მეთოდოლოგიურს - შორის?
- 6.რა არის ნიშანი? როგორია ნიშნის სტრუქტურა?
- 7.რა არის ნიშნის ფუნქცია? დაასახელეთ მაგალითები.

8. როგორი შეიძლება იყოს ნიშანი მისი ტიპოლოგიის (კლასიფიკაციის) მიხედვით? რითი განსხვავდება არავერბალური ნიშანი ვერბალურისაგან? დაასახელეთ არავერბალური ნიშნის მაგალითები.

9. რომელი მეცნიერება შეისწავლის მთელ ნიშნობრივ სინამდვილეს? რა კავშირი აქვს მას ენათმეცნიერებასთან? (როგორია მათ შორის ურთიერთმიმართება?)

10. რა განსხვავებაა ენასა და მეტყველებას შორის?

11. რომელმა ლინგვისტმა მოახდინა ენის დიქოტომიზაცია და რა გავლენა იქონია ამ ფაქტმა ლინგვისტურ აზროვნებაზე? რა არის დისკურსი?

1.2 როგორია თანამედროვე ენათმეცნიერების მიერ ენის ხედვის თანამედროვე პარადიგმა და რას ეფუძნება იგი?

ლექცია 2

ენობრივი ნიშანი: მისი ფუნქცია და სტრუქტურა

თანამედროვე ლინგვისტიკის სისტემური, კომუნიკაციური და ლინგვოკულტუროლოგიური პარადიგმები

ჩვენ გამოვყავით ნებისმიერი ნიშნისათვის დამახასიათებელი ნიშან-თვისებები - ვილაპარაკეთ ნიშნის ფუნქციაზე, ნიშნის სტრუქტურაზე და ნიშანთა კლასიფიკაციაზე (ნიშანთა ტიპოლოგიაზე). რადგან ეს თვისებები უნივერსალურია ნებისმიერი ნიშნისათვის, ბუნებრივია, ენობრივ ნიშანსაც უნდა ახასიათებდეს. მაგრამ რითი განსხვავდება ენობრივი ნიშანი სხვა დანარჩენი ნიშნებისაგან?

როგორც ვიცით, ნებისმიერი ნიშნის სტრუქტურა მოიცავს ორ ნაწილს - მას აქვს გამოხატვის პლანი და შინაარსის პლანი. გავერკვეთ ნიშნის სტრუქტურის იმ გაგებაში, რომელიც ნებისმიერი სხვა ნიშნისაგან განსხვავებით ახასიათებს ენობრივ ნიშანს, ნიშნავს იმას, რომ პასუხი უნდა გავცეთ კითხვას, თუ როგორ კონკრეტდება გამოხატვის და შინაარსის პლანები ენობრივი ნიშნის შემთხვევაში.

ენობრივი ნიშნის გამოხატვის პლანი (რაც მას განასხვავებს სხვა ყველა დანარჩენი ნიშნის გამოხატვის პლანისაგან) არის ბგერათა კომპლექსი. სოსიური მას „აკუსტიკურ ხატს“ უწოდებდა. სოსიურის ენობრივი ნიშნის მოდელში გამოხატვის პლანი, რომელსაც წარმოადგენს აკუსტიკური ხატი (ბგერითი ხატი), იწოდება „აღმნიშვნელად“ (signifier), ხოლო ენობრივი ნიშნის მეორე პლანი (შინაარსის პლანი), რომელიც ვერ იარსებებდა პირველი პლანის გარეშე, იწოდება „აღსანიშნად“ (signified). ორივე, აღსანიშნიც და აღმნიშვნელიც, სოსიურის მიხედვით, ატარებს ფსიქიკურ ხასიათს. აღსანიშნი და აღმნიშვნელი ერთმანეთის გარეშე არ არსებობენ. ისინი ერთმანეთთან არიან კავშირში და ორივე თავად ენაშია. აღსანიშნი არასოდეს არის ენის გარეთ, რადგან იგი არ არის ენის გარეთ არსებული საგანი ან ფენომენი (იგი გამოხატავს საგანთა კლასს და არა ცალკეულ საგნებს ან მოვლენებს. ამდენად, იგი აბსტრაქტულია და არა კონკრეტული).

სოსიურის ამ მოდელში ნიშნის გაგება ეყრდნობა მის პირობითობას. ნიშანი პირობითად (არა ბუნებრივი აუცილებლობიდან გამომდინარე, არამედ შეთანხმების

საფუძველზე) ასრულებს მითითების ფუნქციას. კავშირი აღსანიშნა და აღმნიშვნელს შორის პირობითია.¹

ერთი მხრივ, სახეზეა კავშირი აღსანიშნა და აღმნიშვნელს შორის, ხოლო მეორე მხრივ, ეს კავშირი პირობითია. ნებისმიერ აღსანიშნს შეიძლება შეესაბამებოდეს ნებისმიერი აღმნიშვნელი სოციალური შეთანხმების საფუძველზე.

მაშასადამე, ის მნიშვნელობა, რომელსაც ჩვენ ვანიჭებთ სიტყვას, წარმოადგენს საზოგადოებრივი შეთანხმების რეზულტატს, რისი საშუალებითაც ჩვენ ერთმანეთს შევუსაბამებთ განსაზღვრულ მნიშვნელობას განსაზღვრულ ბგერებს. ავიღოთ ნებისმიერი სიტყვა, მაგალითად „ცხენი“ - ამ სიტყვის ბგერით კომპლექსს არაფერი აქვს საერთო იმ რეალურ ხატთან, რომელიც არსებობს ჩვენს აზროვნებაში, როდესაც გვესმის ეს სიტყვა. სამაგიეროდ, მშვენივრად გვესმის, რას ნიშნავს სიტყვა „ცხენი.“ ეს კი განპირობებულია საზოგადოებრივი შეთანხმების საშუალებით, რომლის თანახმადაც თითოეულმა ჩვენგანმა იცის, რომ ცხენი არის ცხოველი, რომელიც შეიძლება გავაჭენოთ, რომელიც ჭიხვინებს, რომელსაც ვაჩერებთ თავლაში.

არსებობენ ისეთი ნიშნებიც, რომლებიც შესაძლოა ეწინააღმდეგებიან პირობითობის პრინციპს, როგორცაა მაგალითად ხმაბაძვითი სიტყვები და შორისდებულები. ხმაბაძვითი სიტყვები ენაში ძალიან ცოტაა და სხვადასხვა ენაში სხვადასხვანაირია (მაგ. ინგლისური “meow” და ქართული „კნავილი“). რაც შეეხება შორისდებულებს, ისინი გამოხატავენ სხვადასხვა ემოციებს - სიხარულს, მწუხარებას, სევდას, აღტაცებას და ა.შ. სხვადასხვა ბგერითი სიგნალების მეშვეობით (oh, ah, wow), მაგრამ ამ ბგერით სიგნალებს ჩვენ ვერ შევუსაბამებთ მნიშვნელობებს. მაგალითად, ინგლისური “alas” გამოხატავს მწუხარებას, მაგრამ ეს არ ნიშნავს, რომ იგი ნიშნავს „მწუხარებას“. ისევე როგორც ონომატოპეური (ხმაბაძვითი) სიტყვები, შორისდებულებიც ენის პერიფერიულ ლექსიკას ეკუთვნის. ამდენად, შორისდებულებისა და ხმაბაძვითი სიტყვების მაგალითები არ იძლევა იმის საფუძველს, რომ ენა არბიტრალურ (პირობით) ნიშანთა სისტემად არ იქნეს მიჩნეული.

¹ ნიშნის ბუნების შესახებ ჯერ კიდევ ძველი ბერძენი ფილოსოფოსები მსჯელობდნენ. ერთი ნაწილი თვლიდა, რომ საგნებს სახელი ერქმევათ პირობითად, შეთანხმების (théseis „შეთანხმება“) შედეგად. მეორე ნაწილი კი მიიჩნევდა, რომ საგნების სახელდება ხდება არა შეთანხმების, არამედ მათი ბუნების (phýseis „ბუნებითი“) გათვალისწინებით. “phýsei”-ის თეორიის მომხრეები სვამდნენ კითხვას: თუ საგნის სახელდება ხდება პირობითად, მაშინ რატომ არ არის შესაძლებელი საგნებს სახელები ჩვენი შეთანხმების საფუძველზე დავარქვათ? მაგალითად, რატომ ჰქვია „ვარდს“ სწორედ ეს სახელი? ეგებ იმიტომ, რომ არსებობს პირდაპირი კავშირი სიტყვასა და იმ საგანს შორის, რასაც იგი ასახელებს? თუ ეს ასეა, მაშინ, რატომ ჰქვია „ვარდს“ სხვადასხვა ენაზე სხვადასხვა სახელი, მაგ. ქართულად „ვარდი“ და ინგლისურად “rose”? და თუ საგანს სახელი პირობითად, შეთანხმების საფუძველზე ერქმევა, მაშინ რატომ არ შეგვიძლია ენობრივ ნიშანთა ცვლა ჩვენი ნება-სურვილის მიხედვით? მაგალითად რატომ არ შეგვიძლია „ვარდს“ ვუწოდოთ რაიმე სხვა სახელი, ვთქვათ, „ძალი“?

ჩვენ დავახასიათეთ ენობრივი ნიშნის სოსიურისეული მოდელის სტრუქტურა და მის არბიტრალური ბუნება.


მაგრამ როგორ გამოიყურება დღეისათვის თანამედროვე ლინგვისტიკაში ეს სტრუქტურა? რადგან ნიშნის ფუნქცია არის მითითება, ეს მითითება - სინამდვილესთან დაკავშირება - მუდამ ხდება რალაცაზე დაყრდნობით (რალაცა მიუთითებს რალაცაზე). მითითებისთვის აუცილებელი მატერიალური საყრდენი არის ბგერათა კომპლექსი, ანუ ენობრივი ნიშნის გამოხატვის პლანს წარმოადგენს ბგერითი კომპლექსი. რაც შეეხება შინაარსის პლანს - თანამედროვე გაგებით, ამ პლანის განსაზღვრისას, გამოიყენება ორი ტერმინი - „სიგნიფიკატი“ და „დენოტატი“. განვმარტოთ ორივე მათგანი.

როგორ უნდა გავიგოთ მნიშვნელობა როგორც სიგნიფიკატი? პირველ რიგში, ეს უნდა იყოს ისეთი მნიშვნელობა, რომელიც აერთიანებს მოცემული ენობრივი კოლექტივის ყველა წევრს (რაც ნიშნავს იმას, რომ ყველა ქართველისათვის გასაგები უნდა იყოს, რას ნიშნავს, მაგალითად, „ვარდი“). სხვაგვარად რომ ვთქვათ, სიგნიფიკატი ნიშნავს იმ ზოგად (განზოგადებულ წარმოდგენას), რომელიც ენობრივი კოლექტივის ყველა წევრისთვის უკავშირდება მოცემულ ბგერათა კომპლექსს. ამდენად, სიგნიფიკატი არის მნიშვნელობის ის ასპექტი, რომელიც არსებობს მხოლოდ ენის შიგნით და არ უკავშირდება რომელიღაც კონკრეტულ ობიექტს.

მაგრამ თუ გავითვალისწინებთ კავშირს ენობრივ ნიშანსა და იმ საგანს (მოვლენას) შორის, რომლის დასახელება ამ ნიშანს შეუძლია, მაშინ ხსენებული საგანი თუ მოვლენა უნდა მივიჩნიოთ ნიშნის მნიშვნელობის მეორე ასპექტად, რომელსაც ეწოდება „დენოტატი“. მაშასადამე, დენოტატი არის მიმართება რეალურ ობიექტთან (საგანთან ან მოვლენასთან), ხოლო სიგნიფიკაცია - წარმოდგენა ამ ობიექტის (მისი კლასის) შესახებ. (როგორც გვახსოვს, სოსიურისეულ მოდელშიც აღსანიშნი არ არის საგანი ან ფენომენი, არამედ იგი გამოხატავს საგანთა კლასს და არა ცალკეულ საგნებს ან მოვლენებს.) თანამედროვე ლინგვისტიკაში სიგნიფიკატი და დენოტატი გვევლინება ნიშნის მნიშვნელობის ორ ურთიერდაკავშირებულ, მაგრამ, ამავე დროს, გამმიჯნავ ასპექტად.


თუ ენობრივი ნიშნის სოსიურისეულ მოდელში ხაზგასმული იყო ენობრივი ნიშნის ორპლანიანი ბუნება - აღმნიშვნელი და აღსანიშნი, ენობრივი ნიშნის ზემოთ აღნიშნულ ამ მოდელში აღსანიშნი წარმოდგენილია ორი ასპექტით - სიგნიფიკატი და დენოტატი.

აღსანიშნის ამგვარი „გაყოფის“ შედეგად ვიღებთ ნიშნის სამ ასპექტს და შესაბამისად - მის სამკუთხედოვან მოდელს:



როგორც ვხედავთ, სამკუთხედოვანი მოდელი აერთიანებს ნიშნის ორპლანიან სტრუქტურას და ხაზს უსვამს იმ ფაქტს, რომ ენობრივი ნიშნის აღსანიშნი ერთდროულად შეიძლება იყოს როგორც სიგნიფიკატი, ისე დენოტატი.

ლინგვისტიკის განვითარებასთან ერთად ვითარდებოდა ენობრივი ნიშნის სტრუქტურის გაგებაც. ამგვარი განვითარება არ ნიშნავდა სოსიურისეული ენობრივი ნიშნის მოდელის გაუქმებას. ყოველი შემდგომი მოდელი თავის თავში მოიცავს მას, მაგალითად, ენობრივი ნიშნის ზემოთ აღნიშნულ ამ მოდელში სოსიურისეული აღსანიშნი წარმოდგენილია ორი ასპექტით - სიგნიფიკატი და დენოტატი. ხოლო კიდევ შემდგომ მოდელში, ნებისმიერი ნიშნის სტრუქტურა წარმოდგენილია სამი განზომილების - სინტაქტიკა, სემანტიკა, პრაგმატიკა - მიხედვით.



სინტაქტიკა შეისწავლის ნიშნის მიმართებას იმავე სისტემის სხვა ნიშნებთან

სემანტიკა - ნიშნების მიმართებას სინამდვილისადმი, მათ მნიშვნელობას

პრაგმატიკა - ნიშნის მიმართებას სუბიექტთან, რომელიც იყენებს მას საკომუნიკაციო აქტში

რას ვგულისხმობთ, როდესაც ვლაპარაკობთ ლინგვისტიკის განვითარებაზე?

თანამედროვე ლინგვისტიკის ისტორიის განვითარების პროცესი (მე-20 საუკუნიდან დღემდე) გულისხმობდა სამი ლინგვისტური (შიდა ლინგვისტური) პარადიგმის ურთიერთმონაცვლეობას:

1. სისტემური (სტრუქტურულ-სისტემური) პარადიგმა, რომელიც გულისხმობს ენობრივი სისტემის სტრუქტურულ კვლევას და რომლითაც დაიწყო თანამედროვე ლინგვისტიკა;

2. კომუნიკაციური პარადიგმა, რომლის ფარგლებში ყურადღების ცენტრში მოექცა არა იმდენად თავად სისტემა, არამედ მისი აქტუალიზაცია - კომუნიკაციური გამოყენება. როგორც გახსოვთ, დღეისათვის სოსიურისეული დიქტომია - ენა და მეტყველება - აღიქმება როგორც ენობრივი სისტემა და მისი აქტუალიზაცია, ანუ გამოყენება. ლინგვისტიკა გახდა კომუნიკაციურად ორიენტირებული.

3. ამჟამინდელ ლინგვისტიკაში დომინირებს ენის ისეთი ხედვა, რომელიც ენას უკავშირებს ადამიანური სინამდვილის სხვა ფენომენებს - ძირითადად, კულტურას. ამიტომ ამ ახალ პარადიგმას, როგორც წესი, უწოდებენ „ლინგვოკულტუროლოგიურ პარადიგმას“, ანუ ენის ისეთი ხედვას, რომელიც მას არსებითად უკავშირებს კულტურას.

ლინგვისტური აზროვნების ამგვარმა განვითარებამ განაპირობა ის, რომ ენობრივმა ნიშანმა გაიფართოვა თავისი სტრუქტურა - იგი არ „გაჩერებულა“ ორპლანიან სტრუქტურაზე. ხოლო ნიშნის სამგანზომილებიან სტრუქტურაში თითოეული მისი განზომილება, როგორც შემდგომში ვნახავთ, სხვადასხვა პარადიგმის დონეზე სხვადასხვა სტატუსს იკავებს და მიმართებები როგორც ერთი და იგივე სისტემის ნიშნებს შორის (სინტაქტიკურ დონეზე), მიმართებები რეალობასთან (სემანტიკის დონეზე) და მიმართებები ენობრივ სუბიექტს შორის, თანამედროვე ენათმეცნიერებაში ერთდროულად გულისხმობს მიმართებებს სისტემის დონეზე და მისი აქტუალიზაციის (გამოყენების) დონეზეც. სხვაგვარად რომ ვთქვათ, ნიშნის სტრუქტურის ამგვარი გაგება, ერთი მხრივ, უკავშირდება იმ ფაქტს, რომ ენა არის ნიშანთა სისტემა, ხოლო მეორე მხრივ კი იმას, რომ ნიშანი გამოიყენება კომუნიკაციის პროცესში.

ვიმსჯელოთ შემდეგ საკითხებზე

1. რითი განსხვავდება ენობრივი ნიშანი სხვა დანარჩენი ნიშნებისაგან?
2. როგორია სოსიურის ენობრივი ნიშნის მოდელი? როგორია მისი სტრუქტურა?
3. როგორია კავშირი ალსანიშნსა და აღმნიშვნელს შორის? რას ნიშნავს ნიშნის პირობითობა?
4. იძლევა თუ არა შორისდებულებისა და ხმაბაძვეთი სიტყვების მაგალითები იმის საფუძველს, რომ ენა არბიტრალურ (პირობით) ნიშანთა სისტემად არ იქნეს მიჩნეული?


5. როგორ გამოიხატებოდა ენობრივი ნიშნის სტრუქტურის განსხვავებული ხედვა ენათმეცნიერების განვითარების სხვადასხვა ეტაპებზე?
6. განმარტეთ სიგნიფიკატისა და დენოტატის ცნებები?
7. როგორია ნიშნის სამგანზომილებიანი მოდელი? რას შეისწავლის სინტაქტიკა? რას შეისწავლის სემანტიკა? რას შეისწავლის პრაგმატიკა?

ლექცია 3

ენობრივი სისტემის დონეებრივი სტრუქტურა: დონეები და მისი ერთეულები

პარადიგმატული და სინტაგმატური მიმართებები ენობრივ სისტემაში

ჩვენ უკვე ვიცით, თუ როგორია ენობრივი ნიშნის სტრუქტურა და ვიცით, რომ ამ სტრუქტურის ხედვა იცვლებოდა სხვადასხვა ეტაპებზე, რაც გამოიხატებოდა ნიშნის მოდელის ცვლილებით. მაგრამ როგორია ამ ნიშნებისაგან შემდგარი სისტემის სტრუქტურა (აღნაგობა)? გარდა ჰორიზანტულარი ჭრილისა, სადაც ნებისმიერი ენობრივი ნიშანი შეგვიძლია დავახასიათოთ მისი სინტაქტიკური, სემანტიკური და პრაგმატიკული განზომილებების მიხედვით, ნიშნები ასევე წარმოდგენილნი არიან ვერტიკალურ ჭრილში, ანუ ისინი წარმოდგენილნი არიან იერარქიის სახით. ენის სისტემაში შემავალი ნიშნობრივი ერთეულები ერთმანეთთან დაკავშირებულნი არიან **იერარქიულად**. იერარქიის პრინციპის მიხედვით, ენობრივი სისტემა ორგანიზებულია **ენობრივი დონეებით**, ანუ ატარებს სტრატეფიკაციულ ხასიათს:



ენობრივი იერარქიის ყოველი დონე წარმოდგენილია ძირითადი ენობრივი ერთეულით:

ფონოლოგიური დონის ძირითადი ერთეული არის **ფონემა**

მორფოლოგიური დონის ძირითადი ერთეული არის **მორფემა**

ლექსიკური დონის ძირითადი ერთეული არის სიტყვა

სინტაქსური დონის ძირითადი ერთეული არის წინადადება

ტექსტობრივი დონის ძირითადი ერთეული არის ტექსტი

ყოველი მომდევნო ენობრივი დონის ძირითადი ენობრივი ერთეული შედგება მასზე დაბლა მდგომი, მინიმალური ენობრივი ერთეულისაგან, ხოლო თავად მაღალ, (მაქსიმალური) დონის ერთეულს წარმოადგენს. ფონემა ფუნქციონირებს მორფემას შემადგენლობაში, მორფემა - სიტყვის, სიტყვა - წინადადების, წინადადება - ტექსტის. მორფემა შედგება ფონემებისაგან, ანუ ფონემასთან შედარებით მაღალი ნიშნობრივი ერთეულია, მაგრამ იგი სიტყვაზე უფრო დაბალი ნიშნობრივი ერთეულია, რადგან სიტყვა შედგება მორფემებისაგან. წინადადება შედგება სიტყვებისაგან და შესაბამისად, იგი სიტყვაზე უფრო მაღალი ნიშნობრივი ერთეულია, ხოლო ტექსტი არის ყველაზე მაღლა მდგომი ნიშნობრივი ერთეული.

როგორც ვხედავთ, ამ მოდელის მიხედვით, ყოველი უფრო მაღალი დონის ძირითადი ერთეული მოიცავს უშუალოდ წინა დონის ძირითად ერთეულს და იყენებს მას ახალი ფუნქციის შესასრულებლად. რა ფუნქციები აკისრია ამ ერთეულებს?

სანამ შევუდგებოდეთ ენობრივ ერთეულთა დახასიათებას მათი ფუნქციების მიხედვით, გავიხსენოთ, რომ ნებისმიერი ნიშნის (როგორც ენობრივის, ისე არაენობრივის) ფუნქცია არის მითითება მისგან განსხვავებულ რეალობაზე - რომელიმე სხვა საგანსა და ქმედებაზე. ენობრივი ნიშნის ფუნქციაც სწორედ მისგან განსხვავებულ რეალობაზე - საგანზე ან მოვლენაზე - პირობითად (არბიტრალურად) მითითებაა.

ენის ყველა დონეზე ენობრივ ელემენტებს შორის არსებობს რეგულარული ურთიერთმიმართებები - ისინი ქმნიან სტრუქტურებს. ამგვარ მიმართებებს სოსიური უწოდებს „სინტაგმატურ“ და „პარადიგმატულ“ მიმართებებს. სინტაგმატური მიმართებები ლინეარულ, თანამიმდევრულ დროულ ჯაჭვში რეალიზდება. ერთი ელემენტი (ნიშანი) მოსდევს მისგან განსხვავებულ ელემენტს (ნიშანს). ორ ასეთ ნიშანთა ლინეარულ თანმიმდევრობას ეწოდება „სინტაგმა“, რომელიც მუდამ არსებობს ჰორიზონტალურ ღერძზე. ხოლო პარადიგმატული („პარადიგმა“ ბერძნულად ნიშნავს „ნიმუშს“) მიმართება გვაქვს ისეთ შემთხვევაში, როდესაც გვაქვს მიმართება ერთი და იგივე კატეგორიის ელემენტთა შორის, როცა ერთი ნიშანი უპირისპირდება მეორეს არა თანმიმდევრობაში, არამედ სისტემაში. ამგვარი მიმართებები განთავსებულია ვერტიკალურ ღერძზე.

ნებისმიერი ნიშნის ფუნქციონირებისათვის აუცილებელია იგი არსებობდეს სხვა ნიშანთან ან ნიშნებთან მიმართებაში, ანუ ნებისმიერი ნიშანი უნდა შედიოდეს ნიშანთა სისტემაში.

ის, რაზედაც ენობრივი ნიშანი მიუთითებს არის მისი დენოტატი, რომელიც ზოგჯერ იწოდება „რეფერენტად“. ენობრივი ნიშანი ასახელებს თავის რეფერენტს, ანუ ახდენს მის **ნომინაციას**. („ნომინაცია“ ლათინური წარმოშობის ტერმინია - nomen ნიშნავს „სახელს“, nominatio კი - „დასახელებას“). ნომინაცია (დასახელება) შეიძლება იყოს პირდაპირი და ირიბი. თუ სიტყვის დონეზე განვიხილავთ ნომინაციის ტიპებს, მაშინ „ოქროს ბეჭედი“ იხმარება პირდაპირი მნიშვნელობით და შესაბამისად, ნიშანი ასრულებს პირდაპირი ნომინაციის ფუნქციას, ხოლო „ოქროს გული“ - გადატანითი მნიშვნელობით და შესაბამისად, ნიშანი ასრულებს ირიბი ნომინაციის ფუნქციას. ირიბი ნომინაცია ყოველთვის ნაწარმოებია პირდაპირი ნომინაციისაგან. ნომინაციის ფუნქციას ასრულებს არა მხოლოდ სიტყვა, არამედ სხვა ენობრივი ნიშნებიც. ნომინაცია შეიძლება ხდებოდეს სიტუაციისა და სიტუაციათა ერთობლიობისა და შესაბამისად, ნომინაციის ფუნქცია შეიძლება შეასრულოს წინადადებად და ტექსტმაც.

ნებისმიერი ენობრივი ნიშანი, რომელიც ასრულებს ირიბი ნომინაციის ფუნქციას, შეიძლება შედიოდეს ენობრივ სისტემაში და მისი მნიშვნელობა ამ სისტემაში იყოს მყარი და უცვალელებელი - ასეთ შემთხვევაში, ნიშანი ირიბი ნომინაციის ფუნქციას ასრულებს **უზუალურად**. მაგალითად, ზემოთ მოყვანილი მაგალითის „ოქროს გული“ მნიშვნელობა მყარი და უცვალელებელია, შესაბამისად, ირიბი ნომინაციის ფუნქციას ასრულებს უზუალურად. მაგრამ ამასთანავე, ნიშანმა ირიბი ნომინაციის ფუნქცია შეიძლება შეასრულოს მხოლოდ გარკვეულ სიტუაციაში, მხოლოდ ერთჯერადად. ასეთ შემთხვევაში, ენობრივი ნიშანი ნომინაციის ფუნქციას ასრულებს **ოკაზიონალურად**. მაგალითად „მას გული თანდათანობით უოქროვდება“, ნიშანი ირიბი ნომინაციის ფუნქციას ასრულებს მხოლოდ ერთჯერადად, მხოლოდ მოცემულ შემთხვევაში, ანუ **ოკაზიონალურად**.

ენობრივი ნიშნის ნომინაციური ფუნქცია არის აუცილებელი წინაპირობა, რომ ენობრივმა ნიშანმა შეასრულოს კომუნიკაციის ფუნქცია.

ახლა შევუდგეთ ენის დონეებში შემავალი ენობრივი ერთეულების დახასიათებას და მათი ფუნქციების გაცნობას ცალკე:

ფონოლოგიური დონე - მისი ძირითადი ერთეულია, როგორც ითქვას, ფონემა. იგი არანიშობრივი, ერთპლანიანი ერთეულია და მას შეიძლება „ნულოვანი ნიშანიც“ ვუწოდოთ, რადგან აქვს ფორმა, მაგრამ არა აქვს შინაარსი. ფონემები მხოლოდ ერთმანეთისაგან განასხვავებენ მნიშვნელობებს, მაგრამ თავად არა აქვთ მნიშვნელობა. ეს ერთეულები არიან საყრდენი ნიშნობრივ ერთეულთა ასაგებად,

სხვაგვარად რომ ვთქვათ, ისინი „საშენი მასალის“ როლს ასრულებენ სხვა ნიშნობრივ ერთეულებთან მიმართებაში. არ არსებობს ისეთი ნიშანი, რომელიც არ შედგება (არ „შენდება“) ბგერითი კომპლექსისაგან. ეს ერთეულები, რომლებიც ენობრივი ნიშნის საყრდენს წარმოადგენენ, თავად არ არიან ნიშნები, რადგან არ არიან მნიშვნელობის მატარებელი ერთეულები - აქვთ გამოხატვის პლანი (ფორმა), მაგრამ არა აქვთ შინაარსის პლანი (არა აქვთ სემანტიკა).

მორფოლოგიური დონე – მის ერთეულს წარმოადგემს მორფემა, რომელსაც, ფონემისაგან განსხვავებით, აქვს მნიშვნელობა, მაგრამ სიტყვისაგან განსხვავებით, არ შეუძლია შეასრულოს ნომინაციის ფუნქცია. ამიტომაც მორფემა მნიშვნელობის მატარებელ მინიმალურ ერთეულად ითვლება.

ლექსიკური დონე - მის ძირითად ერთეულს წარმოადგენს სიტყვა, რომელიც იერარქიული თვალსაზრისით პირველი ერთეულია, რომელსაც აქვს ფორმაც და მნიშვნელობაც. ყოველი სიტყვა რაღაცას ასახელებს და როგორც ითქვას, ამ ფუნქციის აღსანიშნავად იხმარება ტერმინი „ნომინაცია“. მაშასადამე, მასზე იერარქიულად დაბლა მდგომი ერთეულისაგან - მორფემისაგან - განსხვავებით, სიტყვას უკვე შეუძლია ნომინაციის ფუნქციის შესრულება.

სინტაქსური დონე - წინადადება შედგება მისგან, რასაც მასში შემავალი სიტყვები ასახელებენ (რის ნომინაციასაც ახდენენ). წინადადებას შეუძლია შეასრულოს ნომინაციის ფუნქცია, ისევე როგორც ეს შეუძლია მასზე იერარქიულად დაბლა მდგომ ნიშანს - სიტყვას, მაგრამ იგი სიტყვას აღემატება იმ ფუნქციის შესრულებით, რომ შეუძლია დაასახელოს გარკვეული **სიტუაცია**, ანუ მოახდინოს ამ სიტუაციის ნომინაცია.

ტექსტობრივი დონე - მსჯელობა იმის შესახებ, თუ რა ადგილს დაიკავებდა ტექსტი ენის დონეებრივ მოდელში და თავად ტექსტისათვის ნიშნობრივი სტატუსის მინიჭება საკმაოდ დიდი ხნის განმავლობაში პრობლემურ საკითხს წარმოადგენდა ლინგვისტიკაში. მის ფარგლებში არსებობდა მრავალი საკამათო საკითხი: არის თუ არა ტექსტი ენობრივ სისტემაში ნიშნობრივი ერთეული და რა ადგილს იკავებს იგი ამ სისტემაში? რის საფუძველზე შეიძლება ტექსტი მიჩნეული იყოს ენის უმაღლესი დონის ნიშნობრივ ერთეულად?

მსჯელობის დაწყება იმის შესახებ, რომ კომუნიკაციის ფუნქციის შესრულება ყველაზე გამოკვეთილად ენობრივი ნიშნებიდან სწორედ ტექსტს შეუძლია, მნიშვნელოვანი აღმოჩნდა ტექსტის ნიშნობრიობის პრობლემის გადასაჭრელად. ამდენად, დონეებრივი თვალსაზრისით, ენის ყველაზე მაღალ და დამოუკიდებელ ერთეულად ჩაითვალა არა წინადადება, არამედ ტექსტი.

ენობრივი ერთეულების ტრადიციული იერარქია (ფონემა - მორფემა - სიტყვა - წინადადება) კიდევ ერთი ერთეულით გაიზარდა და ენის დონეებრივ სტრუქტურაში უმაღლესი ადგილი დაიკავა უკვე ტექსტმა.

ენობრივი სისტემის დონეებრივი ორგანიზაცია, როგორც აღინიშნა, ეფუძნება **სრულ და არასრულ ნიშანთა ოპოზიციას**.

ეს დაპირისპირება, ერთი მხრივ, როგორც ვნახეთ, გამოიხატება იმაში, თუ რამდენად შესწევს უნარი ნიშანს შეასრულოს ნომინაციის ფუნქცია. ამ თვალსაზრისით, ფონემა და მორფემა არასრულ ნიშნებს წარმოადგენენ, რადგან ისინი ნომინაციის ფუნქციას ვერ ასრულებენ. კიდევ ერთხელ გავიხსენოთ იერარქიის პრინციპი: ყოველი მომდევნო ენობრივი ნიშანი თავის თავში მოიცავს წინა ენობრივი ნიშნის თვისებებს და ამავე დროს, აღემატება მას. ტექსტს შეუძლია შეასრულოს ნომინაციის ფუნქცია, ისევე როგორც ეს შეუძლია მასზე იერარქიულად დაბლა მდგომ ნიშანს - წინადადებას, მაგრამ იგი წინადადებას აღემატება იმ ფუნქციის შესრულებით, რომ იგი წინადადებისაგან განსხვავებით, ასახელებს არა მხოლოდ ერთ გარკვეულ სიტუაციას, არამედ **სიტუაციათა ერთობლიობა**, რასაც ეწოდება „**რეფერენტული სივრცე**“.

მეორე მხრივ, სრულ და არასრულ ნიშანთა ოპოზიცია გამოიხატება ენობრივი ნიშნების მიერ კომუნიკაციის ფუნქციის შესრულებაში. „რაც უფრო მეტია და რაც უფრო გამოკვეთილია ნიშნის უნარი დამოუკიდებლად შეასრულოს კომუნიკაციის ფუნქცია, მით უფრო არსებობს იმის საფუძველი, რომ ვილაპარაკოთ სრულ ნიშანზე“.² მაშასადამე, ნიშნის სისრულე, ანუ ნიშნის კომპლექსურობა, დამოკიდებულია იმაზე, რომ ნიშანს შეეძლოს მაქსიმალურად სრულად შეასრულოს კომუნიკაციური ფუნქცია. ეს კი ყველაზე სრულად ტექსტს შეუძლია.

ამდენად, სწორედ ტექსტი გახდა ის ნიშანი, რომელიც სიტუაციათა ერთობლიობის ნომინაციასთან ერთად, ყველა ნიშანზე უფრო სრულად ასრულებს კომუნიკაციის ფუნქციას.

ვიმსჯელოთ შემდეგ საკითხებზე

1. როგორია ენობრივი სისტემის იერარქია?
2. რომელი ენობრივი ერთეულები შეესაბამება ამ სისტემაში შემავალ ენობრივ დონეებს?
3. რას ნიშნავს მინიმალური და მაქსიმალური ენობრივი ერთეული?
4. რა არის ნომინაცია და რა სახის შეიძლება იგი იყოს?

². გ. ლებანიძე - ლექციები ენათმეცნიერების შესავალსა და ზოგად ენათმეცნიერებაში, თბ., „ენა და კულტურა“, 1997, გვ. 24.

5. როგორ შეიძლება ენობრივი ნიშანი ასრულებდეს ირიბი ნომინაციის ფუნქციას?
6. რატომ არის ფონემა ერთპლანიანი, არანიშნობრივი ენობრივი ერთეული?
7. შეუძლია თუ არა მორფემას შეასრულოს ნომინაციის ფუნქცია? რატომ ითვლება იგი მნიშვნელობის მატარებელ მინიმალურ ერთეულად?
8. რა ფუნქცია აქვს სიტყვას? რატომ ითვლებოდა იგი ენობრივი დონის უმაღლეს ერთეულად?
9. რატომ ჰქონდა სიტყვას ყველაზე მაღალი ენობრივი ნიშნის სტატუსი?
10. რა ფუნქციას ასრულებს წინადადება? რითი განსხვავდება იგი ენობრივ იერაქიაში მასზე დაბლა მდგომი ერთეულისაგან - სიტყვისაგან?
11. რატომ არის დღეისათვის ტექსტი მიჩნეული უმაღლეს ნიშნობრივ ერთეულად?
12. რას ნიშნავს სინტაგმატური და პარადიგმატული მიმართებები?

ლექცია 4

ენობრივი დონეები და მათი შესაბამისი ლინგვისტური დარგები

ლინგვისტური იმანენტისტიკა და მისი ორი ეტაპი

წინა ლექციებიდან უნდა გვახსოვდეს, რომ თანამედროვე ლინგვისტიკის მიხედვით, ენა არის ნიშნობრივი ფენომენი. სწორედ ამ ფაქტიდან გამომდინარე, ენობრივი ნიშნის, თუ ზოგადად ნიშნის მოდელმა (როგორც ვიცით, ნებისმიერ ნიშანს ახასიათებს ორპლანიანობა - ე.ი. მოიცავს როგორც აღმნიშვნელს, ისე აღსანიშნს), განსაზღვრა თვით ამ ეტაპის ენათმეცნიერების საგანი: ენათმეცნიერებას უნდა ეკვლია ენობრივ ფორმათა და შინაარსთა ერთობლიობა. ენის ამგვარმა ხედვამ, ანუ მისმა თეორიამ, თავის მხრივ, განსაზღვრა კვლევის მეთოდოლოგიაც. ეს მეთოდოლოგია კი მდგომარეობდა შემდეგში: ენა უნდა შეისწავლებოდეს ისე, რომ ნაკლებად, ან სულაც არ იყოს გათვალისწინებული მისი კავშირი სხვა მოვლენებთან (ფენომენებთან). სხვაგვარად რომ ვთქვათ, იგი უნდა შეისწავლებოდეს ადამიანური სინამდვილისათვის დამახასიათებელი ყოველი სხვა ფენომენისაგან

დამოუკიდებლად - მხოლოდ იმის გათვალისწინებით, რაც ამ ენობრივ მოვლენებს **შინაგანად** ახასიათებს. „შინაგანი“ კი ლათინურად „იმანენტურად“ იწოდება და სწორედ აქედან მომდინარეობს ტერმინი **„იმანენტისტიკა“**. სუფიქსი „ისტიკა“ ნიშნავს „მოვლენების ხედვისადმი უპირატესობის მინიჭებას“. მაგალითად, „ჰუმანიზმი“ ნიშნავს ამა თუ იმ ადამიანის განხილვისას, პირველ რიგში, მისი სწორედ ადამიანური (და არა ცხოველური) ასპექტის გათვალისწინებას. სუფიქსი - „ისტიკა“ კი თავის მხრივ, ბადებს სუფიქს - „ისტიკა“-ს, შესაბამისად გვაქვს ტერმინი **„იმანენტისტიკა“**.

მაშასადამე, მოცემულ შემთხვევაში, ენის იმგვარ ხედვას, როდესაც გათვალისწინებულია მისი მხოლოდ შინაგანი მხარე და შემოიფარგლება მხოლოდ მისი შინაგანი ასპექტებით, ეწოდება **„ლინგვისტური იმანენტისტიკა“**. ლინგვისტური იმანენტისტიკა ეყრდნობა მეთოდოლოგიას, რომელიც იწოდება „იმანენტისტიკურ მეთოდოლოგიად“. **იმანენტისტიკური მეთოდოლოგია** როგორც ითქვა, გულისხმობდა იმას, რომ ენის სისტემა (ენობრივი ფორმები და შინაარსები) უნდა ეკვლიათ მხოლოდ მისი შინაგანი ასპექტების გათვალისწინებით, ყოველი სხვა ფენომენისაგან დამოუკიდებლად. გავიხსენოთ თანამედროვე ლინგვისტიკის ფუძემდებლის, სოსიურის ბოლო სიტყვები მის ცნობილ წიგნში „კურსი ზოგად ლინგვისტიკაში“: „ენათმეცნიერების ნამდვილი და ერთადერთი საგანი არის ენა საკუთარ თავში და მხოლოდ თავისთვის“ (“The true and unique object of linguistics is language studies in and for itself“³).

³ Ferdinand de Saussure, Course in General Linguistics, Edited by Charles Bally and Albert Sechehaye In collaboration with Albert Riedlinger, Translated, with an introduction and notes by Wade Baskin, 1959, pp. 72, 73.

ამგვარად გაგებულ ლინგვისტიკას (ვგულისხმობთ იმანენტისტურ ლინგვისტიკას) ჰქონდა ორი ეტაპი: პირველ ეტაპს ეწოდება „სისტემური პარადიგმა“, რომელიც გულისხმობს ენობრივი სისტემის იმანენტისტურ კვლევას, რის შედეგადაც შეიქმნა ამ სისტემის დონეებრივი მოდელი, რაც, როგორც უკვე ვიცით, ნიშნავდა შემდეგს: ამ მოდელის მიხედვით, ენობრივ ნიშანთა ერთობლიობა დანახულ იქნა იერარქიულად. ყოველი უფრო მაღალი დონის ძირითადი ერთეული მოიცავს უშუალოდ წინა დონის ძირითად ერთეულს და იყენებს მას ახალი ფუნქციის შესასრულებლად (მაგალითად, მორფემა ის ენობრივი ნიშანია, რომელიც უკვე ფონემისაგან განსხვავებით, შეიცავს ორპლანიანობას, მაგრამ არ შეუძლია ამა თუ იმ რეალობის დასახელება (ვერ ასრულებს ნომინაციის ფუნქციას), რაც შეუძლია მასზე უფრო მაღალი დონის ისეთ ერთეულს, როგორცაა სიტყვა (ლექსემა), მისი ლექსიკური (ე.ი. მისი ნომინაციური) ფუნქციიდან გამომდინარე (გავიხსენოთ, რომ სიტყვას სხვა ფუნქციებიც აქვს, მაგალითად, სინტაქსური ფუნქცია და წინადადების ფარგლებში მას შეუძლია ამა თუ იმ წევრის ფუნქცია შეასრულოს (შეუძლია შეასრულოს ქვემდებარის, დამატების და ა.შ. ფუნქციები). მაშასადამე, სიტყვა როგორც ლექსემა მოიცავს მორფემას, მაგრამ - აღემატება მას ნომინაციის ფუნქციის შესრულებით და ა.შ. იგივე შეიძლება ითქვას ნებისმიერი ენობრივი დონის ძირითად ერთეულზე.

შესაბამისად, ამ ეტაპზე (იმანენტისტური ლინგვისტიკის პირველ ეტაპზე - სისტემური პარადიგმის ფარგლებში) გამოიყო ყოველი ენობრივი დონის ძირითადი ერთეულის შემსწავლელი შემდეგი დარგები: ფონოლოგია, მორფოლოგია, ლექსიკოლოგია, სინტაქსი. ამ დარგების გამოყოფა მოხდა ენობრივი სისტემის დონეებრივი მოდელის გათვალისწინების საფუძვლზე (სისტემური პარადიგმის ფარგლებში) და ამიტომ მათ „სისტემური ენათმეცნიერების დარგები“ ეწოდებათ.

ფონოლოგია ფონოლოგიურ დონეზე იკვლევს მის ძირითად ერთეულს - ფონემას.

მორფოლოგია მორფემატულ დონეზე იკვლევს მის ძირითად ერთეულს - მორფემას.

ლექსიკოლოგია ლექსიკურ დონეზე იკვლევს მის ძირითად ერთეულს - სიტყვას როგორც ლექსემას.

სინტაქსი სინტაქსურ დონეზე იკვლევს მის ძირითად ერთეულს - წინადადებას.

შეიძლება ითქვას, რომ დღევანდელ ეტაპზე ხდება თანამედროვე ლინგვისტიკის და ტრადიციული ლინგვისტიკის დამახასიათებელ ხედვათა გარკვეული შეხვედრა-შერწყმა (ანუ სხვანაირად რომ ვთქვათ, სინთეზი). რას უნდა გულისხმობდეს ეს სინთეზი? როგორც ქვემოთ ვნახავთ, ტრადიციულად ენის შესწავლა უშუალოდ არ უკავშირდებოდა ენობრივი სისტემის დონეებრივ ხედვას, როგორც ეს მოხდა სისტემური პარადიგმის ფარგლებში. ზემოთ აღნიშნული სინთეზი საშუალებას

იმლევა თითოეული ზემოთ აღნიშნული დარგი, რომელიც გამოყო სისტემურმა ენათმეცნიერებამ დავინახოთ უფრო ფართოდ, იმ ტრადიციის გათვალისწინებითაც, რაც მანამდე არსებობდა ენობრივ ერთეულთა კვლევისას, მაგალითად:

ენათმეცნიერების ისეთი დარგი, რომელიც ტრადიციულად შეისწავლიდა ბგერას, იყო **ფონეტიკა**. იგი მუდამ იკვლევდა **ბგერას**, მაგრამ ბგერა მას არასოდეს აუყვანია ფონემის დონემდე. **ფონოლოგიამ**, რომელიც ახალი (სისტემური ენათმეცნიერების) დარგია, მოახდინა ბგერის იმგვარი განზოგადება, რომ იგი აქცია ენობრივი დონის ერთეულად - **ფონემად**.

ისევე როგორც ფონოლოგია-ფონეტიკის შემთხვევაში, უნდა განვასხვავოთ **მორფოლოგია** ენის **მორფოლოგიური დონისაგან**. ეს უკანასკნელი ენობრივი სისტემის დონეებრივ სტრუქტურასთან დაკავშირებული ცნებაა და მთლიანად არ ემთხვევა ტრადიციულ მორფოლოგიას. ეს განსხვავება კი ძირითადად უკავშირდება იმ ფაქტს, რომ ტრადიციული მორფოლოგიისათვის მნიშვნელოვანია სიტყვისა და მეტყველების ნაწილთა ცნებები. მაშასადამე, **მორფოლოგია** ტრადიციულადაც არსებობდა, მაგრამ იგი იყო არა მხოლოდ მორფემათა შემსწავლელი დარგი, როგორც ეს ხდებოდა სისტემური პარადიგმის ფარგლებში, არამედ სიტყვისაც და მეტყველების ნაწილებისაც.

სიტყვა მუდამ შეისწავლებოდა ენათმეცნიერების მიერ, მაგრამ როგორც ითქვა, იგი შეისწავლებოდა არა მხოლოდ ლექსიკურად - მისი ნომინაციის ფუნქციიდან გამომდინარე, არამედ სხვა ფუნქციებითაც - იგი შეისწავლებოდა, ასევე როგორც მეტყველების ნაწილი და როგორც წინადადების წევრი. სისტემური პარადიგმის ფარგლებში კი **ლექსიკოლოგია** ენის ლექსიკურ დონეზე სიტყვას შეისწავლის სწორედ როგორც **ლექსემას** (ანუ მას შეისწავლის ლექსიკურად) (და არა როგორც მეტყველების ნაწილს და წინადადების წევრს!).

სწორედ სინტაქსია ლინგვისტიკის ის დარგი, რომელიც სიტყვას, ლექსიკოლოგიისაგან განსხვავებით, იკვლევს მისი სინტაქსური ფუნქციის გათვალისწინებით, ანუ იკვლევს წინადადების ამა თუ იმ შესაძლო წევრს (ქვემდებარეს, დამატებას და ა.შ.). თუ სისტემური პარადიგმის ფარგლებში ენის დონეებრივი მოდელის სინტაქსურ დონეზე წინადადების კვლევა ხდებოდა როგორც უმაღლესი ნიშნობრივი ერთეულისა, იმ ეტაპზე, როდესაც მოხდა სისტემური პარადიგმიდან კომუნიკაციურ პარადიგმაზე გადასვლა, ენობრივი სისტემის უმაღლეს ერთეულად აღიარებულ იქნა არა წინადადება, არამედ ტექსტი. შესაბამისად, სინტაქსიც დაიყო ორ დონედ:

მიკროსინტაქსი, რომელიც შეისწავლის წინადადებას ამ სიტყვის ტრადიციული გაგებით, ანუ შეისწავლის წინადადებას იმ ფუნქციათა გათვალისწინებით,

რომელთაც წინადადების ფარგლებში ასრულებენ სიტყვები (თუ უფრო დავაზუსტებთ, სიტყვებით გამოხატული წინადადების წევრები);

მაკროსინტაქსი (ანუ იგივე **ტექსტის სინტაქსი**), რომელიც შეისწავლის უკვე ტექსტს და იმ ფუნქციებს, რომელთაც წინადადებები ასრულებენ მის ფარგლებში.

იმანენტისტური ლინგვისტიკის მეორე ეტაპზე, ანუ კომუნიკაციური პარადიგმის ფარგლებში (მე-20 საუკუნის 60-იანი წლებიდან) ენათმეცნიერებმა უკვე მეტ-ნაკლებად შესწავლილად მიიჩნიეს ენის სისტემა (მისი დონეებრივი მოდელის სახით) და ყურადღების ცენტრში მოაქციეს არა იმდენად ეს სისტემა, არამედ ის, თუ როგორ ხდება **ამ სისტემის გამოყენება, ანუ მისი აქტუალიზაცია** ადამიანთა შორის კომუნიკაციის პროცესში (კომუნიკაციის მიზნით).

კომუნიკაციური ფუნქცია მუდამ განისაზღვრებოდა ენათმეცნიერებაში ენის მნიშვნელოვან ფუნქციად, მაგრამ ამ ეტაპზე ენათმეცნიერებამ ყურადღების ცენტრში მოაქცია **კომუნიკაციის განახლებული ცნება**, რომელიც ეფუძნება **კომუნიკაციური აქტის** ცნებას - ორი ენობრივი სუბიექტის (ორი კომუნიკანტის) ურთიერთმიმართებას კომუნიკაციის პროცესში. კომუნიკაციის ამგვარ გაგებას დაუკავშირდა ისეთი ცნება, როგორცაა დისკურსი. სწორედ დისკურსი უნდა მივიჩნიოთ ენობრივი სისტემის ამგვარი აქტუალიზაციის, ანუ კომუნიკაციის ამგვარად დასახელებული აქტის დასახელებად.

იმანენტისტური ლინგვისტიკის ამ ეტაპზე ლინგვისტიკა გახდა კომუნიკაციურად ორიენტირებული - მან მიიღო კომუნიკაციური ლინგვისტიკის სახე.

იმისათვის, რომ სწორად გავიგოთ თანამედროვე ლინგვისტიკის მოცემული ეტაპის (პარადიგმის) შინაარსობრივი არსი, უნდა გავითვალისწინოთ ზემოთ გამოყენებული ისეთი ტერმინების მნიშვნელობა, როგორცაა **„კომუნიკაცია“**, **„აქტუალიზაცია“**, **„აქტი“**.

1. „კომუნიკაცია“ ლათინური წარმოშობის სიტყვაა და ნიშნავს შემდეგს: ესა თუ ის პიროვნება, რომელიც არის კომუნიკაციის პირველი სუბიექტი (რომელიც იწოდება „ადრესანტად“), უზიარებს მეორე სუბიექტს (რომელიც იწოდება „ადრესატად“) იმ ცოდნას, რომელიც მას, ადრესატისაგან განსხვავებით, უკვე აქვს. და სწორედ გაზიარების ამ ქმედებით აქცევს თავის ამ ცოდნას ადრესატისათვის მიწოდებულ ინფორმაციად, ანუ ე.წ. „გზავნილად“ (message), რომელიც საერთო ხდება ორივე სუბიექტისათვის (გავიხსენოთ, ინგლისური სიტყვა ‘common’, რომელიც სწორედ ტერმინ „კომუნიკაციიდან“ (communication) მომდინარეობს.
2. როგორც ცნობილია, „აქტუალურს“ – “რეალურად ქცეულს” - უპირისპირდება „ვირტუალური“ – “მხოლოდ შესაძლებელი”. სისტემური ლინგვისტიკის

(იმანენტისტური ლინგვისტიკის პირველ ეტაპზე), რა თქმა უნდა, ცნობილი იყო, რომ ენის სისტემა შეიძლება ყოფილიყო გამოყენებული (უფრო მეტიც, მიჩნეული იყო, რომ სწორედ ასეთია მისი დანიშნულება), მაგრამ არ ხდებოდა იმის გათვალისწინება, თუ როგორ, რა სახით უნდა მომხდარიყო მისი გამოყენება. შესაბამისად, ენის კომუნიკაციური გამოყენება აღიქმებოდა მხოლოდ ვირტუალურად, ანუ რეალურად ქცევის მხოლოდ შესაძლო პერსპექტივით. ახალ ეტაპზე კი, ანუ კომუნიკაციის პარადიგმის ფარგლებში, ყურადღების ცენტრში მოექცა სწორედ ამ შესაძლებლობის, ანუ ვირტუალურის აქტუალურად ქცევა - **ენობრივი სისტემის აქტუალიზაცია.**

3. რაც შეეხება ტერმინ „აქტს“, რომელსაც მოიცავს უფრო რთული ტერმინი „კომუნიკაციური აქტი“: „აქტით“ ზოგადად იგულისხმება ნებისმიერი ისეთი პროცესი, რომელსაც ჰყავს ავტორი - ის სუბიექტი, რომელიც ამ პროცესს ასრულებს და უზიარებს მეორე სუბიექტს. შესაბამისად, როგორც ითქვა, დისკურსი უნდა გავიგოთ როგორც ისეთი კომუნიკაციური აქტი, რომელიც მუდამ გულისხმობს ამ აქტის ორ მონაწილეს - ორ კომუნიკანტს (ადრესანტს და ადრესატს).

და სწორედ იმიტომ, რომ მოცემულ ეტაპზე ლინგვისტურ აზროვნებაში აუცილებელი გახდა ადამიანის როგორც კომუნიკაციური სუბიექტის არა მხოლოდ გათვალისწინება, არამედ მისი ცენტრალურ ლინგვისტურ ცნებად ქცევაც კი, გამოიკვეთა ენის როგორც ფენომენის ადამიანური სინამდვილისათვის დამახასიათებელ სხვა ფენომენებთან დაკავშირების აუცილებლობა: კომუნიკაციის პროცესი უცილობლად გულისხმობს არა მხოლოდ ენობრივი სისტემის იმ აქტუალიზაციას, რომლის შესახებ ზემოთ გვქონდა ლაპარაკი, არამედ იმ გზავნილის გათვალისწინებასაც, რომელსაც ერთი ადამიანი როგორც ადრესანტი უგზავნის მეორეს - ადრესატს. ამ გზავნილთა შინაარსების წინასწარ შემოფარგვლით (თუ შეზღუდვით) განსაზღვრა შეუძლებელია. ეს კი იმას ნიშნავს, რომ თავად კომუნიკაციური აქტის ფორმა და შინაარსი მუდამ განისაზღვრება იმ ფენომენტთა ფორმითა და შინაარსით, რომლებიც იქცევა კომუნიკაციის ობიექტად. ეს კი უკვე ფაქტობრივად ნიშნავს შემდეგს: აუცილებელი გახდა ენის აქტუალიზებულ ერთეულთა - პირველ რიგში კი ტექსტის - დაკავშირება ადამიანური სინამდვილისათვის დამახასიათებელ ფენომენტთა ერთობლიობასთან. როგორც ვხედავთ, მოხდა (და კვლავაც ხდება იმდენად, რამდენადაც ეს პროცესი გრძელდება) ლინგვისტური **იმანანტიზმის გადალახვა.**

იმის გათვალისწინებით კი, თუ რომელი ან როგორი ფენომენი იქცევა კომუნიკაციის ობიექტად, გამოიყოფა თანამედროვე ლინგვისტიკის ისეთი დარგები, როგორცაა **ლინგვოკულტუროლოგია** (რომელიც ენას არსებითად უკავშირებს კულტურას) , **ფსიქოლინგვისტიკა** (რომელიც ენას უკავშირებს ადამიანის ფსიქიკას), **სოციოლინგვისტიკა** (შეისწავლის ენას მის სოციალურ კონტექსტში) და ა.შ.

თუმცა, ამავე დროს, ცხადი ხდება შემდეგი: ლინგვისტიკისათვის, ისევე როგორც სხვა ჰუმანიტარული დისციპლინებისათვის, ძირითადი და განსაკუთრებული მნიშვნელობა შეიძინა კულტურასთან როგორც მრავალასპექტურ ფენომენტთან კავშირმა და სწორედ ამიტომაცაა, რომ თანამედროვე ლინგვისტიკისათვის დღეისათვის დომინანტურ (გაბატონებულ) პარადიგმას ეწოდა „ლინგვოკულტუროლოგიური“ პარადიგმა - ის პარადიგმა, რომლის ფარგლებში ლინგვისტიკა კომუნიკაციურ აქტთა უფრო ღრმად შესწავლის მიზნით დაუკავშირდა კულტურის თეორიას (კულტუროლოგიას).

კომუნიკაციური მიდგომის საფუძველზე კიდევ მრავალი ახალი ენათმეცნიერული დისციპლინა და დარგი გაჩნდა, მაგრამ მათი ჩამოთვლა შორს წაგვიყვანდა და ცხადია, აღარ გავაგრძელებთ. ჩვენთვის ზემოთ ნათქვამიდან მნიშვნელოვანია იმ ფაქტის ხაზგასმა, რომ კომუნიკაციური პარადიგმის ეტაპზე ლინგვისტური კვლევების განვითარების ძირითადი ტენდენცია მდგომარეობდა იმანენტისმის გადალახვაში.

ლინგვისტური აზროვნების ამგვარ განვითარებას (ანუ იმანენტისმიდან მისი გადალახვისაკენ განვითარებას) წინ უძღოდა ლინგვისტური ფუნდამენტის - მისი ფუძემდებლური ცნების - ნიშნის ცნების - გააზრების გაღრმავება და უფრო ფართოდ გაგება იმისა, რასაც ნიშნის ზოგადი სტრუქტურა შეიძლება ეწოდოს. ჩვენ უკვე გვქონდა ლაპარაკი ამ სტრუქტურის ორ ასპექტზე (ორპლანიანობაზე). მაგრამ ნიშნის სტრუქტურა, როგორც ითქვა, შეიძლება გავიგოთ სხვანაირადაც - როგორც სამგანზომილებიანი მოდელი - სინტაქტიკა, სემანტიკა, პრაგმატიკა.

მიმართებები (სინტაქტიკის დონეზე ნიშნის მიმართებას იმავე სისტემის სხვა ნიშნებთან; სემანტიკის დონეზე - ნიშნების მიმართებას სინამდვილისადმი; პრაგმატიკის დონეზე - ნიშნის მიმართებას სუბიექტთან, რომელიც იყენებს მას საკომუნიკაციო აქტში) იმანენტისტური ლინგვისტიკის პირველ ეტაპზე (სისტემურ-სტრუქტურული პარადიგმის დონეზე) არ სცილდებოდა ენის როგორც სისტემის ფარგლებს და მათი შესწავლა არ უკავშირდებოდა ნიშანთა ურთიერთმიმართებების შესწავლას კომუნიკაციის პროცესში. ეს მიმართებები დღეს უკვე შეიძლება გავიგოთ როგორც სისტემის დონეზე, ისე ამ სისტემის აქტუალიზაციის დონეზე.

თითოეული ეს განზომილება რიგრიგობით იკავებდა წამყვან სტატუსს ლინგვისტური აზროვნების განვითარების სხვადასხვა ეტაპზე. სისტემურ-სტრუქტურული პარადიგმის ფარგლებში მთელი აქცენტი გადატანილი იყო სინტაქტიკის შესწავლაზე და როგორც ითქვა, სინტაქტიკური მიმართებები შეისწავლებოდა მხოლოდ ენის ფარგლებში.

შემდგომში, ამავე პარადიგმის ფარგლებში, განსაკუთრებული ყურადღება დაეთმო მნიშვნელობათა სფეროს - სემანტიკის - შესწავლას. ამ განზომილების შესასწავლად გამოიყო კერძო სემიოტიკური დისციპლინა - სემანტიკა. მაგრამ თუ თავდაპირველად მნიშვნელობათა შესწავლა არ სცილდებოდა სიტყვის სემანტიკას,

კომუნიკაციური პარადიგმის ფარგლებში , როდესაც უმაღლეს ნიშნად ჯერ წინადადება, ხოლო შემდეგ ტექსტი იქცა და განვითარება დაიწყო **ტექსტის შემსწავლელმა სპეციალურმა დისციპლინამ - ტექსტის ლინგვისტიკამ**, საკმაოდ სერიოზული სახე მიიღო ტექსტის სემანტიკური ორგანიზაციის კვლევამ. შესაბამისად, გამოიყო ცალკე დისციპლინა, რომელსაც „**ტექსტის სემანტიკა**“ ეწოდა.

საბოლოოდ კი, უკვე წინა პლანზე გადმოვიდა ნიშნის პრაგმატიკული განზომილება და ლინგვისტიკის განვითარების ამჟამინდელ ეტაპზეც სწორედ მას უკავია წამყვანი სტატუსი. კომუნიკაციური პარადიგმის დონეზე პრაგმატიკის ცნება განსხვავდება იმ გაგებისაგან, რომელიც მას გააჩნდა თავდაპირველად. ამ დონეზე პრაგმატიკა აღარ ეფუძნება მხოლოდ ნიშნის მიმართებას სუბიექტთან, არამედ მისთვის უკვე ამოსავალი ხდება ურთიერთმიმართება საკომუნიკაციო აქტის ორ სუბიექტს - მეტყველ და მსმენელ სუბიექტებს შორის. შესაბამისად, კომუნიკაციური ლინგვისტიკის ფარგლებში შეიქმნა დარგი, რომელსაც „**ლინგვისტური პრაგმატიკა**“ ეწოდება.

ვიმსჯელოთ შემდეგ საკითხებზე

1. რას ნიშნავს ლინგვისტური იმანენტინიზმი?
2. დაასახელეთ და დაახასიათეთ ენის დონეების ერთეულების შემსწავლელი დარგები.
3. როდის და როგორ დაიწყო იმანენტინიზმის გადალახვა?
4. რამ განაპირობა ენათმეცნიერებაში ახალი პარადიგმის ფორმირება და რა ეწოდება ამ პარადიგმას?
5. რას ეფუძნება საკომუნიკაციო აქტის გაგება და რითი განსხვავდება კომუნიკაციის განახლებული გაგება კომუნიკაციის ტრადიციული, მანამდე არსებული გაგებისაგან?
6. დაასახელეთ ახალი ენათმეცნიერული დისციპლინები და დარგები, რომლებიც გააჩნდა კომუნიკაციური მიდგომის საფუძველზე?

ლექცია 5

კომუნიკაციური პარადიგმა: დისკურსი და ტექსტი როგორც ამ პარადიგმის ძირითადი ცნებები

დისკურსის სტრუქტურა

ინტერსუბიექტურობა როგორც დისკურსის ძირითადი პრინციპი

ჩვენ ვთქვით, რომ დისკურსი მოიაზრება როგორც ენის აქტუალიზაცია ვერბალური კომუნიკაციის (კომუნიკაცია შეიძლება იყოს ასევე არავერბალური, მაგალითად, ჟესტები, სახის გამომეტყველება და ა.შ.) ფარგლებში (გავიხსენოთ, რომ „ვერბალური“ ნიშნავს „სიტყვიერს“, რადგან ლათინური *verbum* ნიშნავს არა მხოლოდ „ზმნას“, არამედ ზოგადად „სიტყვასაც“). მაგრამ აუცილებელია ხაზი გაესვას იმას, რომ დისკურსი არის მრავალგანზომილებიანი ფენომენი. იმანენტიზმის გადალახვა აუცილებელი ხდება იმიტომ, რომ ენობრივი სისტემის აქტუალიზაციასთან ერთად ხდება ჩვენი ადამიანური ცნობიერების და შესაბამისად, ამ ცნობიერების ისეთი კომპონენტების აქტუალიზაცია, როგორცაა ჩვენი მეხსიერება, კულტურა და ცივილიზაცია. ამიტომ იქმნება იმის აუცილებლობა, რომ დისკურსის ამ განსხვავებულ განზომილებათა შორის გამოიყოს **საკუთრივ ლინგვისტური განზომილება**. ასეთ განზომილებად კი უნდა მივიჩნიოთ **ტექსტი** სწორედ იმიტომ, რომ იგი წარმოადგენს დისკურსის საკუთრივ ენობრივ (ვერბალურ) განზომილებას.

ენის გამოყენება ადამიანური სინამდვილის განსხვავებულ სფეროებში თუ სიტუაციებში განაპირობებს სხვადასხვა ტიპის დისკურსის წარმოქმნას (როგორცაა, მაგალითად, ყოველდღიური დისკურსი, მხატვრული დისკურსი, ჟურნალისტური დისკურსი, სამედიცინო დისკურსი, და ა.შ.). სხვაგვარად რომ ვთქვათ, ენის აქტუალიზება ხდება სხვადასხვა დისკურსის სახით. თითოეული ტიპის დისკურსი არის ენის (როგორც ნიშანთა სისტემის) აქტუალიზაციის შედეგი.

ამდენად, ნებისმიერი დისკურსი (შესაბამისად, ნებისმიერი ტექსტი) ეკუთვნის ამა თუ იმ ენაზე მეტყველ სუბიექტს (ენობრივ სუბიექტს), ანუ **დისკურსის სუბიექტს**. დისკურსის სუბიექტად ერთდროულად გვევლინება როგორც მისი უშუალო ინიციატორი (**ადრესანტი**), ასევე ის სუბიექტი, რომელსაც იგი მიმართავს (**ადრესატი**). ადრესატის ცნება შეიძლება გავიგოთ ფართოდ, რაც იმას გულისხმობს, რომ შესაძლებელია გამოიყოს ადრესატის რამდენიმე ტიპი, მაგალითად:

ადრესატი შეიძლება იყოს განზოგადებული და მრავლობითი (მკითხველები, ან სტუდენტები აუდიტორიაში);

ადრესატი შეიძლება არსებობდეს არა მხოლოდ სივრცეში, არამედ დროშიც, (მაგალითად, შეიძლება მივმართავდეთ ჩვენს წინაპრებს, ან შთამომავლობას);

ადრესატი შეიძლება იყოს წარმოსახვითი (იგი შესაძლოა არ არსებობდეს და მხოლოდ ადამიანის მიერ იყოს წარმოსახული).

ზღვრულ შემთხვევებში, დისკურსის ნებისმიერი სუბიექტი შეიძლება მიმართავდეს საკუთარ თავს, რაც, ცხადია, ნიშნავს იმას, რომ ადრესანტი და ადრესატი ერთმანეთს დაემთხვევა.

მაშასადამე, დისკურსი არის ენის საშუალებით განხორციელებული **საკომუნიკაციო აქტი**. ხოლო საკომუნიკაციო აქტი უცილობლად გულისხმობს ადრესანტისა და ადრესატის ურთიერთმიმართებას კომუნიკაციის პროცესში. როგორც გვახსოვს, ენობრივი ნიშნის სამგანზომილებიან მოდელში თავდაპირველად პრაგმატიკა იყო ნიშნის ის განზომილება, რომელიც გულისხმობდა ნიშნის მიმართებას სუბიექტთან, რომელიც იყენებს ამ ნიშანს, კომუნიკაციური პარადიგმის ფარგლებში კი უკვე გამოიკვეთა მიმართება ერთდროულად ორ სუბიექტს შორის - ადრესანტსა და ადრესატს შორის და ურთიერთმიმართების ამ სახეობას ეწოდება **„ინტერსუბიექტურობა“**. ინტერსუბიექტურობა ხდება იმდენად მნიშვნელოვანი, რომ დღეისათვის სწორედ იგი მიიჩნევა დისკურსის (როგორც ენის საშუალებით განხორციელებული საკომუნიკაციო აქტის) ძირითად სტრუქტურულ პრინციპად.

უკვე ვიცით, რომ საკომუნიკაციო აქტი უცილობლად გულისხმობს ორი სუბიექტის (ორი კომუნიკანტის) - ადრესანტის და ადრესატის - მიმართებას კომუნიკაციის პროცესში. როგორია ეს მიმართება?

ადრესანტი (მეტყველი პირი, პროდუცენტი) სამეტყველო აქტის პროცესში მიჰყვება განსაზღვრულ მიზანს, ანუ **კომუნიკაციურ ინტენციას**. ეს ინტენცია თანამედროვე ლინგვიტიკაში იწოდება **„ილოკუციად“**. სხვაგვარად რომ ვთქვათ, დისკურსი როგორც ენის საშუალებით განხორციელებული საკომუნიკაციო აქტი, შეუძლებელია არსებობდეს **კომუნიკაციური ინტენციის**, ანუ **ილოკუციის** გარეშე. მაშასადამე, ადრესანტი ახდენს კომუნიკაციური ჩანაფიქრის განხორციელებას, იგი „გასცემს“, „გზავნის“ ინფორმაციას“. მეორე სუბიექტი - ადრესატი კი „იღებს“ ინფორმაციას და ახდენს მის „გამიფვრას“. შესაბამისად, მეტყველი სუბიექტი, ანუ ადრესანტი, არა მხოლოდ მოქმედებს ილოკუციური ძალით, არამედ იგი ასევე მოქმედებს სხვა სუბიექტზე და შედეგი, რაც (ადრესატზე) ამ ზემოქმედების შედეგად დგება, იწოდება **„პერლოკუციად“**.

როგორც ვხედავთ, კომუნიკაციის აქტის პროცესში, ყოველი გამონათქვამი⁴ გულისხმობს არა მხოლოდ კომუნიკაციურ მიზანს (ინტენციას), რასაც „ილოკუცია“ ვუწოდებთ, არამედ იმასაც, რა შედეგიც შეიძლება მოჰყვეს ამ ინტენციას, რასაც „პერლოკუცია“ ვუწოდებთ.

⁴ გამონათქვამად უნდა მივიჩნიოთ ენის მიერ აქტუალიზებული ნებისმიერი აქტი, რომელიც ასრულებს კომუნიკაციის ფუნქციას.

ასევე, კომუნიკაციის აქტის პროცესში, ყოველი გამონათქვამი ასახელებს და შესაბამისად, ასახავს (აღწერს) ამა თუ იმ სიტუაციას. იმ სიტუაციას, რომელიც გამონათქვამში სახელდება (აისახება) ეწოდება „რეფერენტული სიტუაცია“.

მაგრამ რეფერენტული სიტუაციის ასახვა გამონათქვამში თავისთავად არ ხდება. რეფერენტული სიტუაციის აღწერა გულისხმობს სინამდვილიდან გარკვეული ელემენტების გამოყოფას. რეფერენტული სიტუაციის გამოყოფა მუდამ არის დაკავშირებული ადრესანტის სამეტყველო არჩევანთან, რაც დამოკიდებულია - მის მეობაზე, მის ცოდნაზე, მის ხედვაზე, საკომუნიკაციო მიზნებზე და ა.შ., ანუ მის აქტივობასთან მთლიანობაში.

სხვაგვარად რომ ვთქვათ, ჩვენ მუდმივად ვიმყოფებით სიტუაციათა უსასრულო ნაკადში და კომუნიკაციის დროს ამ უსასრულო ნაკადიდან ჩვენი კომუნიკაციური ინტენციის თანახმად, გამოვყოფთ სიტუაციას (სიტუაციებს) და ავსახავთ მას (მათ) გამონათქვამში, ანუ ვაქცევთ მას რეფერენტად - ვანიჭებთ მას რეფერენტული სიტუაციის სტატუსს. მაგალითად, წარმოიდგინეთ ამგვარი სიტუაცია: მიემგზავრებით მატარებლით - მატარებლის ფანჯრებიდან მოჩანს სოფლები და სადგურები; თქვენი თანამგზარი გესაუბრებათ პოლიტიკაზე; რომელიღაც კუპეში ბავშვი ტირის; ცოტა მოშორებით რკინიგზის გამყოლი ქალები ჩხუბობენ; რომელიღაც მგზავრმა დაამთქნარა; რომელიღაც სიგარეტს ეწევა; კიდევ რომელიღაცას სძინავს. სინამდვილის ამ სურათიდან სიტუაციების გამოყოფა და მათი ასახვა გამონათქვამში დამოკიდებულია, თუ როგორ ინტერპრეტაციას აძლევს ადრესანტი მათ - ანუ ის, რაც მატარებელში ხდება, იძლევა სხვადასხვა გამონათქვამების აგების საშუალებას. თუ რომელ სიტუაციას აირჩევს ადრესანტი და როგორი ფორმით წარმოადგენს, დამოკიდებულია მის კომუნიკაციურ ინტენციაზე, მის წარმოდგენაზე ადრესატის შესახებ და ა. შ. - ერთი სიტყვით კომუნიკაციურ სიტუაციაზე მის მთლიანობაში. მაშასადამე, სიტუაციის (რეფერენტული სიტუაციის) გარდა, ნებისმიერი გამონათქვამში შეიძლება ასევე გამოიყოს კომუნიკაციური სიტუაცია. კომუნიკაციური სიტუაციის მნიშვნელოვან პარამეტრებს წარმოადგენენ არა მხოლოდ ადრესანტი და ადრესატი, არამედ მათთან ერთად, თუ სად და როდის ხდება კომუნიკაცია:

ადგილი - სად ხდება მოქმედება (მაგ. აუდიტორია, ქუჩა, ტყე, ზღვის სანაპირო, და ა.შ.);

დრო - როდის ხდება მოქმედება (კვირის დღე, წელიწადის დრო, საათი და ა.შ.);

ის, რაც გარშემო ხდება (მაგ. ლექციის მიმდინარეობა, ხანძარი და ა.შ.);

თუ შევეცდებით ვერბალურად (ენობრივად) წარმართული კომუნიკაციის აქტის უფრო დეტალურად წარმოდგენას, მაშინ საკომუნიკაციო აქტის სტრუქტურა ადგილისა და დროის გარდა, ასევე გულისხმობს ვინ არიან კომუნიკანტები -

როგორია მათი სოციალური როლი და სტატუსი; როგორია მათი ურთიერთობა; როგორია მათი წარმოდგენა სამყაროს ხატზე და ა.შ.

ამდენად, გამონათქვამი შესაძლოა ადრესატის მიერ სწორად იქნას გაგებული მხოლოდ განსაზღვრულ სიტუაციურ პირობებში, რადგან მისი მნიშვნელობა თავის თავში მოიცავს ექსტრალინგვისტურ სიტუაციას - იგი მუდამ სიტუაციურია და სუბიექტური - გულისხმობს სუბიექტის დამოკიდებულებას. შესაბამისად, გამონათქვამის მნიშვნელობა არ ამოიწურება მხოლოდ ენობრივ ერთეულთა მნიშვნელობათა ერთობლიობით, რომელიც მასში გვხვდება. ხშირად შეიძლება ისეთ შემთხვევასთან გვეკონდეს საქმე, როდესაც გამონათქვამის რეალური მნიშვნელობა არა მხოლოდ სრულად არ ემთხვეოდეს გამონათქვამის მნიშვნელობათა ჯამს, არამედ შესაძლოა, ეწინააღმდეგებოდეს. მაგალითად:

- „სოფელში ხომ არ წავსულიყავით მომავალ შაბათ-კვირას?“

- „არა, მომავალ კვირას ბევრი საქმე მაქვს.“

- „რა თავაზიანად მითხარი უარი.“

ემთხვევა თუ არა რეალურ მნიშვნელობას ის, რაც ზემოთ გადმოცემულია უშუალო ენობრივი მოცემულობით? - ანუ მიზეზი სოფელში გამგზავრების შეთავაზებისა არის მხოლოდ სოფელში წასვლის სურვილი და გამგზავრებაზე უარის თქმისა არის მოუცლელობა? თუ კარგად გავეცნობით მოცემული სიტუაციის კონტექსტს, შესაძლოა აღმოჩნდეს, რომ სოფელში გამგზავრების შეთავაზებას სხვა რამ ფარული მოტივი ჰქონოდა (დავუშვათ, შერიგების). ხოლო მიზეზი უარის თქმისა, შესაძლოა სულაც არ იყოს მოუცლელობა. ბოლო რეპლიკა კი „რა თავაზიანად მითხარი უარი“, ირონიული შეიძლება იყოს და სულაც საპირისპიროს შეიძლება ნიშნავდეს. ეს კი იმას ნიშნავს, რომ გამონათქვამის მნიშვნელობა ყოველთვის არ უდრის მასში შემავალი ენობრივი ერთეულების მნიშვნელობათა ჯამს და ერთი და იგივე ენობრივმა ნიშნებმა შესაძლოა სრულიად სხვადასხვა რამ გვამცნოს განსხვავებულ სიტუაციაში.

აქედან გამომდინარე, გამონათქვამის შინაარსში შეიძლება გამოიყოს ექსპლიციტური და იმპლიციტურ მნიშვნელობები. გამონათქვამის (ტექსტის) **ექსპლიციტური** მნიშვნელობა გამოხატულია პირდაპირ, უშუალო ენობრივი მოცემულობით, ე.წ. „ღია ტექსტით“. **იმპლიციტური** მნიშვნელობა არის ფარული, ნაგულისხმევი, რომელიც არ არის პირდაპირი მოცემულობით გამოხატული ენობრივ ნიშნებში, ანუ **ქვეტექსტური**.

ქვეტექსტს ორი მნიშვნელოვანი მახასიათებელი გააჩნია: მან შეიძლება „შეავსოს“ მნიშვნელობა, მას რაღაც დამატებითი შესძინოს, და შეიძლება საერთოდ შეცვალოს, ან სულაც მისი საპირისპირო მნიშვნელობა გვაჩვენოს. მაგალითად, პროპოზიცია „რა კარგი ამინდია“ გარკვეულ კონტექსტში შეიძლება ნიშნავდეს, რომ ამინდი, პირიქით, ძალიან ცუდია. თუ ადამიანი აპირებდა მდინარის პირას ტყეში გასეირნებას და

ფანჯარაში ხედავს რომ გარეთ თავსხმაა, მისი კომუნიკაციური ინტენცია სულაც არ იქნება ამგვარი ამინდის შექება.

ვიმსჯელოთ შემდეგ საკითხებზე

1. განვმარტოთ რა მიმართებაშია ერთმანეთთან ენა, დისკურსი და ტექსტი.
2. როგორია მიმართება ადრესანტსა და ადრესატს შორის კომუნიკაციის პროცესში?
3. განმარტეთ ილოკუციისა და პერლოკუციის ცნებები.
4. განმარტეთ სიტუაციის ცნება. რას ნიშნავს ტერმინი „სიტუაციათა კონტექსტი“?
5. განმარტეთ რა არის რეფერენტული სიტუაცია და რასთან არის მისი არჩევა დაკავშირებული.
6. განმარტეთ რას ნიშნავს კომუნიკაციური სიტუაცია.
7. განმარტეთ ტერმინები - „ექსპლიციტური და „იმპლიციტური“. დაასახელეთ მაგალითები.

ლექცია 6

ტექსტი როგორც ლინგვისტური ცნება და ტექსტის ლინგვისტური თეორია

ტექსტის ფუნქციური და სტრუქტურული ასპექტები

მას შემდეგ, რაც უკვე განვმარტეთ დისკურსის ცნება და ვილაპარაკეთ იმ პრინციპზე, რასაც იგი ეფუძნება (ანუ ინტერსუბიექტურობის პრინციპზე) და გარდა ამისა, ვილაპარაკეთ იმის შესახებ, რომ შეუძლებელია არსებობდეს დისკურსი არა მხოლოდ მასში ასახული რეფერენტული სიტუაციის, არამედ კომუნიკაციური სიტუაციის გარეშე, ახლა შეგვიძლია უფრო გაშლილი სახით განვმარტოთ კომუნიკაციური ლინგვისტიკის მეორე ისეთი ფუნქციური ტერმინი, როგორცაა „ტექსტი“ და უფრო არსებითად დავუკავშიროთ იგი ისეთი ცნებებს, როგორცაა „ენობრივი კომუნიკაცია“ და „დისკურსი“.

ყოველი ჩვენგანისათვის, ენათმეცნიერების კურსის შესწავლის გარეშე ცნობილია, რომ ადამიანური სინამდვილე არ არსებობს ტექსტის გარეშე. ყოველიურად ჩვენ ვხვდებით მრავალი სახის ტექსტს. ალბათ, ძნელად თუ მოიძებნება ფენომენი, რომლის შესახებ იმდენი კვლევა არსებობდეს, რაც დაგროვილია ტექსტის გარშემო. როდესაც მის შესახებ არის ლაპარაკი, ადამიანთა უმრავლესობა ამ ფენომენს უკავშირებს ქალაქში დაწერილი დიდი ზომის ენობრივ წარმონაქმნს, რომელიც შედგება წინადადებებისაგან.

ცხადია, ტექსტის მიმართ ინტერესი პირველად მე-20 საუკუნეში არ გაჩენილა - იგი კაცობრიობას ყოველთვის აინტერესებდა. მაგრამ საუკუნეების განმავლობაში იგი იყო უბრალოდ სიტყვა და არ ყოფილა ტერმინი. მისი ტერმინად ქცევა (ტერმინოლოგიზაცია) მოხდა მე-20 საუკუნის მეორე ნახევარში, ისეთი ლინგვისტური პარადიგმის ფარგლებში, როგორცაა კომუნიკაციური პარადიგმა და მას შემდეგ ამ ტერმინის მნიშვნელობა სულ უფრო და უფრო ფართოვდება, იმდენად, რომ მან უკვე გადალახა ლინგვისტური საზღვრები და შეიძინა უნივერსალური კომუნიკაციური მნიშვნელობა - ყველაფერი, რასაც შეუძლია შეასრულოს კომუნიკაციის ფუნქცია - იქნება ეს ნაციონალური სამოსი, საგზაო ნიშანი, მხატვრული ნაწარმოები, თუ შენობა - არის ტექსტი; თვით ეს სამყაროც, შეიძლება იქნეს მიჩნეული ტექსტად, რომელიც უნდა წავიკითხოთ. ტექსტის ამგვარი ზოგადი კომუნიკაციური გაგება სცილდება ტექსტის როგორც დისკურსის ენობრივი განზომილების გაგებას.

ჩვენ ვრჩებით ლინგვისტიკის ფარგლებში და გვაინტერესებს ტექსტი როგორც დისკურსის ლინგვისტური განზომილება. დღევანდელი ჩვენი ლექციის თემაა ვნახოთ, თუ როგორ ხედავს თანამედროვე ლინგვისტიკა ტექსტს - როგორ ესმის მას ტექსტი როგორც ლინგვისტური ცნება და რა გზის გავლა მოუხდა მას ამ ხედვამდე მისასვლელად.

რა ვიცი ვერბალური (სიტყვიერი) ტექსტის შესახებ, რომლის გარეშეც წარმოდგენილია ადამიანური სინამდვილე? ჩვენ უკვე ვიცით, რომ დისკურსის ენობრივი განზომილება არის სწორედ ტექსტი. შესაბამისად, ვიცით, რომ იგი არის ენის აქტუალიზაციის შედეგად მიღებული პროდუქტი - ყოველი ტექსტი - არსებობს რომელიღაც კონკრეტულ ენაზე (ვგულისხმობთ ნაციონალურ ენას, მაგ. ქართული, ფრანგული, ინგლისური), ყოველი ტექსტი თავისი წარმოშობით ეკუთვნის ამა თუ იმ ენაზე მეტყველ სუბიექტს (ენობრივ სუბიექტს), ანუ ადრესანტს და ყოველთვის მიმართულია მეორე სუბიექტისაკენ (სხვა სუბიექტებისაკენ) - ადრესატისაკენ. ამასთანავე, ტექსტი არსებობს მას შემდეგ, რაც ადამიანი არსებობს. ადამიანი კი არსებობს სხვადასხვა ეპოქაში და ამდენად, ნებისმიერი ტექსტი ეკუთვნის რომელიღაც ეპოქას (ეპოქალურ კულტურას).

მამასადამე, ყოველი ტექსტი არსებობს რომელიღაც ენაზე, ეკუთვნის რომელიღაც ენობრივ სუბიექტს (დისკურსის სუბიექტს) და რომელიღაც კულტურას.

გარდა იმისა, რომ ნებისმიერი ტექსტი შეიძლება დავახასიათოთ ზემოთ წარმოდგენილი ამ სამი ასპექტის ხედვით, იგი უნდა დავახასიათოთ იმის მიხედვით, თუ რა სახის შეიძლება იყოს. როგორც აღინიშნა, ენის გამოყენება ადამიანური სინამდვილის განსხვავებულ სფეროებში განაპირობებს სხვადასხვა ტიპის დისკურსის წარმოქმნას (როგორცაა, მაგალითად, ყოველდღიური დისკურსი, მხატვრული დისკურსი, ჟურნალისტური დისკურსი, სამედიცინო დისკურსი, და ა.შ.). დისკურსის ყოველი ტიპი კი შეიძლება ხასიათდებოდეს ქვეტიპთა არსებობით, მაგალითად მეცნიერული დისკურსის ქვეტიპებია: ლექცია, მონოგრაფია, სამეცნიერო სტატია და ა.შ.; ჟურნალისტური დისკურსის ქვეტიპებია რეპორტაჟი, საგაზეთო სტატია და ა.შ. დისკურსის ქვეტიპს ეწოდება „**ჟანრი**“. შესაბამისად, ტექსტი როგორც დისკურსის პროდუქტი ვერ იქნება უბრალოდ, ზოგადად ტექსტი. ნებისმიერი ტექსტი მიეკუთვნება ამა თუ იმ ჟანრს, სხვაგვარად რომ ვთქვათ, ჟანრი მოიცავს ტექსტების მრავალფეროვნებას (როგორც მხატვრულს, ისე არამხატვრულს, მაგალითად, მოთხრობა, რომანი, სონეტი, განცხადება, ქადაგება და ა.შ.).

ახლა ვნახოთ, თუ რა გზის გავლა მოუხდა ტექსტს, სანამ ლინგვისტიკა მას ისე დაინახავდა, როგორც ზემოთ იქნა წარმოდგენილი.

როგორც გვახსოვს, სისტემური პარადიგმის ფარგლებში ენობრივი სისტემის უმაღლეს დონეებრივ ერთეულად მიჩნეული იყო წინადადება. რადგანაც თანდათანობით უკვე შეუძლებელი აღმოჩნდა მრავალი ენობრივი მოვლენის ახსნა წინადადების დონეზე (თუნდაც ისეთი ენობრივი მოვლენის მიმართ, როგორცაა

არტიკლი⁵), საჭირო გახდა ენობრივ მოვლენათა კვლევა და ინტერპრეტაცია უფრო „მსხვილი“ ერთეულის ფარგლებში, ვიდრე წინადადებაა. ენობრივ მოვლენათა კვლევა უკვე ხდებოდა არა ერთი წინადადების, არამედ წინადადებათა ერთობლიობის, ანუ ტექსტის ფარგლებში.

სწორედ ამ მიზეზებიდან გამომდინარე, XX საუკუნის 60-70-იან წლებში, დისკურსის თეორიის პარალელურად, ფორმირება დაიწყო ტექსტის ლინგვისტურმა თეორიამ, რომელმაც თანდათანობით დამოუკიდებელი დისციპლინის სტატუსიც შეიძინა და რომელსაც, როგორც უკვე ვიცით, ეწოდა „ტექსტის ლინგვისტიკა“.

ტექსტის ლინგვისტიკის განვითარებასთან ერთად, იწყება ენის ტრადიციული თეორიის ფუნდამენტური გადაფასება. ლინგვისტთა თვალსაზრისით, ტექსტი მიიჩნევა ენობრივი დონის უმაღლეს „ენის პირველად ნიშნად“. ამდენად, ენობრივი ერთეულების ტრადიციული იერარქია (ფონემა - მორფემა - სიტყვა - წინადადება) კიდევ ერთი ერთეულით იზრდება და ენის დონეებრივ სტრუქტურაში უმაღლეს ადგილს იკავებს უკვე ტექსტი.

ამ ეტაპზე უკვე აღარ იყო საკმარისი ტექსტის იმგვარი დეფინიციები, როგორცაა „წინადადებაზე აღმატებული ერთეული“, „წინადადებათა თანმიმდევრობა“. წინა პლანზე გადმოვიდა ტექსტის როგორც კომუნიკაციური ერთეულის შესწავლა.

ტექსტის შესწავლის იმ მიმართულებას, სადაც წინა პლანზე წამოწეულია ტექსტის კომუნიკაციური ბუნება იწოდება „კომუნიკაციურად ორიენტირებულ ტექსტის ლინგვისტიკად“⁶. იგი ტექსტს შეისწავლის როგორც კომუნიკაციური სიტუაციის განუყოფელ ნაწილს, რომელიც ყოველთვის ჩართულია კონკრეტულ კომუნიკაციურ პროცესში, სადაც მეტყველი სუბიექტი და მსმენელი სუბიექტი, (ადრესანტი და ადრესატი) თავიანთი სოციალური და სიტუაციური მახასიათებლებით წარმოადგენენ უმნიშვნელოვანეს ფაქტორებს.

ზემოთ ნათქვამის საფუძველზე, შეიძლება ვილაპარაკოთ ტექსტის როგორც ვერბალური ერთეულის ორგვარ ხედვაზე - დავინახოთ იგი სტრუქტურულად და ფუნქციურად.

ტექსტის სტრუქტურული გაგება (დეფინიციათა უმეტესობის მიხედვით) გულისხმობს, რომ ტექსტი რაოდენობის მხრივ წინადადებათა ჯაჭვისაგან (არანაკლებ ორი წინადადებისაგან) უნდა შედგებოდეს, რომლებიც ერთმანეთს

⁵ როგორც ცნობილია, განუსაზღვრელი არტიკლი იხმარება საგნის პირველი დასახელებისას, განსაზღვრული კი - განმეორებით დასახელებისას. ვინაიდან შეუძლებელია ერთი და იგივე საგნის ერთი წინადადების ფარგლებში დასახელება, განუსაზღვრელი და განსაზღვრული არტიკლის ფუნქციების ახსნა შეუძლებელი იყო წინადადების ფარგლებში.

⁶ ბრინკერი, 1992 : 12-15.

უკავშირდებიან აზრობრივად (თემატურად) და სხვადასხვა სახის ლექსიკური და გრამატიკული კავშირებით.

ტექსტის ლინგვისტიკის განვითარების კვალდაკვალ, სულ უფრო და უფრო ხშირად ისმებოდა კითხვები მიჩნეულიყო თუ არა ტექსტად ისეთი ენობრივი წარმონაქმნები, როგორცაა ლოზუნგები, მოწოდებები, სარეკლამო ტექსტები. შეიძლებოდა თუ არა, მაგალითად, ერთი სიტყვა ან ერთი წინადადება ჩათვლილიყო ტექსტად? როგორ ხდება, რომ გარკვეულ შემთხვევებში, ცალკეული წინადადება შეიძლება იყოს ტექსტი? ხომ არ გვაფიქრებინებს ეს ფაქტი იმას, რომ ენობრივი ერთეულის ზომა არ განსაზღვრავს მის ტექსტობრიობას?

ამ კითხვებზე პასუხის გაცემა საჭიროებდა ტექსტისადმი ფუნქციურ მიდგომას, რომლის თანახმადაც, ნებისმიერი ენობრივი წარმონაქმნი, რომელიც ასრულებს კომუნიკაციის ფუნქციას, შეიძლება მიჩნეულ იქნას ტექსტად. ამგვარი მიდგომის საფუძველზე, როგორც ვთქვით, არამცთუ წინადადება, არამედ ნებისმიერი ფრაზა ან სიტყვა, ან სიტყვის რომელიღაც ნაწილი, გრაფოლოგიური ნიშანი, თუკი იგი კომუნიკაციის ფუნქციას ასრულებს, არის ტექსტი. მაგალითად, საჯაროდ აბრაზე გამოკრული განცხადებები, როგორცაა *KEEP OFF THE GRASS, NO SMOKING, W.C., IN, OUT* და ა.შ. ვერ ჩაითვლებიან სტრუქტურულად დასრულებულად, რადგან ისინი არ შედგებიან ურთიერთდაკავშირებული წინადადებებისაგან - ზოგიერთი მათგანი უბრალოდ ფრაზაა, სიტყვა, აკრონიმი და ა.შ., მაგრამ ისინი ასრულებენ კომუნიკაციის ფუნქციას. ავიღოთ, თუნდაც, გრაფოლოგიური ნიშანი *P*. ნებისმიერი გამვლელი მას აღიქვამს როგორც ტექსტს, რომელიც გარკვეულ ინფორმაციას გადმოსცემს, რაღაცას ატყობინებს. სწორედ ეს ერთადერთი ნიშანი *P* ნიშნავს „პარკინგს“, რომელიც მიანიშნებს ადამიანს ქუჩაში, რომ აქ ნებადართულია მანქანების გაჩერება და აქ არის ადგილი, სადაც შეუძლია მანქანა დატოვოს. და თუკი მას გააჩნია კომუნიკაციის ფუნქცია, მაშინ რის საფუძველზე შეიძლება არ მივიჩნიოთ იგი ტექსტად? მოცულობის კრიტერიუმის? შეგვიძლია განვაცხადოთ, რომ იგი არ არის ტექსტი, რადგან მოცულობით უფრო პატარაა, ვიდრე წინადადება? *P* არის ტექსტი - მინიმალური ტექსტი, რომელიც უფრო დიდი მოცულობის ტექსტს მოიცავს თავის თავში⁷ (ანუ იგი მიანიშნებს ადამიანს ქუჩაში, რომ აქ ნებადართულია მანქანების გაჩერება და აქ არის ადგილი, სადაც შეუძლია მანქანა დატოვოს - აქ არის ავტომობილების გასაჩერებელი ადგილი).

ამგვარი გაგებით, როგორც თავიდანვე ითქვა, ტექსტი არის დისკურსის როგორც ენის აქტიუალიზაციის შედეგად მიღებული პროდუქტი, რომელიც ასევე შედგება მისი თანმხლები კომუნიკაციური ელემენტებით.

ამგვარად გაგებულ ტექსტს არ გააჩნია ფიქსირებული მნიშვნელობა და იგი ყოველთვის არის დამოკიდებული კონტექსტზე. მაგალითად, ზემოთ ხსენებულ ასო-

⁷ Widdowson, H.G. – Text, Context, Pretext, Blackwell Publishing, 2004.

ნიშან *P*-ს არ გააჩნია ისეთი ფიქსირებული მნიშვნელობა, ფიქსირებული დენოტაციებით, როგორც ვთქვათ ისეთ აკრონიმებს, როგორცაა BC (Before Christ) ან BBC (*British Broadcasting Corporation*). მაგალითად, თუ მას დავინახავ სადმე სადარბაზოს კედელზე დაწერილს, მაშინ იგი სულაც არ ნიშნავს “ავტოსადგომს”, რომელიც მიაწინებს ადამიანს ქუჩაში, რომ აქ ნებადართულია მანქანების გაჩერება და აქ არის ადგილი, სადაც შეუძლია მანქანა დატოვოს; თუ საინფორმაციო აბრაზე - სადმე სოფლად გზის პირას, მაშინ იგი მიაწინებს პატარა სივრცეზე გზის პირას - ავტომანქანების გასაჩერებელ მოედანზე, სადაც მცირე ხნით შეიძლება მანქანის გაჩერება. ანუ ტექსტის - *P*-ს ინტერპრეტაცია დამოკიდებულია, თუ სად ვნახავთ მას, ან რა ვიცი ავტომანქანების გასაჩერებელი მოედნის და გადახურული მრავალსართულიანი ავტოსადგომის შესახებ. სხვა სიტყვებით რომ ვთქვათ, ჩვენი ინტერპრეტაცია დამოკიდებულია იმაზე, თუ ტექსტს როგორ დავუკავშირებთ კონტექსტს: ერთი მხრივ, მის სიტუაციურ და სოციალურ მახასიათებლებს და მეორე მხრივ, ჩვენს სოციალურ ცოდნას - ჩვენს ცოდნას იმ რეალობის შესახებ, რომელიც მიღებულია იმ საზოგადოებაში, რომელშიც ჩვენ ვცხოვრობთ.

ზოგადად ნებისმიერი ფენომენის აღქმა და გაგება, ანუ ამ ფენომენის შესახებ თეორიის აგება, გულისხმობს მისი ისეთი ასპექტის (ასპექტების) გამოყოფას, რომლის გარეშე იგი ვერ იარსებებს. ასეთ ასპექტს კი ეწოდება „კატეგორია“ (ბერძ. *catagoreo* ნიშნავს „მოთხოვნას“). სწორედ ასევე, ნებისმიერი ენობრივი ერთეულის აღქმა და გაგება გულისხმობს ისეთი ასპექტის გამოყოფას, რომლის გარეშე იგი ვერ იარსებებს. მაგალითად, წინადადების ძირითადი კატეგორია, ანუ მისი ისეთი ასპექტი, რომლის გარეშე წინადადება წარმოუდგენელია, არის **პრედიკაცია**. რატომ ხდება, რომ სიტყვათშეთანხმება „პატარა ბავშვი“ არ აღიქმება წინადადებად, ხოლო „ბავშვი პატარაა“ - კი აღიქმება? იმიტომ, რომ მეორე შემთხვევაში, სიტყვათშეთანხმებას თან ახლავს ის, რის გარეშეც წინადადება წარმოუდგენელია, ანუ მას თან ახლავს პრედიკაცია, რაც ნიშნავს “რადაცის რადაცით განსაზღვრას დროის მითითებით”. და რადგან მე-20 საუკუნის ლინგვისტიკამ არამცთუ შექმნა ტექსტი როგორც ლინგვისტური ტერმინი, არამედ მიიჩნია კიდევ იგი ენობრივი სისტემის უმაღლეს ერთეულად, საჭირო გახდა მისი ცენტრალური კატეგორიის დასახელება და განსაზღვრა. ასეთ კატეგორიად კი მიჩნეულია **კოჰეზიის (კოჰეზიურობის) კატეგორია**, რომელიც გულისხმობს სხვადასხვა სახის შეკავშირების საშუალებებს ტექსტის ფარგლებში.

ვიმსჯელოთ შემდეგ საკითხებზე

1. რა ვიციტ ტექსტის შესახებ?
2. როდის დაიწყო ფორმირება ტექსტის ლინგვისტურმა თეორიამ და როგორ შეისწავლიდა იგი ტექსტს?
3. რას ნიშნავს ტექსტის სტრუქტურული გაგება?
4. რას ნიშნავს ტექსტის ფუნქციური გაგება?
5. რის საფუძველზე შეიძლება ესა თუ ის ენობრივი წარმონაქმნი მივიჩნიოთ ტექსტად? „მუშაობს“ თუ არა მოცულობის კრიტერიუმი? დაასახელეთ მაგალითები.
6. როგორია კავშირი ტექსტსა და კონტექტს შორის?
7. რას ნიშნავს ტერმინი „კატეგორია“ და რომელია ტექსტის ძირითადი კატეგორია?

ლექცია 7

ენობრივი სისტემის ფონოლოგიური დონე: ფონემა როგორც ფონოლოგიური დონის ძირითადი ერთეული

როგორც ვიცით, სოსიურის მიერ წარმოდგენილი ენობრივი სინამდვილის დიქტომია - ენა და მეტყველება - თანამედროვე ლინგვისტიკაში აღიქმება როგორც ენობრივი სისტემა და მისი აქტუალიზაცია. ენობრივი (ვერბალური) კომუნიკაციის პროცესში კი ერთდროულად ხდება ენობრივი სისტემის აბსოლუტურად ყველა დონის აქტუალიზაცია და ამ სისტემის ყოველ დონეს იკვლევს ცალკეული დარგი.

მოცემულ ეტაპზე ჩვენი მიზანია სწორედ ენობრივი სისტემის დონეების, ენობრივი ერთეულების და მათი შემსწავლელი ცალკეული დარგების გაცნობა.

ბუნებრივია, მათ გაცნობას ვიწყებთ ფონოლოგიური დონით, რომელიც ენობრივ სისტემაში, იერარქიის თვალსაზრისით, ყველაზე დაბალ დონეს წარმოადგენს.

როგორც გვახსოვს, ფონოლოგიური დონის ძირითადი ენობრივი ერთეულია ფონემა. იგი არანიშნობრივ, ერთპლანიან ერთეულად ითვლება. შეიძლება გაჩნდეს კითხვა: თუ ენა ენობრივი ნიშნებისგან შემდგარი სისტემაა, მაშინ რატომ არის ფონემა არანიშნობრივი ერთეული? ფონემები არანიშნობრივ ერთეულებად ითვლებიან იმდენად, რამდენადაც, აუცილებელნი არიან იმისათვის, რომ შედგეს ნებისმიერი ენობრივი ნიშანი. სხვაგვარად რომ ვთქვათ, ფონემები „საშენი მასალის“ როლს ასრულებენ სხვა ენობრივი ნიშნებისათვის. ფონემები ერთპლანიანი ერთეულებია იმიტომ, რომ მათ აქვთ ფორმა, მაგრამ არა აქვთ შინაარსი. მორფემას, რომელიც შედგება ფონემებისაგან, უკვე აქვს ორი პლანი, თუმცა მას არ შეუძლია შეასრულოს ნომინაციის ფუნქცია, რაც მასზე მაღლა მდგომ ერთეულს - სიტყვას - შეუძლია.

ფონემას როგორც ფონოლოგიური დონის ერთეულს სწავლობს ფონოლოგია. მაგრამ, როგორც უკვე ითქვა, ენათმეცნიერების ისეთი დარგი, რომელიც ტრადიციულად შეისწავლიდა ბგერას, მუდამ იყო ფონეტიკა და ეს უკანასკნელი მუდამ იკვლევდა ბგერას. მაგრამ ფონოლოგიამ, რომელიც ახალი (სისტემური ენათმეცნიერების) დარგია, მოახდინა ბგერის იმგვარი განზოგადება, რომ იგი აქცია ენობრივი დონის ერთეულად - ფონემად.

ჩვენ უკვე ხაზი გავუსვით ორ ცნებას - ფონემასა და ბგერას - შორის განსხვავებას და ვთქვით, რომ ფონემა არის ბგერის განზოგადება. რას გულისხმობს განზოგადება? ავიღო ამგვარი მაგალითი: ნებისმიერი ადამიანი ან ქალია, ან მამაკაცი, ან მოზარდი, ან ჩვილი, მაგრამ თავად ადამიანი როგორც ცნება არის განზოგადების შედეგი, ანუ სხვაგვარად რომ ვთქვათ, წარმოადგენს აბსტრაქციას (აბსტრაქცია თავისთავად გულისხმობს კონკრეტული თვისებების ჩამოშორებას). სწორედ ასევე, ფონემა არის

განზოგადებული, აბსტრაქტული ფენომენი. თუ ნებისმიერი ბგერა სხვადასხვა კონკრეტული თვისებებით ხასიათდება, ფონემა, მისგან განსხვავებით, ენის სისტემაში არსებული აბსტრაქტული ერთეულია. ამ ორ ერთეულს (ფონემასა და ბგერას) შორის განსხვავების შესახებ მოგვიანებით უფრო საფუძვლიანად და უფრო დეტალურად განვმარტავთ.

ფონემას როგორც ენის სისტემაში ფონოლოგიური დონის ერთეულს, როგორც უკვე ვიცით, იკვლევს **ფონოლოგია**. ფონოლოგიის თეორიას საფუძვლად უდევს ოპოზიციის ცნება. შევეცადოთ განვმარტოთ ეს ცნება:

ავილოთ ამგვარი მაგალითი:

safe [seif]

save [seiv]

რომ არა განსხვავება თანხმოვნებში - f და v - არ გვექნებოდა ორი სხვადასხვა სიტყვა. იმისათვის, რომ ბგერებმა შეასრულონ **დისტინქციური** (ანუ განმასხვავებელი) **ფუნქცია**, ერთმანეთის ჩანაცვლების შემთხვევაში უნდა შეიცვალოს სიტყვის მნიშვნელობა და სწორედ ასეთ შემთხვევაში, ქმნიან ისინი **ოპოზიციას**. მაშასადამე, ბგერის დისტინქციური ფუნქციის ცნება, რომელიც ბგერის ფუნქციათა შორის ძირითად ფუნქციად მიიჩნევა, იძლევა საფუძველს დაფუძკავშიროთ იგი უფრო ფართო ცნებას - **ოპოზიციის ცნებას**. ჩვენს მიერ ზემოთ მოყვანილ მაგალითში f და v ბგერებს იმიტომ შეუძლიათ ერთმანეთისაგან განასხვავონ ორი სიტყვა, რომ ენის ფონოლოგიურ სისტემაში მათ შორის არის ოპოზიციური ურთიერთმიმართება. ენათმეცნიერების სხვადასხვა დარგებში შემდგომში შემოსული ოპოზიციის ცნება სწორედ ფონოლოგიაში არსებული ოპოზიციის თეორიიდან იღებს სათავეს.

ფონოლოგიური ოპოზიციის (დაპირისპირების) წევრს ეწოდება „**ფონოლოგიური ერთეული**“, ანუ ყოველი ურთიერთდაპირისპირებული ერთეული გვაძლევს ოპოზიციურ ერთეულს. ფონოლოგიურ ერთეულებს შორის დისტინქცია (განსხვავება), როგორც უკვე ჩვენს მიერ წარმოდგენილ მაგალითში - safe და save - ვნახეთ, შესაძლებელია დავინახოთ ისეთი ნიშნობრივი ერთეულის მაგალითზე, როგორიცაა „სიტყვა“ (ამ ტერმინის ლექსიკური გაგებით). ეს განსხვავება ფონოლოგიურ ერთეულებს შორის შეიძლება იყოს სხვადასხვა მოცულობის:

ორი სიტყვა შეიძლება ერთმანეთისაგან განსხვავდებოდეს მხოლოდ ორი ბგერით, ანუ განსხვავება შეიძლება იყოს **მინიმალური** (მაგ. let – lit; pin –bin და ა.შ.);

განსხვავება შეიძლება იყოს ორ ან მეტ ბგერაში, ანუ განსხვავება შეიძლება იყოს **მინიმალურზე მეტი** (მაგ. mission – vision);

განსხვავება შეიძლება იყოს აბსოლუტურად ყველა ბგერას შორის (მაგ. woman და tiger), ანუ განსხვავება შეიძლება იყოს მაქსიმალური.

ჩვენ უკვე ვილაპარაკეთ, თუ რამდენად მნიშვნელოვანია ოპოზიციის ცნება ფონოლოგიაში. და იმისათვის, რომ კიდევ უფრო ნათლად დავინახოთ განსხვავება ფონემასა და ბგერას შორის, საჭიროა გავეცნოთ ოპოზიციის ორ ტიპს, რომელსაც ტრუბეცკოი წარმოგვიდგენს: ფონოლოგიურად ღირებული ოპოზიცია და ფონოლოგიურად არაღირებული ოპოზიცია. რას ნიშნავს თითოეული მათგანი?

როდესაც ფონოლოგიურ ერთეულებს შორის გამოიხატება განსხვავება (დისტინქცია), რაც ორ სიტყვას შორის ლექსიკურ მნიშვნელობას ცვლის, მაშინ ამგვარი ოპოზიცია (დაპირისპირება) არის ფონოლოგიურად ღირებული. ზემოთ წარმოდგენილ მაგალითებში გვექონდა დისტინქცია (განსხვავება) მინიმალური, მინიმალურზე მეტი და მაქსიმალური. ნებისმიერ ამ შემთხვევაში (let – lit; pin – bin; mission – vision; woman – tiger), განსხვავება ფონოლოგიურ ერთეულებს შორის გვაძლევდა სიტყვის სხვა ლექსიკურ მნიშვნელობას, ანუ ოპოზიცია (დაპირისპირება) იყო ფონოლოგიურად ღირებული.

როგორც ზემოთ ითქვა, მინიმალური განსხვავების შემთხვევაში, ორი სიტყვა ერთმანეთისაგან მხოლოდ ერთი ბგერით განსხვავდება. მათ ეწოდება „მინიმალური წყვილი“ (minimal pairs). მაგრამ თუ ორი განსხვავებული ბგერა ერთმანეთის ჩანაცვლების შემთხვევაში, არ უცვლის სიტყვას ლექსიკურ მნიშვნელობას, მაშინ არ გვექნება მინიმალური წყვილი. ასეთ შემთხვევაში, რადგან არ გამოიხატება განსხვავება (დისტინქცია) ორი სიტყვის მნიშვნელობას შორის, ამგვარი ოპოზიცია (დაპირისპირება) არის ფონოლოგიურად არაღირებული.

როდესაც ჩვენ ვილაპარაკეთ ისეთი ორი ცნების შესახებ, როგორცაა ფონემა და ბგერა, ითქვა, რომ ფონემა წარმოადგენს ბგერის განზოგადების შედეგს, ანუ იგი ბგერისაგან განსხვავებით, ენის სისტემაში აბსტრაქტული ფენომენია. ასევე, აღვნიშნეთ, რომ აბსტრაქცია თავისთავად გულისხმობს კონკრეტული თვისებების ჩამოშორებას. ახლა როდესაც უკვე განვიხილეთ ფონოლოგიურად ღირებული და ფონოლოგიურად არაღირებული ოპოზიციის ტიპები, უკვე გვაქვს საშუალება ამ ორი მეტად მნიშვნელოვანი ცნების - ფონემასა და ბგერას - შორის განსხვავება დავინახოთ უფრო დეტალურად.

ბგერა, განსხვავებით ფონემისაგან, შეიძლება იყოს ფონოლოგიურად ღირებული (ანუ განსხვავება ბგერებს შორის უცვლის სიტყვას მნიშვნელობას) და ფონოლოგიურად არაღირებული (ანუ განსხვავება ბგერებს შორის არ ცვლის სიტყვის ლექსიკურ მნიშვნელობას). ფონემა კი აუცილებლად ფონოლოგიურად ღირებული ნიშნებით უნდა ხასიათდებოდეს. რატომ?

ფონემა შეიძლება რეალიზდებოდეს სხვადასხვა ბგერებით, ერთი და იგივე ფონემა შეიძლება სულ სხვადასხვაგვარად რეალიზდებოდეს ქალის, კაცის, ბავშვის, ნასვამის, ან თუნდაც უბრალოდ სხვადასხვა ადამიანის მეტყველებაში. ასეთი ბგერები, როგორც ითქვა, არადირებულია (არარელევანტური), რადგან ისინი არ გამოიყენება სიტყვის მნიშვნელობის განსასხვავებლად. რადგანაც ფონემა ხასიათდება მხოლოდ რელევანტური ნიშნების ერთობლიობით, ხოლო ბგერა - რელევანტურითაც და არარელევანტურითაც, ამიტომ ბგერათა რაოდენობა ყოველთვის მეტი იქნება ფონემათა რაოდენობაზე.

მაშასადამე, მეტყველებაში ფონემა წარმოდგენილია სხვადასხვა ბგერათა ვარიანტებით, რომელთა შორის ყოველთვის არის განსხვავება და ამდენად, ისინი შეუძლებელია ერთხვეოდენ ერთმანეთს. სწორედ ამ ვარიანტების აღსანიშნავად შემოიტანეს ალოფონის ცნება. ბგერებს, რომლებიც ამა თუ იმ ფონემის რეალიზაციას ემსახურებიან, ეწოდებათ „ალოფონები“. სხვაგვარად რომ ვთქვათ, ალოფონი არის ერთი და იგივე ფონემა სხვადასხვა პოზიციაში, მაგალითად მოცემულ სიტყვებში lip, late - //ს წარმოთქმისას ენის წვერი ებჯინება ალვეოლარის ქედს, ხოლო სიტყვებში - pull, hole მისი წარმოთქმისას, ენის წვერი შეიძლება მიეხილოს ალვეოლარის ქედს ან უფრო ქვემოთ დაიწიოს, ხოლო ენის უკანა ნაწილი აწეულია რბილ სასასთან ახლოს; ასევე სიტყვაში /pin/ - p ფშვინვიერია, მაგრამ სიტყვაში /spin/ არაფშვინვიერი.

ალოფონები ორგვარია: ფაკულტატური და პოზიციური.

ფაკულტატური ალოფონები არა არიან დამოკიდებული ბგერით პოზიციაზე. ერთი და იგივე ადამიანი, იმისდა მიხედვით, წევს თუ ზის, დალლილი თუ დასვებეული, ფხიზელი თუ ნასვამი, ოფიციალურ გაემოში საუბრობს თუ სახლში და ა.შ. სხვადასხვაგვარად წარმოთქვამს ბგერებს.

პოზიციური ალოფონები დამოკიდებული არიან პოზიციაზე. ზემოთ მოყვანილ მაგალითში ვნახეთ, გარკვეულ პოზიციაში //ს წარმოთქმისას (lip)) ენის წვერი ებჯინება ალვეოლარის ქედს, სხვა პოზიციაში კი (late), ენის უკანა ნაწილი აწეულია რბილ სასასთან ახლოს და როგორც ვხედავთ, მათი წარმოთქმა დამოკიდებულია მეზობელი ბგერების განლაგებაზე.

წესებს, რომელთა მიხედვითაც ხდება ბგერების დაჯგუფება ფონემებად, ეწოდება ფონემების გამოყოფის წესები. ეს წესები ემყარება დისტრიბუციულ („დისტრიბუცია“ ნიშნავს „განაწილებას“) მიმართებებს.

ბგერების მიმართება ერთმანეთის მიმართ დისტრიბუციული (განაწილების) თვალსაზრისით შეიძლება იყოს სხვადასხვა სახის:

ეკვივალენტური (თავისუფალი ვარიირების) დისტრიბუცია (free variation distribution)

თუ ორი ბგერა ყოველთვის ერთ პოზიციაში გვხვდება და მათი ურთიერთჩანაცვლება არ იწვევს სიტყვის მნიშვნელობის შეცვლას (მაგალითად სიტყვაში stop – p ფშვინვით წარმოითქმება თუ არა, სიტყვას მნიშვნელობა არ ეცვლება), მაშინ ასეთი ორი ბგერა ერთმანეთის მიმართ თავისუფალ ვარიირების მიმართებაშია და ისინი უნდა განვიხილოთ როგორც ერთი ფონემის ალოფონები.

დამატებითი (არაეკვივალენტური) დისტრიბუცია (complementary distribution)

თუ ორი ბგერა ერთმანეთთან დამატებითი დისტრიბუციის მიმართებაშია, (ანუ არასოდეს ჩაენაცვლება ერთმანეთს ერთსა და იმავე პოზიციაში), ისინი განიხილება როგორც ერთი და იმავე ფონემის პოზიციური ალოფონები (როგორც მაგალითად, სიტყვაში /pin/ – p ფშვინვიერია, მაგრამ სიტყვაში /spin/ არაფშვინვიერი); სიტყვებში - nun, know, annoy – n არის ალვეოლალური ნაზალური (ცხვირისმიერი) ბგერა (alveolar nasal), ხოლო სიტყვებში - panther - month - eleventh - დენტალური (კბილისმიერი) ნაზალური.

კონტრასტული დისტრიბუცია (contrastive distribution)

თუ ორი ბგერა ერთმანეთთან კონტრასტულ დისტრიბუციულ მიმართებაშია, ანუ მათი ურთიერთჩანაცვლება იწვევს სიტყვათა მნიშვნელობის შეცვლას, მაშინ ასეთი ორი ბგერა ორი სხვადასხვა ფონემის ალოფონებია (როგორც მაგალითად, bat – mat, lit – let და ა.შ.).

დისტრიბუციასთან უშუალო კავშირშია პარადიგმატიკისა და სინტაგმატიკის საკითხი.

ელემენტები, რომლებიც ერთმანეთთან კომბინაციაში შედიან ლინეარული თანმიმდევრობით და ერთი ელემენტი მოსდევს მისგან განსხვავებულ ელემენტს, ასეთი მიმართება ელემენტებს შორის არის **სინტაგმატური**. (მაგალითად, სიტყვაში mile - /m/ /i/ /l/ /e/ ერთმანეთთან სინტაგმატურად არიან დაკავშირებული).

თუ mile -ში /i/- ის ჩაენაცვლება /a/ /o/ u/ , მაშინ მივიღებთ სულ სხვა სიტყვებს - male, mole, mule. ასეთ შემთხვევაში, /i/ უპირისპირდება /a/ /o/ u/-ს (ანუ ერთი და იგივე კატეგორიის ელემენტს) არა თანმიმდევრობაში, არა ჰორიზონტალურ, ლინეარულ განლაგებაში, არამედ სისტემაში. ასეთი მიმართება ელემენტებს შორის, როგორც ვიცით, არის პარადიგმატული და ამგვარი მიმართებები განთავსებულია ვეტრიკალურ ღერძზე.

კიდევ უფრო კონკრეტულად თუ ვიტყვით, mile /m/ პარადიგმატულ მიმართებაშია მაგალითად /p/ /m/ /n/ /s/ -თან და ა.შ. და სინტაგმატურ მიმართებაში - /i/ /l/ /e/- თან.

როგორც ვხედავთ, კონტრასტული დისტრიბუციის მიმართებაში მყოფი ელემენტების ურთიერთობა, პარადიგმატულ ღერძზე არის განლაგებული და ამგვარი მიმართება პარადიგმატულია, ხოლო დამატებითი დისტრიბუციის მიმართებაში მყოფი ელემენტების ურთიერთობა - სინტაგმატური.

ვიმსჯელოთ შემდეგ საკითხებზე

1. რატომ არის ფონემა ერთპლანიანი ერთეული?
2. რა განსხვავებაა ფონოლოგიასა და ფონეტიკას შორის?
3. რა განსხვავებაა ბგერასა და ფონემას შორის?
4. რას გულისხმობს ფონოლოგიური ოპოზიციის ცნება?
5. რას ნიშნავს ბგერის დისტინქციური ფუნქცია?
6. რას ნიშნავს „ფონოლოგიურად ღირებული“ და „ფონოლოგიურად არაღირებული ოპოზიცია“?
7. რა არის ალოფონი? დაასახელეთ ალოფონის ტიპები.
8. რას სახის შეიძლება იყოს ბგერების მიმართება ერთმანეთის მიმართ დისტრიბუციული თვალსაზრისით?
9. დაასახელეთ ეკვივალენტური (თავისუფალი ვარიირების) დისტრიბუციის მაგალითები.
10. დაასახელეთ დამატებითი დისტრიბუციის მაგალითები.
11. დაასახელეთ კონტრასტული დისტრიბუციის მაგალითები.
12. რა კავშირშია სინტაგმატიკისა და პარადიგმატიკის საკითხი დისტრიბუციასთან?

ლექცია 8

ფონოლოგია და ფონეტიკა

ბგერათა დახასიათება მათი ფუნქციის და ჟღერადობის მიხედვით

ფონოლოგიური ოპოზიციის ტიპები

ფონოლოგიური სისტემები: თანხმოვანთა და ხმოვანთა სისტემები

ზემოთ წარმოდგენილი სიტყვების - safe [seif] save [seiv] - მაგალითზე, ჩვენ განვიხილეთ ფონემები მათი დისტინქციური ფუნქციის მიხედვით და ვნახეთ, რომ ფონემების ძირითადი ფუნქცია მდგომარეობს იმაში, რომ მათ შეუძლიათ ერთმანეთისაგან განასხვავონ ორი სიტყვა - რომ არა განსხვავება თანხმოვნებში - f და v - არ გვექნებოდა ორი სხვადასხვა სიტყვა. ფონემებს, როგორც მნიშვნელობის განმასხვავებელ უმცირეს ერთეულებს, სწავლობს ფონოლოგია, ანუ ეს უკანასკნელი მათ იკვლევს ფუნქციური თვალსაზრისით. მაგრამ ჩვენს მიერ ზემოთ წარმოდგენილ მაგალითში - safe [seif] save [seiv], f და v შეიძლება დავახასიათოთ არა მხოლოდ მათი ფუნქციური თვალსაზრისით, არამედ მათი ჟღერადობის მიხედვითაც. სახმო სიმების მონაწილეობის მიხედვით, v არის მჟღერი (voiced), თანხმოვანი, f არ არის მჟღერი, იგი ყრუ (voiceless) თანხმოვანია. ხოლო წარმოთქმის (არტიკულაციის) მიხედვით, ორივე მათგანი არის ლაბიოდენტალური, ანუ კბილბაგისმიერი (labiodental) თანხმოვანი. მაშასადამე, ეს ორი თანხმოვანი შეიძლება დახასიათდეს არა მხოლოდ მათი ფუნქციის მიხედვით, განასხვავონ ორი სხვადასხვა სიტყვა, ანუ სხვაგვარად რომ ვთქვათ, ფონოლოგიური ნიშნით, არამედ მათი ფიზიკური და ფიზიოლოგიური მახასიათებლების მიხედვით, ანუ ფონეტიკური ნიშნით.

ბგერების ფიზიოლოგიურ მახასიათებლებს მის მთლიანობაში სწავლობს არტიკულაციური ფონეტიკა. ბგერების ამგვარი შესწავლა, პირველ რიგში, ეყრდნობა სამეტყველო მექანიზმის გათვალისწინებით ბგერების დახასიათებას წარმოთქმის (არტიკულაციის) ადგილის მიხედვით (თუ რომელი ორგანოები იღებენ მონაწილეობას მათ წარმოთქმაში).⁸

როგორ შეიძლება დახასიათდეს ბგერები წარმოთქმის (არტიკულაციის) ადგილის მიხედვით?

თუ ორი ან მეტი ბგერა ერთსა და იმავე ადგილზე იწარმოება, მაშინ ისინი გაერთიანდებიან ერთ რიგში. წარმოთქმის ადგილის (according to the place of articulation) მიხედვით ვიღებთ შემდეგ რიგებს:

- ბილაბიალური (წყვილბაგისმიერი) (bilabial) - ამგვარი ბგერები წარმოითქმება ორივე ბაგის მიერ: p, b, m

⁸ იხ. დანართი 1

- ლაბიოდენტალური (კბილბაგისმიერი) (labiodental) - ზედა კბილები ებჯინება ქვედა ბაგეს: f , v
- დენტალური (კბილისმიერი) (interdental) – ენის წვერი ეხება ზედა კბილებს: th (thin)
- დენტალური (dental; denti-alveolar) - ენის წვერი ეხება ალვეოლარის ქედს (ღრძილებს კბილების უკან): t, d, n, l
- ალვეოლარული (alveolar) - ენის წვერის უკანა ნაწილი (tongue blade) ეხება ალვეოლარის ქედს: s, z
- პოსტალვეოლარული (უკანა ალვეოლარულ) (postalveolar) - ენის წვერის უკანა ნაწილი ეხება ალვეოლარის ქედის უკანა ნაწილს: sh, ch, zh, j
- პალატალური (palatal) - ენის შუა ნაწილი უახლოვდება ან ეხება მაგარ სასას: y (yes)
- ველარული (velar) - ენის უკანა ნაწილი ეხება რბილ სასას: k, g, ng
- ლაბიოველარული (labiovelar) - ენის უკანა ნაწილი უახლოვდება რბილ სასას და ბაგეებიც ერთმანეთთან ახლოს მიდიან: w
- ლარინგალური (laryngal) - მხოლოდ სახმო სიმები მონაწილეობენ: h

გარდა იმისა, რომ არტიკულაციური ფონეტიკა სწავლობს ბგერებს მათი წარმოქმნის (არტიკულაციის) ადგილის მიხედვით, იგი მათ ასევე სწავლობს მათი დაბრკოლების გადალახვის და არტიკულაციის რაგვარობის მიხედვით⁹ (რის მიხედვითაც ვიგებთ, მაგალითად, ხშულია თუ არა ბგერა); ბგერის წარმოქმნისას ხმის მონაწილეობის მიხედვით¹⁰ (რის მიხედვითაც ვიგებთ ბგერა ჩქამიერია (noise) თუ სონორი (sonorant); სახმო სიმების მონაწილეობის მიხედვით (რის მიხედვითაც ვიგებთ ბგერა მჟღერია თუ ყრუ).¹¹

ხოლო ბგერების ფიზიკურ მახასიათებლებს სწავლობს აკუსტიკური (acoustic ბერძ. ακουστικός „სმენითი“) ფონეტიკა და მისი მიზანია იმის კვლევა, თუ როგორი სმენითი ეფექტი მიიღება მათი წარმოქმნისას.¹²

ზემოთ უკვე ხაზი გავუსვით, თუ რამდენად მნიშვნელოვანია ფონოლოგიაში ოპოზიციის ცნება. აღინიშნა, რომ ფონემის ძირითადი ფუნქცია არის მისი დისტინქციური ფუნქცია - როდესაც ბგერის ჩანაცვლება იძლევა განსხვავებას. მაგრამ როგორც ითქვა, ჩვენს მიერ წარმოდგენილ მაგალითებში safe და save - ორი თანხმოვანის ჟღერადობა f და v შეიძლება დახასიათდეს არა მხოლოდ მათი ფუნქციის მიხედვით, განასხვავონ ორი სხვადასხვა სიტყვა, არამედ მათი **ფიზიკური** და **ფიზიოლოგიური** მახასიათებლების მიხედვით. მაშასადამე, ყოველ სიტყვას

⁹ იხ. დანართი 2

¹⁰ იხ. დანართი 3

¹¹ იხ. დანართი 4

¹² იხ. დანართი 5

როგორც ენობრივ ერთეულს ჟღერადობის თვალსაზრისით აქვს ორი ასპექტი (თუ ჟღერადობას გავიგებთ, ერთი მხრივ, დისტინქციურად, ხოლო მეორე მხრივ, მისთვის აუცილებელი ფიზიოლოგიური და აკუსტიკური მონაცემების მიხედვით). ამდენად, ოპოზიციის ცნება კიდევ უფრო ფართო ცნებაა, ვიდრე ბგერების დისტინქციური ფუნქცია. და რადგან ეს ცნება ამდენად მნიშვნელოვანია, მაშინ უნდა განვასხვავოთ კიდევ ფონოლოგიური ოპოზიციის სამი ძირითადი ტიპი, რომელთაც უნივერსალური ღირებულება აქვთ მინიჭებული. ეს ტიპებია:

ბინარული პრივატული ოპოზიცია (binary privative opposition)

ბინარული პრივატული ოპოზიციის შემთხვევაში, ერთ წევრს აქვს მეორე წევრისაგან განსხვავებული, კონტრასტული თვისება, ანუ მას არა აქვს ის თვისება, რაც ოპოზიციის მეორე წევრს, მაგალითად მჟღერი (b –d- g) და ყრუ (p-t-k) თანხმოვნები ქმნიან ბინარულ პრივატულ ოპოზიციას. დაპირისპირებულობის თვალსაზრისით, ყველაზე მნიშვნელოვანი ბინარული პრივატული ოპოზიციაა.

ეკვიპოლენტური ოპოზიცია (equipollent opposition)

ეკვიპოლენტური ოპოზიციის შემთხვევაში, წევრები არ უპირისპირდებიან ერთმანეთს, როგორც პრივატული ოპოზიციის შემთხვევაში. მათ საერთო თვისებასთან ერთად ისინი განსხვავდებიან რაღაც თვისებით, მაგალითად, m და b ორივე ბილაბიალური თანხმოვანია, მაგრამ m სონორი ცხვირისმიერია, ხოლო b - მსკდომი.

გრადუალური ოპოზიცია (gradual opposition)

გრადუალური ოპოზიციის შემთხვევაში, ოპოზიციის წევრებს შორის განმასხვავებელი არის არა თვისების არარსებობა, არამედ მისი ხარისხი i- e- æ წინა რიგის ხმოვნები არიან, მაგრამ განსხვავდებიან ღიაობის მიხედვით.

როგორც ვნახეთ, დაპირისპირების (ოპოზიციის) სხვადასხვა სახეები შეიძლება გამოიყოს როგორც ხმოვნებში, ისე თანხმოვნებში.¹³

დანართი 1

როგორია სამეტყველო მექანიზმი? (რომელი ორგანოები იღებენ მონაწილეობას ბგერების წარმოქმნისას)?

¹³ იხ.დანართი 6

იმისათვის, რომ ბგერა წარმოვთქვათ, ჰაერნაკადმა (ამოსუნთქულმა ჰაერმა) უნდა გაიაროს სამეტყველო აპარატში. როგორც წესი, ბგერა სწორედ ამოსუნთქვით იწარმოება, თუ მას ჩასუნთქვით ვაწარმოებთ, ვიღებთ ე.წ. „კლიქს“, წკლაპუნა ბგერას (click sound). ფილტვებიდან ამოსუნთქული ჰაერი ბრონქებიდან გადადის სასუნთქ მილში (trachea), შემდეგ გამოივლის ხორხს (larynx), სადაც მოთავსებულია ბგერის წარმოთქმისათვის მეტად მნიშვნელოვანი სახმო სიმები (vocal cords). ხორხი მდებარეობს საყლაპავი მილის წინ. ხორხის ზემოთ მოთავსებულია ხახის ის ღრუ (pharynx), რომელიც პირისა და ცხვირის ღრუებში გადადის. პირის ღრუ არის ძირითადი საარტიკულაციო ორგანო, სადაც წარმოითქმება ბგერათა აბსოლუტური უმრავლესობა. მასში მოთავსებულია ყველაზე აქტიური საწარმოთქმო ორგანო - ენა. ეს უკანასკნელი შედგება ენის წვერისაგან (tip of the tongue), ენის ზურგისა (dorsum of the tongue) ენის ძირისაგან (root of the tongue). კიდევ ერთი მნიშვნელოვანი საწარმოთქმო ორგანო არის სასა. იგი წინიდან ნუნებით (alveolus) არის შემოსაზღვრული. ნუნების ზემოთ არის მაგარი სასა (hard palate), რომელსაც მოსდევს რბილი სასა (soft palate or velum). რბილი სასა მთავრდება ნაქით (uvula). წინა საზღვარს ქმნის წინა კბილები, რომლებსაც გარედან ფარავენ ზედა და ქვედა ბაგეები.

ბგერების წარმოთქმაში მონაწილეობენ: სახმო სიმები, ენა, ბაგეები, ნუნები, წინა კბილები, სასა (მაგარი და რბილი), ნაქი, ხახის უკანა კედელი, ქვედა და ზედა ყბა. ზოგი მათგანი აქტიურად მონაწილეობს (იღებს სხვადასხვა მდგომარეობას სხვადასხვა ბგერის წარმოთქმისას), ზოგი კი - პასიურად (არ იცვლის მდგომარეობას ბგერათა წარმოების დროს).

აქტიური სამეტყველო ორგანოებია: სახმო სიმები, ენა, ბაგეები, რბილი სასა, ნაქი და ქვედა ყბა.

პასიური სამეტყველო ორგანოებია: წინა კბილები, ნუნები, მაგარი სასა, ხახის უკანა კედელი და ზედა ყბა.

დანართი 2

ბგერების დახასიათება დაბრკოლების გადალახვის და არტიკულაციის რაგვარობის მიხედვით (according to the type of obstruction and manner of articulation)

დაბრკოლების გადალახვის თვალსაზრისით, ბგერების ყველაზე დიდი დაყოფა ხდება თანხმოვნების (consonants) და ხმოვნების (vowels) მიხედვით. თანხმოვნების წარმოთქმისას, ფილტვებიდან ამონასუნთქ ჰაერნაკადს უხდება დაბრკოლების გადალახვა. ეს დაბრკოლება წარმოიქმნება სხვადასხვა საწარმოთქმო ადგილებში. ხმოვანთა წარმოთქმის დროს კი ეს დაბრკოლება არ ხდება.

ხმოვანი ბგერების წარმოთქმისას, არტიკულაციის თვალსაზრისით, თანხმოვნებისაგან განსხვავებით, ჰაერის ნაკადი სუსტია და მას არ ხვდება დაბრკოლება. ხმოვანი შეიძლება იყოს გრძელი და მოკლე. გრძელი ხმოვნის

არტიკულაცია შესაძლებელია მოკლე ხმოვნის არტიკულაციაზე ორჯერ უფრო ხანგრძლივი იყოს.

დაბრკოლების გადალახვისას სამეტყველო ორგანოები შეიძლება ერთმანეთის მიმართ დახშული იყოს და ჰაერნაკადის მეშვეობით მოხდეს მათი განხშვა. ასეთ შემთხვევაში, ვიღებთ **ხშულებს** (occlusives): p, b, t, d, k, g, ყ, ძვ, m, n, ჟ. ასევე, შესაძლებელია სამეტყველო ორგანოებს შორის იყოს ნაპრალი და ჰაერნაკადმა ამ ნაპრალებში გაიაროს. ასეთ შემთხვევაში კი, ვიღებთ ნაპრალოვნებს (constrictives) f, v, s, z, თ, ძ, ჯ, ჴ, h, w, l, r, j.

ბგერა შეიძლება იყოს ხშულიც და ნაპრალოვანიც, როგორცაა

აფრიკატები ყ, ძვ

ვიზრანტები r,

ლატერალები

ნაზალები m, n

რადგანაც განხშვა აკუსტიკურად აღიქმება როგორც სკდომა, აკუსტიკური

შთაბეჭდილების მიხედვით ხშულებს მსკდომები (plosives) ეწოდებათ (p, b, t, d, k, g).

დანართი 3

ბგერის წარმოქმნისას ჩქამისა და ხმის მონაწილეობის მიხედვით თანხმოვნები

იყოფიან ჩქამიერ და სონორ ბგერებად (noise and sonorant sounds). ჩქამიერი

თანხმოვნები შედგებიან ან მხოლოდ ჩქამისაგან, ან ჩქამისა და ხმისაგან, მაგრამ

სჭარბობს ჩქამი, მაგალითად b, d, g, s, z ჴ (ჩქამს იწვევს დაბრკოლება მათი

წარმოქმნისას). სონორ, ანუ ნარნარა თანხმოვნებში სჭარბობს ხმა, მაგალითად

l, m, n, ჟ, i, w, j.

დანართი 4

სახმო სიმების მონაწილეობის მიხედვით თანხმოვნები იყოფიან მჟღერებად (voiced

consonants) (მათი წარმოებისას სახმო სიმები ჟღერენ- b,d, g) და ყრუებად (voiceless

consonants) (მათი წარმოქმნის დროს სახმო სიმები არ ჟღერენ, მაგალითად p, t, k).

ხშულები ან ნაპრალოვნები ან მჟღერებია b, d, g, v, ძვ, ძ, ჴ, z ან ყრუები p, t, k, f, თ, s,

ლ, ყ, h.

დანართი 5

ბგერის წარმოქმნისათვის აუცილებელია განსაზღვრული რხევითი მოძრაობა-

ვიზრაცია ჰაერში (ბგერა არ ვრცელდება უჰაერო გარემოში). ბუნებაში არსებული

ყველა ვიზრაცია არ აღიქმება ბგერად ადამიანის ყურის მიერ. ასეთ ბგერებს

ეწოდებათ „ულტრაბგერები“ და „ინფრაბგერები“. რხევათა ხასიათის მიხედვით,

იქმნება ტონები და ჩქამები. ტონი მიიღება, თუ რხევა პერიოდულია, ანუ თუ

რითმულია. ხოლო ჩქამი წარმოიშობა, თუ რხევა არ არის პერიოდული. ხმოვნები

ტონიერია, თანხმოვნები კი - ჩქამიერი. აკუსტიკური თვალსაზრისით, ბგერებში

განასხვავებენ: **სიმაღლეს, ხანგრძლივობას, სიძლიერეს, და ტემბრს.**

ბგერის სიმაღლე (pitch) დამოკიდებულია რხევათა რაოდენობაზე (სიხშირეზე). რაც უფრო დიდია რხევათა რიცხვი, მით უფრო მაღალია ბგერა. რაც უფრო მოკლეა სახმო სიმი, მით უფრო გრძელია ბგერა. ამდენად, ბავშვის ხმა უფრო მაღალია, ვიდრე მოზრდილის (მოზრდილის სახმო სიმები უფრო გრძელია და მკვრივი). ქალის სახმო სიმი უფრო მოკლეა მამაკაცისაზე, ამიტომ ქალის ხმა უფრო მაღალია. ბგერის სიმაღლე, აგრეთვე, დამოკიდებულია სახმო სიმების დაჭიმულობაზე. რაც უფრო დაჭიმულია სიმი, მით უფრო მაღალი ტონი წარმოიქმნება.

ბგერის ხანგრძლივობა (duration) დამოკიდებულია იმაზე, თუ რამდენ ხანს გრძელდება რხევა - წყვეტილია ის თუ ხანგრძლივი. ხშულები ყველაზე ნაკლები ხანგრძლივობით ხასიათდებიან (p, d, t); ყველაზე მეტი ხანგრძლივობა ახასიათებთ ხმოვნებს, მათ შემდეგ კი - სონორებს (m, n, r).

ბგერის სიძლიერე (intensity) დამოკიდებულია რხევათა გაქანებაზე, მათ ამპლიტუდაზე, ასევე - სახმო სიმების ამპლიტუდაზე და ბგერის სიმაღლეზე. მეტყველებისას ბგერათა სიძლიერე განისაზღვრება ამოსუნთქული ჰაერის ტალღის დაწოლით სახმო სიმებზე (ან წინააღმდეგობის სხვა ადგილებზე). მაგალითად, განსხვავდება ბგერთა სიძლიერე, როდესაც დიდ აუდიტორიაში მეტყველებს ადამიანი და როდესაც იგი ვინმეს ელაპარაკება. ბგერის სიძლიერე ასევე დამოკიდებულია მახვილზე.

ბგერის ტემბრი დამოკიდებულია ძირითადი ტონისა და თანატონების ურთიერთობაზე. ტემბრის მიხედვით განსხვავებულია სხვადასხვა ინსტრუმენტის ერთნაირი სიმაღლის ბგერები. მეტყველებაში ბგერათა ტემბრი განისაზღვრება პირისა და ცხვირის ღრუების, აგრეთვე, ხახის ღრუს მოცულობითა და ფორმით.

დანართი 6

ფონოლოგიური სისტემები: თანხმოვანთა და ხმოვანთა სისტემები

ფონემები დაყოფის შედეგად ქმნიან სისტემებს, რომლებიც სხვადასხვა ენაში განსხვავებული სახით არის წარმოდგენილი. ფონემათა უნივერსალური დაყოფა ხდება თანხმოვნებად და ხმოვნებად. არ არსებობს ისეთი ენა, რომელშიც ან მხოლოდ ხმოვანთა სისტემა იქნება ან მხოლოდ თანხმოვანთა. ქვემოთ ჩვენ განვიხილავთ ხმოვანთა და თანხმოვანთა სისტემებს ინგლისურ ენაში.

ინგლისური ვოკალიზმის სისტემა

ინგლისურ ენას გამორჩეულად მდიდარი და მრავალფეროვანი ხმოვანთა სისტემა აქვს. ქართულისაგან განსხვავებით, სადაც არ გვაქვს მოკლე და გრძელი ხმოვნები, ინგლისურ ენაში, ხმოვანთა ხანგრძლივობას ფონოლოგიური დანიშნულება აქვთ.

ხმოვანთა ოპოზიციას (დაპირისპირებას) სიგრძე-სიმოკლის მიხედვით ქვანტიტეტური (რაოდენობრივი) ოპოზიცია (დაპირისპირება) ჰქვია.

მოკლე ხმოვნები (short vowels)

/ʌ/ foot - [fʊt]; put [pʊt]; good - [gʊd]

/ʌ/ mud - /mʌd/; love - /lʌv/; blood - /blʌd/; up; sudden; lunch

/ɒ/ lot - /lɒt/; odd - /ɒd/; wash - /wɒʃ/; cot

/ə/ collar; permission; community; collective

/æ/ bad; mad; flatter; sack; bag; bat

გრძელი ხმოვნები (long vowels)

/i:/ sheep; eat; three; free; meat; weak; feed; heap

/u:/ cool; roof; tool; rule; tooth; kangaroo

/ɑ:/ arms; star; car; art; dark; martyr; far; bar

/ɔ:/ awa; ball; storm; tall; corn organ water

/ɔ:/ nurse; stir; learn; refer; shirt; skirt; heard

/i/ ship; cliff; lip; inn; silly; city; pretty; image

/e/ egg; end; mend; edge; tell; bread; head; spread; said

დიფთონგები (Diphthongs)

დიფთონგი არის ორი განსხვავებული ხმოვნის ისეთი შეერთება, რომელიც გვაძლევს ერთ მარცვალს ერთ-ერთი ხმოვნის დასუსტების გზით.

/iə/ ear; near; fear; appear

/ʊə/ poor; sure; pure; fewer

/aɪ/ ice; wide; high; shine

/eɪ/ age; fate; make; came

/ɔɪ/ oil; join; choice; toy

/eə/ air; hair; chair; stare

/əu/ home; hope; joke; nose

/aʊ/ / bow; now; cow; round

გარდა გრძელ და მოკლე ხმოვანთა ოპოზიციისა, ინგლისურ ენათა ხმოვანთა სისტემებში გამოიყოფა შემდეგი მნიშვნელოვანი ოპოზიციები:

ენის მდგომარეობის (პოზიციის) მიხედვით (according to the position of the tongue) განსხვავებენ:

წინა რიგის ხმოვნებს (front) /i:/, /e//æ/, ე.წ. “front retracted” /i/

უკანა რიგის ხმოვნებს /ɑ/ /ɑ:/ /u:/, ე.წ. “back- advance” /u/ /ɑ:/

შუა რიგის ხმოვნებს (central) /ʌ/ /ə//ə:/

ენის აწეულობის მიხედვით (height of the raised part of the tongue) განსხვავებენ:

დახურულ close (high) ხმოვნებს /i:/, /i/ /u//u:/

ნახევრად ღია ხმოვნებს mid-open (mild) /e/ /ə/ /ə:/ /ɑ:/

ღია ხმოვნებს open (low) - æ/, /ʌ/ /ɑ/ /ɑ:/

ბაგეების პოზიციის მიხედვით (according to the position of lips) ხმოვნები შეიძლება იყოს: ბაგისმიერი labialized (rounded) და არაბაგისმიერი non-labialized (unrounded).

ბაგისმიერი ხმოვნებია / ɒ /, /ɑ:/, u:/, /u:/

როგორც უკვე ითქვა, თანხმოვანთა სისტემა იყოფა ხშულებად, ნაპრალოვნებად და სონორებად.

ხშულები ინგლისურ ენაში ქმნიან შემდეგ წყვილულებს:

b p

d t

g k

ნაპრალოვნებში განსხვავებულია მჟღერებისა და ნაპრალოვნების სერიები, მაგალითად

v f

z s

3]

სონორები, რომლებიც ხმულებისა და ნაპარალოვნებისგან განსხვავებით მხოლოდ ცალეულებს ქმნიან

m

n

r

l

მათი დაჯგუფება შიძლება იმდენად, რამდენადაც m n ნაზალებია (ცხვირისმიერი), ხოლო l r როგორც ვიბრანტები (მთრთოლავი ბგერები)

დანართი 7

საარტიკულაციო ბაზისი

კონკრეტული ენისათვის დამახასიათებელ საწარმოთქმო ჩვევების ერთობლიობასწოდებაა „საარტიკულაციო ბაზისი“. იგი სხვადასხვა ენას განსხვავებული აქვს. რაში მდგომარეობს ეს განსხვავება? იმაში, რომ სხვადასხვა ენა სხვადასხვაგვარად ანაწევრებს სამეტყველო აპარატს და სხვადასხვაგვარად იყენებს მას. სამეტყველო აპარატი, ცხადია, ყველა ადამიანს ერთნაირი აქვს, მაგრამ მისი გამოყენება სხვადასხვა ენაში განსხვავებულია. მაგალითად, ინტერდენტალური ბგერები მ მ გვაქვს ინგლისურ ენაში (ძირითადად ამერიკულ ინგლისურში, ბრიტანულ ინგლისურში მათ ხშირად დენტალურ ბგერებს მიაკუთვნებენ) და არა გვაქვს ქართულში, თუმცა ქართველს, ისევე როგორც ინგლისელს და ამერიკელს, აქვს ენის წვერიც და კბილებიც. ამდენად, ჩვენ შეგვიძლია ვთქვათ, რომ ინგლისური ენის საარტიკულაციო ბაზისი განსხვავდება ქართული ენის საარტიკულაციო ბაზისისაგან. სხვადასხვა საარტიკულაციო ბაზისი აქვთ თვით ერთი ენის დიალექტებსაც. უცხო ენის ათვისების პროცესში, ერთ-ერთ სერიოზულ სირთულეს სწორედ საარტიკულაციო ბაზისი ქმნის, რადგან ამ ენის ბგერების წარმოთქმა ხდება მშობლიური ენის საარტიკულაციო ბაზისის საშუალებით. როდესაც უცხოურ ენაზე მეტყველებისას ვიყენებთ მშობლიური ენის საარტიკულაციო ბაზისს, ასეთ შემთხვევაში, ჩვენ ვმეტყველებთ აქცენტით.

დანართი 8

მახვილი და ინტონაცია

რამდენადაც ბგერები თანმიდევრობით, ლინეარულად არიან განლაგებულნი, მათ „სეგმენტური ერთეულები“ შეიძლება ეწოდოთ. რაც შეეხება მახვილსა და ინტონაციას, ისინი ბგერებს ზევიდან ერთვიან და ამიტომ მათ „ზესეგმენტურ“, ან „სუპრასეგმენტურ ერთეულებს“ უწოდებენ.

იმ ენებში, სადაც მახვილი თითოეულ სიტყვაში იცვლის პოზიციას, ვამბობთ, რომ მახვილი თავისუფალია (ცვალებადია) (variable). სწორედ ამგვარ ენებს მიეკუთვნება ინგლისური.

მახვილი შეიძლება იყოს ლინგვისტური და ასევე, ლოგიკური (სხვანაირად, მას „ემფატურიც“ (emphatic) ეწოდება). ეს უკანასკნელი წარმოაჩენს (წინა პლანზე წამოწევს) ამა თუ იმ სიტყვას (სიტყვებს) წინადადებაში. ინგლისურ ენაში ემფატური მახვილი წინა პლანზე წამოწევს ისეთ სიტყვას წინადადებაში, რომელსაც, ჩვეულებრივ, მახვილი არ დაესმის. მაგალითად, ინგლისურ ენაში მახვილი არ დაესმის პირის ნაცვალსახელს, მაგრამ, თუკი მისი წინა პლანზე წამოწევა გვინდა, მაშინ ვიყენებთ ლოგიკურ (ემფატურ) მახვილს.

ვიმსჯელოთ შემდეგ საკითხებზე:

1. რა განსხვავებაა ბგერების ფუნქციურ, ფიზიკურ და ფიზიოლოგიურ მახასიათებლებს შორის? მოიყვანეთ მაგალითები.
2. რას შეისწავლის არტიკულაციური ფონეტიკა?
3. რას შეისწავლის აკუსტიკური ფონეტიკა?
4. როგორ შეიძლება დახასიათდეს ბგერები წარმოთქმის (არტიკულაციის) ადგილის მიხედვით?
5. დაასახელეთ ოპოზიციის სამი ძირითადი ტიპი, რომელთაც უნივერსალური ღირებულება აქვთ მინიჭებული. რომელია მათ შორის განსხვავებულობის (დაპირისპირებულობის) თვალსაზრისით ყველაზე მნიშვნელოვანი და რატომ?

ლექცია 9

ენობრივი სისტემის მორფოლოგიური დონე: მორფემა როგორც მორფოლოგიური დონის ძირითადი ერთეული

მოცემულ ეტაპზე ჩვენ დავიწყებთ ენის მორფოლოგიური დონის გაცნობას, რადგანაც, როგორც გვახსოვს, ენობრივი დონეების იერარქიაში იგი ფონოლოგიური დონის შემდეგ დგას. როგორც ითქვა, ფონემა, რომელიც ფონოლოგიური დონის ძირითადი ერთეულია, ხასიათდება იმ ნიშნით, რომ იგი თავად არ არის ნიშანი, მაგრამ აუცილებელია იმისათვის, რომ შედგეს ენობრივ ნიშანთა გამოხატულების პლანი. ამ თვალსაზრისით კი, პირველ რიგში, ცხადია უნდა ვიგულისხმოთ მორფოლოგიური დონე და მისი ძირითადი ერთეული - მორფემა. ასევე ითქვა, რომ მორფემა, ფონემისაგან განსხვავებით, მნიშვნელობის მქონე ენობრივი ერთეულია. თუმცა, მიუხედავად იმისა, რომ მას აქვს მნიშვნელობა, სიტყვისაგან განსხვავებით, ვერ მიუთითებს რეფერენტზე და ვერ ასრულებს ნომინაციის ფუნქციას. სწორედ ამიტომ იგი მიიჩნევა როგორც მნიშვნელობის მატარებელი მინიმალური ერთეული. სიტყვისაგან განსხვავებით, მორფემა აღარ იშლება მასზე მცირე მნიშვნელობის მქონე ერთეულებად. მორფემა შეიძლება დაიშალოს მხოლოდ არასემიოტიკურ ერთეულებად - ფონემებად ან მარცვლებად.¹⁴

იმისდა მიხედვით, მორფემა სხვა მორფემებთან კავშირის გარეშე დამოუკიდებლად არსებობს, თუ დამოკიდებულია სხვა მორფემებზე და მხოლოდ მათთან ერთად გვხვდება, განასხვავებენ თავისუფალ (free) და არათავისუფალ (თანმხლებ) (bound) „დაბმულ“ მორფემებს.

მორფემას, რომელიც სხვა მორფემებთან კავშირის გარეშე იხმარება, „თავისუფალი მორფემა“ ეწოდება.

ხოლო მორფემა, რომელიც არ იხმარება სხვა მორფემებთან კავშირის გარეშე, თავისუფალი მორფემებისაგან განსხვავებით, იწოდება „არათავისუფალ“ („თანმხლებ“) (bound) „დაბმულ მორფემად“.

ყველა თავისუფალი მორფემა არის ლექსიკური მორფემა. ხოლო თანმხლები („დაბმული“) მორფემები ან გრამატიკული მორფემებია ან სიტყვაწარმოებითი მორფემები. გრამატიკულ და სიტყვაწარმოებით მორფემათა ერთობლიობას „აფიქსი“ ეწოდება. აფიქსები სიტყვაში მათი პოზიციის მიხედვით, თავის მხრივ იყოფა: პრეფიქსებად (თავსართებად), და სუფიქსებად (ბოლოსართებად).

¹⁴ სიტყვის დაშლა მორფემებად უნდა განვასხვავოთ სიტყვის მარცვლებად დაშლისაგან. მარცვლი მორფემისაგან განსხვავებით, არ არის მნიშვნელობის მატარებელი ერთეული. მაგალითად, სიტყვა unladylike მარცვლებად შეიძლება დავშალოთ ამგვარად: un / la/dy/like, ხოლო მორფემებად მხოლოდ ამგვარად დაიშლება: un/lady/like. როგორც ვხედავთ, სიტყვა unladylike იშლება ოთხ მარცვლად და სამ მორფემად.

როგორც ვნახეთ, ჩვენ გამოვყავით მორფემათა სამი ტიპი - **ლექსიკური, გრამატიკული და სიტყვაწარმოებითი**. დავახასიათოთ თითოეული მათგანი და ვნახოთ, თუ რა როლს თამაშობენ ისინი მათზე აღმატებული ნიშნობრივი ერთეულის - სიტყვის -შემადგენლობაში:

ლექსიკური მორფემა ბაზისური მორფემაა, რადგან შეუძლებელია არსებობდეს სიტყვა მის გარეშე. სიტყვა ვერ შეძლებს დასახელებას, თუკი მასში შემავალი ლექსიკური მორფემა არ მიუთითებს სინამდვილის რომელიმე ასპექტზე. სიტყვის შემადგენლობაში ამგვარი მორფემა ასრულებს **ძირის** როლს.

თუ ლექსიკური მორფემა სიტყვის შემადგენლობაში ასრულებს ძირის როლს, **ფუძე**¹⁵ არის სიტყვის ის სეგმენტი, რომელიც მიიერთებს **გრამატიკულ მორფემას**.

მაგალითად ავიღოთ სიტყვა “brothers”, რომელიც შინაარსის თვალსაზრისით დაიშლება ორ კომპონენტად:

1. brother – „ერთი დედ-მამის (ან ერთ-ერთი მათგანის) ვაჟიშვილი სხვა შვილების მიმართ“. ეს არის ამ სიტყვის **ლექსიკური მნიშვნელობა**.
2. s – „ერთზე მეტი (შეიძლება რამდენიმე)“, რაც არის ამ სიტყვის **გრამატიკული მნიშვნელობა**.

ამრიგად, ეს სიტყვა შედგება მინიმალური მნიშვნელობის მატარებელი ერთეულებისგან -მორფემებისაგან. აქედან ერთი მორფემა (brother) არის ლექსიკური მორფემა, ხოლო მეორე (s) - გრამატიკული მორფემა (სხვაგვარად იგი იწოდება „**ფლექსიურ აფიქსად**“.¹⁶ ფლექსია თავისი **აფიქსების** მეშვეობით წარმოქმნის **სიტყვაფორმებს**, ანუ მას აქვს **სიტყვაგვალეზადობითი** ფუნქცია, რაც გამოიხატება იმაში, რომ იგი სიტყვას უცვლის არა ლექსიკურ, არამედ გრამატიკულ მნიშვნელობას და სწორედ ამიტომ მიიჩნევა იგი გრამატიკულ მორფემად.

ინგლისურ ენაში, ქართულისგან განსხვავებით, ხშირი არ არის ფლექსიები. თუმცა გვხვდება ფლექსიური ფორმები, მაგალითად:” s”- მრავლობითობის გამომხატველი; “s” - ზმნის მესამე პირის მხოლოდობითი რიცხვის ფორმა აწმყო განუსაზღვრელ დროში; “s” -კუთვნილებითი ბრუნვაში; “er” - შედარებით ხარისხში; “est” - აღმატებით ხარისხში და ა.შ.

¹⁵ რიგ სიტყვებში ფუძე შეიძლება დაემთხვეს ძირს (შედგებოდეს ერთი ძირისაგან), მაგალითად, *man, cat, house* და ა.შ. მაგრამ დამთხვევა ფუძესა და ძირს შორის არასოდეს მოხდება დერივატი (წარმოები) სიტყვების შემთხვევაში.

¹⁶ **ფლექსია** არის ერთი და იგივე სიტყვის გრამატიკული ვარიანტების წარმოება (მაგალითად, სიტყვის უნარი იბრუნებოდეს, იუღლებოდეს, აწარმოებდეს მრავლობით რიცხვს ან ხარისხებს).

სიტყვაწარმოებითი მორფემები ახალ სიტყვას აწარმოებენ. სიტყვაწარმოება კი შეიძლება წარმოდგენილი (რეალიზებული) იყოს ოთხი ძირითადი ტიპით (მოდელით): აფიქსური დერივაციით (ანუ სიტყვის აფიქსური წარმოებით), კომპოზიციით, კონვერსიით და სიტყვის შემოკლებით.

აფიქსური დერივაციის დროს ახალ სიტყვები იწარმოება აფიქსების საშუალებით. დერივაციული აფიქსები სიტყვაში მათი პოზიციის მიხედვით იყოფიან პრეფიქსებად (თავსართებად) მაგ. *unhappy* და სუფიქსებად (ბოლოსართებად) მაგ. *happiness*.

დერივაციული აფიქსებს შეუძლიათ ერთი მეტყველების ნაწილი აქციონ სხვა მეტყველების ნაწილად.

happy – happiness

beauty – beautiful – beautifully

danger – dangerous

სხვადასხვა მეტყველების ნაწილს თავისი მაწარმოებელი აფიქსი (პრეფიქსი ან სუფიქსი აქვს).¹⁷

მიუხედავად იმისა, რომ დერივაციული აფიქსები, ძირითადად მეტყველების ნაწილებს უკავშირდება, აუცილებელი არ არის, რომ დერივაციამ გამოიწვიოს მეტყველების ნაწილის შეცვლა, მაგალითად:

possible – impossible

read - reread

რთულ (თხზულ) სიტყვებს, ანუ კომპოზიტებს (compound words) აწარმოებს სიტყვაწარმოების ისეთი ტიპი, როგორცაა კომპოზიცია (თხზვა). რთული სიტყვის სტრუქტურა შეიძლება შედგებოდეს ორი ან მეტი ფუძის შეერთებით (მაგ. sunflower, bedroom, shop-window და ა.შ.)

კონვერსიას ხშირად უაფიქსო სიტყვაწარმოებას უწოდებენ, რადგან ახალი სიტყვის წარმოებისას სიტყვის მორფოლოგიური სტრუქტურა უცვლელი რჩება, ხოლო ერთი მეტყველების ნაწილიდან მეორეში გადასვლისას, სიტყვის თავდაპირველი მნიშვნელობა განსხვავდება ან მეტ-ნაკლებად ასოციაციურად უკავშირდება კონვერსიით ნაწარმოები სიტყვის მნიშვნელობას, მაგ. hand- to hand; face – to face; to make – make.

¹⁷ იხ.დანართი 1

სიტყვათა შემოკლება (shortenings (or contracted\curtailed words) შეიძლება სხვადასხვა სახით მიიღებოდეს:

შემოკლების შედეგად სიტყვამ შეიძლება დაკარგოს ბოლო კომპონენტი, მაგ. ad – advertisement, vac – vacation, ან პირველი კომპონენტი, მაგ. phone – telephone, ან ორივე ერთად, მაგ. fridge – refrigerator, flu –influenza);

შემოკლებული სიტყვა შეიძლება გახდეს რთული (თხზული) სიტყვის კომპონენტი, მაგ. T-shirt, TV-canal, FBI- agent;

შემოკლება შეიძლება სიტყვის ან სიტყვათა ჯგუფის (შესიტყვების) საწყისი ასოებისაგან იქნეს მიღებული, მაგ. U.N.O. (United Nations Organization), B.B.C. (British Broadcasting Corporation).

მორფემა, ისევე როგორც ფონემა, რამდენიმე ვარიანტით შეიძლება რეალიზდეს და ამ ვარიანტებს ეწოდებათ „ალომორფები“ (allomorphs).

ალომორფები შეიძლება სხვადასხვა ტიპის იყოს:

ისინი შეიძლება ერთმანეთის მიმართ დამატებითი დისტრიბუციის მიმართებაში იყვნენ. როგორც გვახსოვს, დამატებითი (არაეკვივალენტური) დისტრიბუციის (complementary distribution) დროს, არ ხდება ჩანაცვლება ერთსა და იმავე პოზიციაში - ორი მორფემა ერთმანეთს არასოდეს არ ჩაენაცვლება და ისინი მსგავსია სემანტიკურად, მაგალითად a და an არტიკლები ან am – are- is. ამგვარ ალომორფებს „პოზიციურ ალომორფებს“ უწოდებენ.

ალომორფები შეიძლება ერთმანეთის მიმართ თავისუფალი ვარიირების მიმართებაში იყვნენ (როგორც ფონემების შემთხვევაში გვახსოვს, ეკვივალენტური (თავისუფალი ვარიირების) დისტრიბუციის დროს (free variation distribution), ორი ელემენტი ყოველთვის ერთ პოზიციაში გვხვდება და ისინი არ იწვევენ მნიშვნელობის შეცვლას). მაგალითად, brothers – brethren - აქ ორი მორფემა ერთმანეთს ჩაენაცვლება ერთსა და იმავე პოზიციაში, მაგრამ მნიშვნელობა მათ იგივე აქვთ და ორივე მათგანი გამოხატავს მრავლობით რიცხვს. განსხვავება მათ შორის მხოლოდ სტილისტურია - “brethren” არქაულია და გვხვდება ამაღლებული სტილით მეტყველებისას. ამგვარ ალომორფებს „ფაკულტატურს“ უწოდებენ ხოლმე.

ალომორფები შეიძლება იყოს ფონოლოგიურად განპირობებული (phonologically conditioned), მაგალითად, ყრუ თანხმოვნების შემდეგ s წარმოითქმის როგორც /s/ (cats, maps), ხოლო მჟღერი თანხმოვნების შემდეგ - როგორც /z/ (beds, eggs). ასევე გვაქვს ფონოლოგიურად სხვადასხვაგვარად რეალიზებული გრაფოლოგიური

ალომორფები parted /id/ და pulled /d/, ან მივიღოთ უკიდურესი ცვლილება ფუძისეულ ფორმაში - sleep-slept.¹⁸

არავითარი მნიშვნელობა არა აქვს მორფემები ფონეტიკურად მსგავსია თუ არა ერთმანეთისა. ავიღოთ, მაგალითად, მორფემები “s” და “z” სიტყვებში “brothers” და “walks”. მიუხედავად ფონეტიკური დამთხვევისა, ისინი სხვადასხვა მორფემას წარმოადგენენ მათი სემანტიკური განსხვავებულობის გამო. პირველ შემთხვევაში, s მრავლობითობას აღნიშნავს, ხოლო მეორეში - ზმნის მესამე პირის მხოლოდითი ნიშანია აწმყო განუსაზღვრელ დროში. ამდენად, ისინი სხვადასხვა მორფემებია და არა ალომორფები, როგორც ეს “brothers” და “brethren”-ს მაგალითში ვნახეთ, სადაც “s” და “en” ერთი მორფემის ალომორფებს წარმოადგენენ.

იხ. დანართი 1

ინგლისურ ენაში არსებითი სახელის მაწარმოებელი სუფისებია:

er - teacher

ing - feeling

ness – happiness

ism - impressionism

th – health

hood - childhood

ist - impressionist

ance – importance და ა.შ.

ზედსართავი სახელის მაწარმოებელი სუფიქსებია:

ly – lovely

some – handsome

ous - delicious

y - touchy

¹⁸ Widdowson, H. G., Linguistics, Oxford University Press, 2009, p.p.47-48.

ish – blackish

ed – learned

able – curable

less – tactless და ა.შ.

ზედსართავი სახელის მაწარმოებელი პრეფიქსებია:

un - unhappy

re- reread

dis- disagree და ა.შ.

ზმნის მაწარმოებელი სუფიქსებია:

ize - realize

ise – advertise

ate – communicate და ა.შ.

ვიმსჯელოთ შემდეგ საკითხებზე:

1. რითი განსხვავდება მორფემა მასზე დაბალი ენობრივი ერთეულისაგან - ფონემისაგან?

2. რითი განსხვავდება მორფემა მასზე მაღალი ენობრივი ერთეულისაგან - სიტყვისაგან?

3. რა განსხვავებაა ე.წ. „თავისუფალ“ და „არათავისუფალ“, ანუ „თანმხლებ“ მორფემებს შორის?

4. დაასახელეთ ლექსიკური მორფემების მაგალითები.

5. რა განსხვავებაა ძირსა და ფუძეს შორის?

6. დაასახელეთ გრამატიკული მორფემების მაგალითები.

7. რა არის ფლექსია? რას ნიშნავს ტერმინი „ფლექსიური აფიქსი“?

8. როგორ შეიძლება სიტყვაწარმოება რეალიზდებოდეს? დაასახელეთ თითოეული მათგანი.

9. რა არის ალომორფი და რა სახის ალომორფებს იცნობთ?

1.

1. დაასახელოთ რამდენი და რა ტიპის მორფემებია მოცემულ სიტყვებში

learned, picked, dogs, unattainable, helpful, , friendship, impossible, postmodernism, boy, teacher.

2. რომელ სტრუქტურულ ტიპს მიეკუთვნებიან ქვემოთ მოცემული სიტყვები?

blackboard, work, a find, pram, to hand, dining-room, merry-go-round, to dog, catty, lovely, lab, to pale, eatable, pram, house.

ლექცია 10

ენობრივი სისტემის მორფოლოგიური დონე და მისი შიდა დონეებრივი სტრუქტურა მორფემა და სიტყვა როგორც ამ დონის ენობრივი ერთეულები

ჩვენ უკვე საკმაოდ ბევრი ვილაპარაკეთ ენობრივი სისტემის იერარქიის შესახებ და მოცემულ ეტაპზე უკვე გავიცანით ენის ფონოლოგიური დონეზე მაღლა მდგომ დონეს - მორფოლოგიურ დონეს და მის ძირითად ერთეულს - მორფემას.

მაგრამ მორფოლოგიური დონე, როგორც ითქვა, ენობრივი სისტემის დონეებრივ სტრუქტურასთან დაკავშირებული ცნებაა და მთლიანად არ ემთხვევა ტრადიციულ მორფოლოგიას. ტრადიციული მორფოლოგია არის არა მხოლოდ მორფემათა შემსწავლელი დარგი, არამედ სიტყვის როგორც მეტყველების ნაწილისაც. ამდენად, საჭიროება იქმნება მოხდეს ენის დონეებრივი კონცეფციისა და ტრადიციული ხედვის სინთეზი.

მორფოლოგიური დონიდან დაწყებული, ენობრივი სისტემა ბევრად უფრო რთული ხდება, ვიდრე ეს იყო ფონოლოგიურ დონეზე. რაში მდგომარეობს ეს სირთულე?

იერარქია არსებობს არა მხოლოდ ენობრივი სისტემისა, არამედ ყოველი ენობრივი სისტემის დონის შიგნით - ანუ შიდა დონეებრივი იერარქია. ამგვარი იერარქიის ფარგლებში გამოიყოფა თითოეული დონის **მინიმალური და მაქსიმალური ერთეულები**, რომლებიც შინაგანად უკავშირდებიან ერთმანეთს. მორფოლოგიური დონის მინიმალური ერთეული არის მორფემა, ხოლო სიტყვა - მაქსიმალური. როგორც უკვე ვიცით, ხდება მორფემის როგორც მინიმალური ნიშნობრივი ერთეულის კლასიფიკაცია სემანტიკური ნიშნით (რაც შეუძლებელი იყო ფონოლოგიურ დონეზე) და გამოიყოფა სამი ტიპის მორფემა - **ლექსიკური, გრამატიკული და სიტყვაწარმოებითი**. შესაბამისად, უნდა მოხდეს ამ დონის მაქსიმალური ერთეულის - სიტყვის - კლასიფიკაციაც. რას უნდა ეფუძნებოდეს სიტყვის კლასიფიკაცია ენის მორფოლოგიურ დონეზე? ეს კლასიფიკაცია ეფუძნება სიტყვათა **მეტყველების ნაწილებად** დაყოფას.

მეტყველების სხვადასხვა ნაწილები ხასიათდებიან განსხვავებული გრამატიკული კატეგორიებით.

რა არის გრამატიკული კატეგორია?

იმ გრამატიკულ მნიშვნელობას, რომელიც გამოიხატება სიტყვაფორმათა ერთობლიობით, ეწოდება „**გრამატიკული კატეგორია**“.

მაგალითად, სიტყვაფორმა „brother“ გამოხატავს ერთს, ხოლო „brothers“ - ერთზე მეტს (შეიძლება რამდენიმეს) - ეს იქნება ამ სიტყვის გრამატიკული მნიშვნელობა.

სიტყვაფორმა “brother’s” გამოხატავს კუთვნილების მნიშვნელობას. მოცემულ სიტყვაფორმებს, როგორც ვხედავთ, აქვთ საერთო ფუძე, მაგრამ განსხვავებულია მათი ფლექსიები (გრამატიკული მორფემები).

სიტყვაფორმების ერთობლიობა, რომლებსაც აქვთ ერთი და იგივე ფუძე, მაგრამ სხვადასხვა ფლექსიები (გრამატიკული მორფემები) ქმნის გრამატიკულ პარადიგმას. გრამატიკული პარადიგმა წარმოდგენილია მარკირებული და არამარკირებული წევრების ოპოზიციით. მარკირებულია ის წევრი, რომელიც აფიქსს შეიცავს. იგი უპირისპირდება არამარკირებულს, რომელიც აფიქსს არ შეიცავს. მაგალითად, “brothers” მარკირებულია, რადგამ მას აქვს მრავლობითობის გამომხატველი სუფიქსი “s”, ხოლო “brother” - არამარკირებული; იმავე პრინციპის მიხედვით, მაგალითად, “worked” მარკირებულია, ხოლო “work” - არამარკირებული და ა.შ.

მამასადამე, გრამატიკულ ფორმათა ერთობლიობა, რომლებიც პარადიგმაში უპირისპირდებიან ერთმანეთს¹⁹, წარმოქმნის გრამატიკულ კატეგორიას.

სიტყვაფორმა “brother” აღნიშნავს მხოლობითობას, “brothers” - მრავლობითობას. ისინი ერთმანეთს უპირისპირდებიან (ერთმანეთის მიმართ ქმნიან ოპოზიციას) პარადიგმაში და აქვთ ერთი გრამატიკული მნიშვნელობა - რიცხვის გრამატიკული მნიშვნელობა. ამდენად, გრამატიკულ ფორმათა ოპოზიცია, მოცემულ შემთხვევაში, გვაძლევს რიცხვის გრამატიკულ კატეგორიას.

სიტყვაფორმები “works” და “worked” გამოხატავენ სხვადასხვა დროს - აწმყოს და წარსულს. გრამატიკულ ფორმათა ოპოზიცია, რომელსაც პარადიგმაში აქვს ერთი გრამატიკული მნიშვნელობა - დროის გრამატიკული მნიშვნელობა - მოცემულ შემთხვევაში, გვაძლევს დროის გრამატიკულ კატეგორიას.

ესა თუ ის გრამატიკული კატეგორია შეიძლება ჰქონდეს ან არ ჰქონდეს სიტყვას იმისდა მიხედვით, თუ რომელ მეტყველების ნაწილს ეკუთვნის ეს სიტყვა. სხვაგვარად რომ ვთქვათ, გრამატიკული კატეგორიები არიან მეტყველების ნაწილთა კუთვნილება და ისინი არ არსებობენ ამ კუთვნილების გარეშე. ყველა სიტყვა არის რომელიღაც მეტყველების ნაწილი და აქვს საკუთარი გრამატიკული კატეგორიები, მაგალითად, არსებითი სახელის გრამატიკული კატეგორიები ინგლისურ ენაში არის რიცხვი და ბრუნვა; ²⁰ ზმნის გრამატიკული კატეგორიებია - პირი, რიცხვი, დრო, ასპექტი, გვარი²¹ (person, number, tense, aspect, voice, mood) ამ „მიკუთვნების

¹⁹ იხ.დანართი 1

²⁰ იხ. დანართი 1

²¹ იხ.დანართი 2

მეშვეობით იქმნება ის, რასაც შეიძლება ვუწოდოთ სიტყვის უკვე მთლიანური გრამატიკული არსი და სახე“.²²

„მეტყველების ნაწილთა თეორია - ეს ის თეორიაა, რომელიც მიაკუთვნებს მოცემულ კონკრეტულ სიტყვას არა უბრალოდ სიტყვათა სამყაროს (უნივერსუმს), არამედ სიტყვათა გარკვეულ კლასს“.²³ ყველა სიტყვა მიეკუთვნება სიტყვათა ისეთ ჯგუფს (კლასს), რომელთა გამოყოფისას მხედველობაში გვაქვს როგორც ლექსიკური მნიშვნელობა, ისე მორფოლოგიური მახასიათებლები და სინტაქსური ფუნქციები. **ამდენად, მეტყველების ნაწილთა კლასიფიკაცია ეფუძნება სამ ძირითად კრიტერიუმს - სემანტიკურს, მორფოლოგიურს და სინტაქსურს.**

სემანტიკური კრიტერიუმი გულისხმობს სწორედ იმას, რასაც გულისხმობს ნიშნის სტრუქტურა და ფუნქცია. თუკი ნიშნის ფუნქცია არის მითითება - მაშინ არსებითი სახელი მიუთითებს სუბსტანციაზე, ზედსართავი სახელი - სუბსტანციის თვისებაზე, ზმნა - ხდომილებაზე, ზმნიზედა - ხდომილების თვისებაზე.

მორფოლოგიური კრიტერიუმი გულისხმობს სიტყვის ფორმაცვალებადობას შესაბამისი გრამატიკული პარადიგმის ფარგლებში (იგულისხმება სიტყვის უნარი - გვხვდებოდეს სხვადასხვა ბრუნვაში, იუღლებოდეს, ან აწარმოებდეს შედარებით და აღმატებით ხარისხებს);

სინტაქსური კრიტერიუმის მიხედვით განისაზღვრება, თუ რა ფუნქციას ასრულებს სიტყვა წინადადებაში. მაგალითად, არსებითი სახელი წინადადებაში ასრულებს სხვადასხვა სინტაქსურ ფუნქციებს, რომელთაგან ძირითადია ქვემდებარის (subject) და დამატების (object) გამოხატვა.

²² გ.ლევანიძე, ლექციები ენათმეცნიერების შესავალსა და ზოგად ენათმეცნიერებაში, თბილისი, „ენა და კულტურა“, გვ.136.

²³ Ibid. გვ.137

დანართი 1

პარადიგმატული მიმართებები გრამატიკულ ფორმებს შორის შეიძლება სხვადასხვა ტიპის ოპოზიციით იყოს გამოხატული (ისევე როგორც ფონემატურ დონეზე ბგერებს შორის ოპოზიციით).

ბინარული პრივატიული ოპოზიცია (binary privative opposition)

ბინარული პრივატიული ოპოზიცია მორფოლოგიაში, ისევე როგორც ფონოლოგიაში, ყველაზე მნიშვნელოვანი ოპოზიციაა, რადგან ერთ წევრს აქვს მეორე წევრისაგან განსხვავებული, კონტრასტული თვისება, ანუ მას არა აქვს ის თვისება, რაც ოპოზიციის მეორე წევრს, როგორც ეს ვნახეთ ჩვენს მიერ ზემოთ წარმოდგენილ მაგალითებში (brother- brothers; work – worked).

ეკვიპოლენტური ოპოზიცია (equipollent opposition)

ეკვიპოლენტური ოპოზიცია მორფოლოგიაში უმცირესობას წარმოადგენს. როგორც გვახსოვს, ეკვიპოლენტური ოპოზიციის შემთხვევაში, წევრები არ უპირისპირდებიან ერთმანეთს. საერთო თვისებასთან ერთად ისინი განსხვავდებიან რაღაც თვისებით, მაგალითად, am –is –are.

გრადუალური ოპოზიცია (gradual opposition)

გრადუალური ოპოზიცია არ არის ზოგადად აღიარებული მორფოლოგიაში. როგორც გვახსოვს, გრადუალური ოპოზიციის შემთხვევაში, წევრებს შორის განმასხვავებელი არის არა თვისების არარსებობა, არამედ მისი ხარისხი - ასეთ ოპოზიციას მორფოლოგიაში წარმოადგენს შედარებითი და აღმატებული ხარისხები strong –stronger – strongest.

დანართი 2

რიცხვის გრამატიკული კატეგორია განისაზღვრება როგორც ისეთი სიტყვაფორმათა ერთობლიობა, რომელთაც აქვთ ერთი საერთო (ინვარიანტული) გრამატიკული მნიშვნელობა სუბსტანციის რაოდენობისა - ერთი ან ერთზე მეტი.

არსებითი სახელი შეიძლება იყოს თვლადი და უთვლადი.

ინგლისურ ენაში თვლადი არსებითები გამოიხატებიან ფლექსიური აფიქსების (გრამატიკული სუფიქსების) დამატებით (მრავლობითობის აღმნიშვნელი მარკერებით) s/es:

Student, girl, teacher – students, girls, teachers

Box, brush – boxes, brushes

Knife, wife – knives-wives

City, fly – cities, flies

ასევე, მრავლობითი რიცხვი შეიძლება გამოიხატოს ლათინური ან ბერძნული ფლექსიური აფიქსებით - criterion, thesis, analysis – criteria, theses, analyses და ა.შ.; ფუძისეული ხმოვნის მონაცვლეობით - foot- feet, tooth – teeth; მრავლობითი და მხოლოდითი ფორმების იგივეობით - sheep –sheep, fish-fish და ა.შ.

უთვლადი არსებითი სახელები ქმნიან ორ ჯგუფს:

1.სახელები, რომელთაც მუდმივად მხოლოდითი ფორმა აქვთ (ე.წ. singularia tantum), მაგალითად (water, iron, snow, fruit, air და ა.შ.) ამ ჯგუფში შედის ზოგიერთი გეოგრაფიული სახელი (America, Tbilisi, London); აბსტრაქტულ არსებითი სახელები (beauty, success); ზოგიერთი კოლექტიური არსებითი სახელი (furniture, information); სამეცნიერო დისციპლინების სახელები (linguistics, physics, mathematics)

2.სახელები, რომელთაც მუდმივად მრავლობითი ფორმა აქვთ, მაგალითად trousers, scissors, scales; ამ ჯგუფში შედის ზოგიერთი გეოგრაფიული სახელი (Athens, The Alps, The Philippines);

ბრუნვა არის ისეთი გრამატიკული კატეგორია, რომელიც გვაჩვენებს არსებითი სახელის მიმართებას სინამდვილის სხვა ობიექტებთან. ქართულისგან განსხვავებით, სადაც შვიდი ბრუნვა გვაქვს, ინგლისურ ენას აქვს ორი ბრუნვა: საზოგადო ბრუნვა (common case) და კუთვნილებითი ბრუნვა possessive case - boy –boy’s. პარადიგმატიკაში, კუთვნილებით ბრუნვა - მარკირებული წევრით - ‘s მარკერით (ფლექსიური აფიქსით) უპირისპირდება საზოგადო ბრუნვას - არამარკირებული წევრით (ნულოვანი ფლექსიით).

დანართი 3

პირი არის ზმნის კატეგორია, რომელიც შედგება სამი დეიქტური²⁴ (მიმართიებელი) კატეგორიისაგან: ადრესანტი, ადრესატი და ის, ვინც კომუნიკაციის აქტში არ მონაწილეობს (მე, შენ, ის)

რიცხვი არის ზმნის კატეგორია, რომელიც გვაჩვენებს, თუ ხდომილება (მოქმედება ან პროცესი) დაკავშირებულია ერთ ან მეტ მოქმედ პირთან (*she reads/ they read*)

დრო შეიძლება გამოიხატოს ლექსიკურად და გრამატიკულად, მაგალითად, *she is in her room now – now ლექსიკურად გამოხატავს დროს, ხოლო is - გრამატიკულად. დროის პარადიგმა მოიცავს სამ კატეგორიას (აწმყო, წარსული, მომავალი - I decide/decided/will decide*

ასპექტის კატეგორია გულისხმობს იმ შინაგანი სახის პროცესის ჩვენებას, რომელსაც აღნიშნავს ზმნა. ამდენად, ასპექტი შეიძლება იყოს სრული ან უსრული (*she was painting/ she painted*).

²⁴ დეიქსისი (ბერძ. deixis ჩვენებას ნიშნავს) არის მითითება საკომუნიკაციო აქტის მონაწილეებზე, რომელიც გამოიხატება ნაცვალსახელებით (მე, შენ, ის, ჩემი, შენი)

გვარის კატეგორია გვაჩვენებს მიმართებას მოქმედ პირსა და ზმნით აღნიშნულ მოქმედებას შორის. გვარი ინგლისურ ენაში ორი ოპოზიციური პარადიგმით არსებობს: მოქმედებითი და ვნებითი (she painted/it was painted by her).

კილოს გრამატიკული კატეგორია გამოხატავს მეტყველი სუბიექტის დამოკიდებულებას ზმნით გამოხატული მოქმედების (პროცესის) მიმართ. კილო სამგვარია: თხრობითი, ბრძანებითი და კავშირებითი (subjunctive). ეს უკანასკნელი გამოხატავს ისეთ მოქმედებას, რომელიც შეიძლება იყოს სასურველი ("I wish you were here") ან პირობაზე დამოკიდებული (შესაძლოა მომხდარიყო ან მოხდეს მომავალში).

დანართი 4

მეტყველების ნაწილთა ტრადიციულ კლასიფიკაცია დღესაც ინარჩუნებს თავის აქტუალურობას და მას დღესაც ვხვდებით სკოლის გრამატიკის სახელმძღვანელოებში. ტრადიციული კლასიფიკაციის მიხედვით, ინგლისურ ენაში მეტყველების ნაწილთა პარადიგმა ამგვარია:

1. noun (არსებითი სახელი)
2. adjective (ზედსართავი სახელი)
3. numeral (რიცხვითი სახელი)
4. pronoun (ნაცვალსახელი)
5. verb (ზმნა)
6. adverb (ზმნიზედა)
7. preposition წინდებული (თანდებული)
8. conjunction (კავშირი)
9. article (არტიკლი)
10. particle (ნაწილაკი)
11. interjection (შორისდებული)

ტრადიციული ლინგვისტიკა ზემოთ წარმოდგენილ კლასიფიკაციაში გამიჯნავდა ძირითად (სრულმნიშვნელოვან) და დამხმარე მეტყველების ნაწილებს. სრულმნიშვნელოვანი მეტყველების ნაწილებია: არსებითი სახელი, ზედსართავი სახელი, რიცხვითი სახელი, ნაცვალსახელი, ზმნა და ზმნიზედა. მათ აქვთ ლექსიკური მნიშვნელობა და შეუძლიათ შეასრულონ ნომინაციის ფუნქცია, ანუ მათ შეუძლიათ აღნიშნონ საგნები, თვისებები, მოქმედება, მდგომარეობა და შეუძლიათ იყვნენ წინადადების დამოუკიდებელი წევრები (ქვემდებარე, შემასმენელი, დამატება, განსაზღვრება და გარემოება). (მაგ. არსებითი სახელი აღნიშნავს სუბსტანციას; აქვს რიცხვის და ბრუნვის გრამატიკული კატეგორიები (ინგლისურ და ქართულ ენებში); დერივაციული სუფიქსები; ასრულებს სხვადასხვა სინტაქსურ ფუნქციებს წინადადებაში, რომელთაგან ძირითადია ქვემდებარის (subject) და დამატების (object) გამოხატვა; ზედსართავი სახელი აღნიშნავს სუბსტანციათა თვისებრიობას; აწარმოებს შედარებით და აღმატებით ხარისხებს, რომლებიც ქმნიან ხარისხის

კატეგორიას; მისი ძირითადი სინტაქსური ფუნქცია წინადადებაში არის განსაზღვრება).

ხოლო თანდებული, კავშირი, ნაწილაკი, შორისდებული - დამხმარე მეტყველების ნაწილებია, რადგან მათ არ აქვთ დამოუკიდებელი ლექსიკური მნიშვნელობა და არ შეუძლიათ დამოუკიდებლად შეასრულონ ნომინაციის ფუნქცია. ეს უკანასკნელი არ წარმოადგენენ სრულმნიშვნელოვან სიტყვებს. ისინი ან დამაკავშირებლები არიან (connectors)²⁵ ან განმსაზღვრელი სიტყვები (determiners), როგორცაა მაგალითად არტიკლი (a, the), რომელიც არსებითი სახელის განსაზღვრულობა-განუსაზღვრელობაზე მიუთითებს, ან დემონსტრაციული ნაცვალსახელები (this, that). დამხმარე მეტყველების ნაწილები, როგორცაა თანდებული (წინდებული), კავშირი და ნაწილაკი გრამატიკულ ელემენტებად ითვლება და არა სრულმნიშვნელოვან სიტყვებად²⁶. ხოლო შორისდებულების ფუნქცია ემოციების გამოხატვაა, მაგალითად, ინგლისური alas გამოხატავს მწუხარებას, მაგრამ ეს არ ნიშნავს, რომ იგი მწუხარების ნომინაციას ახდენს.

დანართი 1

ვიმსჯელოთ შემდეგ საკითხებზე:

1. როგორია ენის მორფოლოგიური დონის შიდა დონეებრივი სტრუქტურა?
2. რატომ არის სიტყვა ამ დონის მაქსიმალური ერთეული?
3. რა განსხვავებაა ტრადიციულ მორფოლოგიასა და ენის მორფოლოგიურ დონეს შორის?
4. რა ქმნის გრამატიკულ პარადიდმას?
5. რას ნიშნავს ტერმინები „მარკირებული წევრი“ და „არამარკირებული წევრი“?
6. რა არის გრამატიკული კატეგორია?
7. რისი მიხედვით შეიძლება ესა თუ ის გრამატიკული კატეგორია ეკუთვნოდეს ამა თუ იმ სიტყვას?
8. რა კრიტერიუმებს ეფუძნება მეტყველების ნაწილთა კლასიფიკაცია?

²⁵მაკავშირებლები გამოიყენებიან იმისათვის, რომ სიტყვები დააკავშირონ ერთმანეთთან, ან წინადადების ამა თუ იმ წევრს აძლევენ გრამატიკულ ფორმას (მაგალითად, in, on, at (prepositions), that, which, till (conjunctions), be, seem, become (მაკავშირებელი (მაერთი) ზმნები)

²⁶ ნებიერიძე, ენათმეცნიერების შესავალი, გვ. 143.

ლექცია 11

ენობრივი სისტემის ლექსიკური დონე: სიტყვა (ლექსემა) როგორც ლექსიკური დონის ძირითადი ერთეული

სიტყვის სემანტიკური სტრუქტურა

სიტყვის მნიშვნელობის კომპონენტური ანალიზი

სიტყვის სიგნიფიკაციური, დენოტაციური და კონოტაციური მნიშვნელობა

ლექსიკური ნომინაცია

ველის ცნება და ლექსიკურ-სემანტიკური ველი

როგორც უკვე ვიცით, ენობრივი დონეების იერარქიაში, მორფოლოგიურ დონეს მოსდევს ლექსიკური დონე, რომლის ძირითადი ერთეულია სიტყვა (როგორც ლექსემა). ასევე, უკვე ვიცით, რომ სიტყვა, ნებისმიერი სხვა ენობრივი ერთეულისაგან განსხვავებით, ხასიათდება ენის სისტემასთან მიმართებისას ყოვლისმომცველობით. იგი ენის ლექსიკური დონის ძირითადი ერთეულია, მაგრამ მუდამ შეისწავლებოდა არა მხოლოდ ლექსიკურად (ანუ მისი ნომინაციის ფუნქციიდან გამომდინარე), არამედ, როგორც ვნახეთ, სხვა ფუნქციებითაც (სიტყვა როგორც ფონეტიკური ერთეული; სიტყვა როგორც მორფოლოგიური ერთეული; სიტყვა როგორც სინტაქსური ერთეული (რამდენადაც იგი ასრულებს წინადადების წევრის როლს). ამდენად, სიტყვა როგორც ენობრივი სტრუქტურის წარმომადგენელი ბოლომდე ვერ „ეტევა“ ვერ „ამოიწურება“ ვერც ერთ ენობრივი სისტემის დონეზე და ხასიათდება ამ სისტემასთან მიმართებისას ყოვლისმომცველობით.

წინა ლექციებზე ჩვენ უკვე გავეცანით სიტყვის გარეგან სტრუქტურას, რომელიც არის მისი მორფოლოგიური სტრუქტურა. ვილაპარაკეთ სიტყვაზე მისი იმ ასპექტის გათვალისწინებით, რომელიც ცენტრალურ როლს ასრულებს მისი ამა თუ იმ მეტყველების ნაწილისადმი მიკუთვნების თვალსაზრისით. ჩვენ ვთქვით, რომ სიტყვა ამა თუ იმ მეტყველების ნაწილს ეკუთვნის იმისდა მიხედვით, თუ რაზე მიუთითებს ის როგორც ნიშანი. ახლა კი უნდა დავსვათ შემდეგი კითხვა:

რომელია სიტყვის ის ასპექტი, რომელზე დაფუძნებითაც სიტყვა ასრულებს თავის ნიშნობრივ - ანუ ნომინაციის ფუნქციას? სიტყვის ეს ასპექტი არის **სიტყვის სემანტიკური სტრუქტურა**, უფრო მარტივად თუ ვიტყვით, სიტყვის სემანტიკა - ანუ სიტყვის მნიშვნელობა.

ყველა ნიშნობრივ ერთეულს, მორფემიდან დაწყებული ტექსტის ჩათვლით, აქვს მნიშვნელობა. მნიშვნელობათა სფეროს მის მთლიანობაში (და არა მარტო სიტყვის მნიშვნელობას) შეისწავლის **სემანტიკა**. სემანტიკის სფერო უფრო

ფართოა ვიდრე ლექსიკოლოგიის,²⁷ რადგან სემანტიკა შეისწავლის არა მარტო სიტყვის, არამედ წინადადების და ტექსტის მნიშვნელობასაც (კიდევ უფრო ფართო გაგებით, ნებისმიერი კულტურული ფაქტის მნიშვნელობას).

სწორედ სიტყვის მნიშვნელობა (სიტყვის სემანტიკა) არის ლინგვისტური სემანტიკის ბირთვი და მისი საფუძველი.

რა არის სიტყვის მნიშვნელობა?


გავიხსენოთ, რომ ენობრივი ნიშნის გამოხატვის პლანს წარმოადგენს ბგერითი კომპლექსი, ხოლო შინაარსის პლანის განსაზღვრისას თანამედროვე ლინგვისტიკა იყენებს ორ ტერმინს - „სიგნიფიკატი“ და „დენოტატი“. როგორც გვხასოვს, „სიგნიფიკატი“ როგორც ტერმინი გულისხმობს სიტყვის მნიშვნელობას ენობრივი სისტემის დონეზე, უფრო ზუსტად თუ ვიტყვით, ენის სისტემის შიგნით და არ უკავშირდება რომელიღაც კონკრეტულ ობიექტს. მაგალითად, სიგნიფიკაციის თვალსაზრისით, ნებისმიერი ქართველისათვის სიტყვა „ქალის“ დასახელებისას არ არის აუცილებელი კონკრეტული ქალის წარმოდგენა იმისათვის, რომ მის ცნობიერებაში აისახოს ადამიანური სინამდვილის ერთ-ერთი ისეთი წარმომადგენელი, როგორცაა ქალი. ამდენად, სიგნიფიკატი გვაჩვენებს იმას, თუ როგორ აისახება სინამდვილე მოცემულ ენაში.

ხოლო „დენოტაცია“ როგორც ტერმინი გულისხმობს იმას, თუ როგორ აისახება სიგნიფიკაცია (ანუ მნიშვნელობის შიდა ენობრივი ასპექტი) სინამდვილის ამა თუ იმ კომპონენტის დასახელებისას, ე.ი. დენოტაცია, სიგნიფიკაციისაგან განსხვავებით, უკავშირდება ნიშნის მიმართებას ენის გარეშე სინამდვილესთან (ნიშნის მიმართებას რეალურ (კონკრეტულ) ობიექტთან).

თუ ჩვენ ავიღებთ სიტყვას, რომელსაც ერთი მნიშვნელობა გააჩნია, ჩვენს წინაშე იქნება:

²⁷ ტერმინი „ლექსიკოლოგია“ მომდინარეობს ბერძნული სიტყვიდან და იგი შედგება ორი ნაწილისაგან: „lexis“ და „logiā“. lexis ნიშნავს „სიტყვას“, „logiā“ - როგორც უკვე ვიცით, ნიშნავს „მოდღვრებას“, „სწავლებას“, „კვლევას“ (ისე როგორც მთელ რიგ მეცნიერებათ დასახელებაში (ბიოლოგია, გეოლოგია, არქეოლოგია და ა.შ.) თავდაპირველი მნიშვნელობით, როგორც გვახსოვს, ეს ტერმინი დაკავშირებულია „logos“-თან (ბერძ.), რაც „სიტყვას“ ნიშნავს. მაშასადამე, როგორც ტერმინის სემანტიკა გვეუბნება, ლექსიკოლოგია ნიშნავს „სიტყვას სიტყვის შესახებ“ - „მოდღვრებას (სწავლებას) სიტყვის შესახებ“.

სიგნიფიკატი



მიმართება სიტყვასა და მის დენოტატს შორის არსებობს მხოლოდ იმდენად, რამდენადაც სინამდვილის ესა თუ ის კომპონენტი უკავშირდება დენოტატს. სხვაგვარად თუ ვიტყვით, ეს მიმართება არ არის პირდაპირი, იგი მყარდება სიგნიფიკატის მეშვეობით. ამდენად, სიტყვის სემანტიკური სტრუქტურის ამ ორი ასპექტიდან, გადაწყვეტია სიგნიფიკატი, რომელიც, როგორც უკვე ვიცით, მხოლოდ შიდა ენობრივი მოვლენაა და სწორედ ამ “შიდა ენობრიობის” მიხედვით უნდა იქნას შესწავლილი და გაანალიზებული. იმისათვის, რომ ამგვარი ანალიზი შევძლოთ, გამოვყოფთ სიტყვის მნიშვნელობის (სიტყვის სემანტიკის) შემადგენელ ნაწილებს (ანუ კომპონენტებს), რომელთაც ეწოდებათ „სემები“. მაშასადამე, ამგვარი ანალიზი (ანუ სემური ანალიზი) გულისხმობს სიტყვის მნიშვნელობის (სიტყვის სემანტიკის) ისეთ კომპონენტებად დაშლას, რომელთა უფრო „წვრილ“ კომპონენტებად დაშლა შეუძლებელია. ამიტომაც ხშირად სემურ ანალიზს „კომპონენტურ ანალიზს“ უწოდებენ.

მაგალითად, თუ ჩვენ ჩავატარებთ ისეთი სიტყვის სემურ ანალიზს, როგორცაა „ქალი“, იგი დაიყოფა შემდეგ სემებად: „ადამიანი“, „სულიერი“, „ზრდასრული“, „მდედრობითი სქესის“. ეს მნიშვნელობა (მნიშვნელობა სიტყვისა „ქალი“) თავის თავში მოიცავს სიგნიფიკატის ზემოთ აღნიშნულ თვისებებს („ადამიანი“, „სულიერი“, „ზრდასრული“, „მდედრობითი სქესის“) ასევე, მაგალითად, სიტყვა „მამა“-ს მნიშვნელობა შედგება შემდეგი სემებისაგან: „ცოცხალი არსება“, „ადამიანი“, „სულიერი“, „ზრდასრული“, მამრობითი სქესის“, „მშობელი“.

და სწორედ, სიგნიფიკატის სემებად (კომპონენტებად) დაყოფამ, ასევე ხელი შეუწყობს სიტყვის სემანტიკურ სტრუქტურაში დენოტაციისა და კონოტაციის ცნებების უფრო ღრმად გაგებას. რა გულისხმობს ეს ცნებები?

სიტყვის სემანტიკურ სტრუქტურაში წამყვან (მთავარ) კომპონენტებს წარმოადგენენ ის კომპონენტები, რომლებიც გამოხატავენ სიტყვის მთავარ (ძირითად) მნიშვნელობას. მაგალითად, თუ ჩვენ ავიღებთ ინგლისურ ზმნებს “shiver” და “shudder”, ვნახავთ, რომ ორივე მათგანი ნიშნავს „თრთოლას“. ეს არის ამ სიტყვის

ძირითადი, მთავარი მნიშვნელობა. მაგრამ ამგვარი დეფინიცია არ იძლევა ამ სიტყვების მნიშვნელობის სრულ სურათს და საჭირო ხდება გავითვალისწინოთ დამატებითი მნიშვნელობა, ე.წ. თანამნიშვნელობა (დამაზუსტებელი მნიშვნელობა), რასაც ეწოდება „კონოტაცია“ (ლათ. con – „თან“, notation – „აღნიშვნა“). გარდა იმისა, რომ *shiver* ნიშნავს „თრთოლას“, თუ კიდევ დავაზუსტებთ მის მნიშვნელობას, იგი ნიშნავს „სიცივით თრთოლას“ („კანკალს“), ხოლო *shudder* – „შიშისაგან, ძრწოლისაგან კანკალს“.

არსებობს სხვადასხვა სახის კონოტაციები. ჩვენ გავეცნოთ მხოლოდ რამდენიმე მათგანს. კონოტაცია შეიძლება გამოხატავდეს:

შეფასებას და მას „**შეფასებითი კონოტაცია**“ (evaluative connotation) ეწოდება, მაგალითად სიტყვები *notorious* და *celebrated*, რომელთა დენოტაციური მნიშვნელობა არის „ცნობილი“, შეფასებითი კონოტაციას შეიცავენ: *notorious* არის „ცნობილი რაღაც ცუდით (notorious thief, killer, criminal და ა.შ.) ხოლო *celebrated* – „ცნობილი რაღაც კარგით“ (celebrated author, actor, scientist და ა.შ.);

ემოციას - მას „**ემოციური კონოტაცია**“ (emotive connotation) ეწოდება, მაგალითად ზმნების *to gaze, to glare* დენოტაციური მნიშვნელობა არის „ყურება“, ხოლო ემოციური კონოტაციით ზუსტდება, რომ *gaze* – ნიშნავს „სიყვარულით, სითბოთი, ტკბობით ყურებას“, ხოლო *glare* – „ბრაზით ყურებას“;

მიზეზს - მას „**მიზეზის კონოტაცია**“ (causative connotation) ეწოდება, მაგალითად, როგორც ზემოთ აღვნიშნეთ, ზმნების - *to shiver* და *to shudder* - დენოტაციური მნიშვნელობა არის „თრთოლა“, მაგრამ მიზეზის კონოტაცია აზუსტებს, რომ *shiver* ნიშნავს „სიცივით თრთოლას“ („სიცივით კანკალს“), ხოლო *shudder* – „შიშისგან, ძრწოლისგან კანკალს“.

ორივე ცნება- დენოტაცია და სიგნიფიკაცია - (ასევე კონოტაცია, თუკი კონოტაციური ელემენტი აქვს სიტყვის სემანტიკურ სტრუქტურას) ერთიანდება ნომინაციის ფუნქციაში, რომელიც სიტყვის ამოსავალი ნიშნობრივი ფუნქციაა. ყველა სიტყვა აღნიშნავს სინამდვილის რაღაც ნაწილს (სეგმენტს), ანუ ყოველი სიტყვა, თავისი მნიშვნელობის (სემანტიკის) საშუალებით, რაღაცას ასახელებს. ნომინაციის ფუნქცია კი, როგორც უკვე ვიცით, ამა თუ იმ სიტყვამ შეიძლება შეასრულოს ორნაირად: პირდაპირ (მაგ. „ოქროს ბეჭედი“) და ირიბად (მაგ. „ოქროს გული“). ირიბი ნომინაცია ყოველთვის ნაწარმოებია პირდაპირისაგან.

ნომინაცია ყველა ენაში ხდება თავისებურად. სხვადასხვა ენაში სიტყვები სხვადასხვაგვარად ასახელებენ (ასახავენ) სინამდვილეს (სინამდვილის რომელიღაც სეგმენტს). მაგალითად, ქართულ ენაში ისეთი ორი ცნება, როგორცაა „ენა“ როგორც საკომუნიკაციო საშუალება (language) და „ენა“ როგორც ადამიანის ორგანო, ერთი სიტყვით გადმოიცემა, ხოლო ინგლისურში ამ ორ ცნებას ორი სხვადასხვა სიტყვა გადმოსცემს (*language* და *tongue*); ასევე, მაგალითად ქართულ ენაში ორი ცნება,


როგორცაა „ცოლის დედა“ და „ქმრის დედა“, ორი სხვადასხვა სიტყვით გადმოიცემა „სიდედრი“ და „დედამთილი“, ხოლო ინგლისურ ენაში ორივე ცნებას ერთი სიტყვა - „*mother-in-law*“- გადმოსცემს; თუ ქართულ ენაში ოთხი სხვადასხვა ცნება გადმოიცემა ოთხი სხვადასხვა სიტყვით - „სიძე“, „ცოლისძმა“, „მაზლი“, „ქვისლი“ - ინგლისურ ენაში ეს ოთხივე ცნება გადმოიცემა ერთი სიტყვით - „*brother-in-law*“. ამგვარი მაგალითების ჩამოთვლა უსასრულოდ შეიძლება.

იშვიათია ისეთი ორი სიტყვა ორ სხვადასხვა ენაში, რომელთა მნიშვნელობაც აბსოლუტურად ემთხვევა ერთმანეთს (თუმცა, ამგვარი დამთხვევის არსებობა არ არის გამორიცხული, თუნდაც, ვთქვათ, ტერმინების შემთხვევაში). ასე, მაგალითად, სიტყვები ქართული „თვალი“ და ინგლისური „eye“ მნიშვნელობით (სემანტიკით) ემთხვევა ერთმანეთს, მაგრამ ქართული სიტყვა „თვალი“ ისეთ კონტექსტში შეიძლება შეგვხვდეს („ურმის თვალი“, „ბეჭდის თვალი“), სადაც ინგლისური სიტყვა „eye“ არასოდეს გვხვდება. სამაგიეროდ, ინგლისური „eye“ რა კონტექსტშიც გვხვდება (მაგალითად, „eye of the needle“), ქართულში არ გვხვდება. ამდენად, როდესაც ვლაპარაკობთ სიტყვის მნიშვნელობაზე (ვიკვლევთ მას), უნდა გავითვალისწინოთ სიტყვის მიმართება (ვგულისხმობთ, სემანტიკურ მიმართებას) მოცემული ენის (ვთქვათ, ქართულის ან ინგლისურის) სხვა სიტყვებთან. სიტყვების მნიშვნელობა განპირობებულია იმით, თუ რა მიმართებაშია ისინი სხვა სიტყვებთან, რასაც სოსიური უწოდებდა „ღირებულებას“ (valeur). ამ მიმართებებს იკვლევენ ერთი სემანტიკური ველის ფარგლებში. რა პრინციპი ახასიათებს სემანტიკურ ველს და რითი განსხვავდება იგი ე.წ. თემატური ჯგუფების გამოყოფის პრინციპისაგან? „ველის იდეა ეყრდნობა მოსაზრებას, რომ სამყაროს ენისმიერი დანაწევრება (სამყაროს სახელდება) ხდება არა ცალკეული სიტყვების მეშვეობით, არამედ შინაგანად ორგანიზებული სიტყვათა ჯგუფების - ველების - საშუალებით, რომლის წევრებსაც ერთმანეთთან სემანტიკური ნათესაობა აკავშირებთ... ველში შემავალი სიტყვების მნიშვნელობა მათ ურთიერთმიმართებაში ვლინდება - ანუ სიტყვა სრულ სემანტიკურ ღირებულებას მხოლოდ ველის შიგნით იძენს. უფრო მეტიც, სიტყვა როგორც ლექსიკურ-სემანტიკური სისტემის წევრი გარკვეული სტრუქტურული ოდენობის - ველის - ფარგლებში არსებობს.²⁸ სემანტიკური ველები შეიძლება იყოს ნათესაობის, ფერების, ფლორის, ფაუნის და ა.შ. თითოეული ველის ფარგლებში ასევე შესაძლებელია ქვეკლასების გამოყოფა. მაგალითად, ფაუნის სემანტიკურ ველში შეძლება გამოიყოს ცხოველების, ფრინველების, თევზების და ა.შ. სემანტიკური ველები. სემანტიკურ ველს აქვს იერარქიული სტრუქტურა. იერარქიაში მაღალი დონისათვის დამახასიათებელია უფრო ზოგადი და ფართო მნიშვნელობა²⁹. ყველაზე ზოგადი და ფართო მნიშვნელობა ქვემოთ მოცემულ ველში არის „ფაუნა“. შემდგომ

²⁸ გვენცაძე მ., ლინგვისტური გერმანისტიკა, თბილისი, ილია ჭავჭავაძის სახელმწიფო უნივერსიტეტის გამომცემლობა, 2009, გვ. 133.

²⁹ იხ, დანართი1

თანდათანობით უკვე იკლებს სიტყვის ზოგადი მნიშვნელობა და იმატებს მასში ჩართული სპეციფიკური მნიშვნელობის მქონე სიტყვები:



სემანტიკური ველები შეიძლება გამოიყოს ასევე მეტყველების ნაწილებში, თუმცა „ამგვარი ველები აბსტრაქტული ველებია, რომელთა შიგნით უნდა გამოიყოს უფრო კონკრეტული სემანტიკური ველები. არსებით სახელთა სემანტიკურ ველში ჩვენ გამოვყოფთ ნათესაობის, ფლორის, ფაუნის და ა.შ. სემანტიკურ ველებს. ასევე ზედსართავი სახელის კლასი გაიყოფა ფერების, სილამაზის და ა.შ. სემანტიკურ ველებად.³⁰

სიტყვათა სემანტიკური მიმართებები ველის შიგნით, როგორც ვხედავთ ატარებენ პარადიგმატიკულ ხასიათს - ველის წევრები ქმნიან ლექსიკურ პარადიგმას. პარადიგმის წევრებს კი აქვთ საერთო (ინვარიანტული) შინაარსი.

³⁰ ნებიერიძე გ., ენათმეცნიერების შესავალი, თბილისი, „განათლება“, 1999, გვ. 215.

ვიმსჯელოთ შემდეგ საკითხებზე:

1. რომელი სამეცნიერო დისციპლინა შეისწავლის ენის ლექსიკურ დონეს და მის ძირითად ერთეულს - სიტყვას?
2. რომელი სამეცნიერო დარგი შეისწავლის მნიშვნელობათა სფეროს მის მთლიანობაში?
3. რა არის სიტყვის მნიშვნელობა? რას ნიშნავს სიტყვის სიგნიფიკაციური და დენოტაციური მნიშვნელობა? რა კავშირია სიგნიფიკატსა და დენოტატს შორის?
4. რითი განსხვავდება ერთმანეთისაგან სიტყვის მორფოლოგიური სტრუქტურა და სიტყვის სემანტიკური სტრუქტურა?
5. რა არის სემა?
6. რას ნიშნავს კომპონენტური (სემური) ანალიზის მეთოდი?
7. განმარტეთ დენოტაციისა და კონოტაციის ცნებები.
8. დაასახელეთ კონოტაციის ტიპები და მათი მაგალითები.
9. რა არის ნომინაცია? როგორი სახის შეიძლება იყოს ნომინაცია?
10. რა არის სემანტიკური ველი?

დანართი 1

სიტყვები სემანტიკურ ველში ერთიანდება ე.წ. ჰიპონიმის პრინციპით, რაც ნიშნავს ერთი სიმრავლის ჩართვას მეორეში. „ჰიპონიმი“ (hyponym) არის სპეციფიკური მნიშვნელობის მქონე სიტყვა, რომელიც ჩართულია უფრო ზოგადი სიტყვის მნიშვნელობაში, რომელსაც ეწოდება „ჰიპერონიმი“ (hyperonym). მაგალითად, „ძალი“, „მგელი“, „მელა“, „თაგვი“ არიან ჰიპონიმები უფრო ზოგადი მნიშვნელობის სიტყვისა „ცხოველისა“, რომელიც არის მათი ჰიპერონიმი. ჰიპონიმია დამოკიდებულია სიტყვის ექსტენსიონალზე. „სიტყვის ექსტენსიონალი“ ეწოდება საგანთა იმ კლასს, რომელთანაც სიტყვა ამყარებს მიმართებას. მაგალითად სიტყვის - „ცხოველი“ ექსტენსიონალი უფრო მეტია, ვიდრე სიტყვისა - „თაგვი“, რადგან იგი ეკუთვნის უფრო ფართო კლასს. მაგრამ სიტყვა „თაგვის“ ინტენსიონალი მეტია, რადგან იგი მოიცავს იმ თვისებებსაც, რაც ზოგადად ცხოველს ახასიათებს და, ასევე იმ თვისებებს, - რაც განასხვავებს თაგვს სხვა ცხოველებისაგან. ამდენად, რაც უფრო ნაკლებია სიტყვის ექსტენსიონალი და მეტი მისი ინტენსიონალი, იგი უფრო მეტად იქნება ჩართული საგანთა უფრო ზოგად კლასებში.

თუ ჩვენ წარმოვადგენთ ჰიპონიმური ხის მხოლოდ ნაწილს, მაშინ მან ამგვარი სახე შეიძლება მიიღოს:

ცხოველი



ძუძუმწოვარა



მღრღნელი



თაგვი, ვირთხა

ყველაზე ზოგადი და ფართო მნიშვნელობის მოცემულ ველში არის „ცხოველი“; ამიტომ იგი არის ჰიპერონიმი და „ძუძუმწოვარა“ მისი ჰიპონიმი. მაგრამ ჰიპერონიმი, ანუ სუპერორდინატა, სხვადასხვა დონეზე შეიძლება თავად იქცეს ჰიპონიმად, ხოლო ჰიპონიმი - ჰიპერონიმად (სუპერორდინატად).³¹ „ძუძუმწოვარას“ უფრო ფართო და ზოგადი მნიშვნელობა აქვს, ვიდრე „მღრღნელს“, შესაბამისად, „ძუძუმწოვარა“ იქნება ჰიპერონიმი, ხოლო „მღრღნელი“ მისი ჰიპონიმი. „მღრღნელი“ უფრო ზოგადი მნიშვნელობისაა, ვიდრე „თაგვი“ და „ვირთხა“. ამდენად, „მღრღნელი“ იქნება ჰიპერონიმი, ხოლო „თაგვი“ და „ვირთხა“ მისი ჰიპონიმები. -. ჰიპერონიმის - „ცხოველის“ ჰიპონიმი არის „ძუძუმწოვარა“; „ძუძუმწოვარას“ ჰიპონიმი - „მღრღნელი“; „მღრღნელის“ ჰიპონიმებია „თაგვი“ და „ვირთხა“. ეს უკანასკნელნი კი, რომლებიც სემანტიკურად ერთსა და იმავე საფეხურზე დგანან, არიან ერთმანეთის კოჰიპონიმები (co-hyponyms) და არა ჰიპონიმები. ჰიპონიმები და ჰიპერონიმები ხასიათდებიან ასიმეტრიულობით. ჩვენ შეგვიძლია ვთქვათ: „თაგვი ცხოველია“, მაგრამ ვერ ვიტყვით: „ცხოველი თაგვია“.

³¹ Patrick Griffiths, *An Introduction to English Semantics and Pragmatics*. Edinburgh University Press, 2006

ლექცია 12. სიტყვათა სემანტიკური მიმართებები: სინონიმია, ანტონიმია, პოლისემია

მას შემდეგ, რაც გავვეცანით კონოტაციას, ეს ცნება შეგვიძლია გამოვიყენოთ ნებისმიერი ენის ლექსიკური სისტემისათვის მნიშვნელოვანი ისეთი ფენომენის გასაანალიზებლად, როგორცაა სინონიმია.

თანამედროვე ენათმეცნიერება კომპონენტურ ანალიზზე დაყრდნობით სინონიმებად მიიჩნევს ისეთ სიტყვებს, რომელთაც აქვთ საერთო დენოტაცია (საერთო დენოტაციური კომპონენტი), მაგრამ განსხვავდებიან კონოტაციებით (კონოტაციური კომპონენტებით). სინონიმების შესწავლის ეს მეთოდი მდგომარეობს შემდეგში: იღებენ სინონიმთა ჯგუფს და ეძებენ ამ ჯგუფიდან თითოეული სიტყვის დეფინიციას ლექსიკონებში (ანუ ხდება ე.წ. „დეფინიციური ანალიზი“). როგორც წესი, შეისწავლება მონაცემები არა ერთ, არამედ მრავალ ლექსიკონზე დაყრდნობით. ამის შემდეგ თითოეული გაანალიზებული სიტყვიდან გამოყოფენ სემანტიკურ კომპონენტებს. საილუსტრაციოდ განვიხილოთ ჩვენს მიერ უკვე ნახსენები სიტყვები to shiver და to shudder:

To shiver – ნიშნავს „თრთოლას“, „კანკალს“, მაგრამ გარდა ამისა, „კანკალს გარკვეული დროის მანძილზე“ (ანუ მას აქვს დროის ხანგრძლივობის კონოტაცია) და „სიცივით კანკალს“ (ანუ მას აქვს მიზეზის კონოტაცია).

To shudder - ნიშნავს „თრთოლას“, „გაჟრჟოლებას“, მაგრამ მყისიერად, მხოლოდ რაღაც მომენტში და არა გარკვეული ხნის განმავლობაში (დროის ხანგრძლივობის კონოტაცია) და „შიშით, ძრწოლით, ზიზღით კანკალს“ (ანუ აქვს როგორც მიზეზის, ასევე ემოციური კონოტაციები).

როგორც ვნახეთ, ამ ორ სიტყვას აქვს საერთო დენოტატი, რის საფუძვლზეც ისინი შეიძლება მიჩნეულ იქნენ სინონიმებად. მაგრამ ისინი ერთმანეთისაგან განსხვავდებიან კონოტაციური ელემენტებით. სინონიმის ამგვარი გაგება ეფუძნება სემანტიკურ კრიტერიუმს.

თანამედროვე ლინგვისტიკაში არსებობს კიდევ სხვა კრიტერიუმი, რის საფუძვლზეც სიტყვათა ჯგუფი შეიძლება ჩაითვალოს სინონიმებად. მას „ურთიერთჩანაცვლების“ (interchangeability) კრიტერიუმი ეწოდება. შეიძლება თუ არა სინონიმების ურთიერთჩანაცვლება? არსებობს მოსაზრება, რომ ზოგიერთ კონტექსტში ეს შესაძლებელია. თუმცა თითქმის შეუძლებელია მოინახოს ისეთი სინონიმები, რომლებიც ერთმანეთს სრულად ჩაენაცვლებოდნენ. რომელი სინონიმთა ჯგუფიც არ უნდა ავიღოთ, ძალზედ ძნელია მოინახოს სინონიმი, რომლის მნიშვნელობა აბსოლუტურად ემთხვეოდეს მეორისას.

როგორც წესი, სინონიმთა ჯგუფში ერთ-ერთი წევრი დომინანტია. „დომინანტური სინონიმი“ ეწოდება სიტყვას, რომლის დენოტაცია საერთოა ყველა დანარჩენი ჯგუფის წევრისთვის; აქვს ფართო მნიშვნელობა, რომელიც მეტ-ნაკლებად მოიცავს დანარჩენი სინონიმების მნიშვნელობებს; გაცილებით უფრო ხშირად გამოიყენება მეტყველებაში, ვიდრე მისი ჯგუფის წევრი სხვა სინონიმები; მისი მნიშვნელობა ნაკლებად (უმეტეს შემთხვევაში, არ შეიცავს კონოტაციას). მაგალითად, ავიღოთ სინონიმთა ჯგუფები:

to make - to create - to manufacture - to fabricate

bad- awful – terrible - dreadful


დომინანტი სინონიმები ზემოთ მოცემულ ჯგუფებში იქნებიან “to make” და “bad” - გამომდინარე დომინანტური სინონიმის ზემოთ ჩამოთვლილი თვისებებიდან.

სინონიმებისაგან განსხვავებით, **ანტონიმები** საპირისპირო მნიშვნელობის სიტყვებია. ასევე, განსხვავებით სინონიმებისაგან, რომლებიც ჯგუფებად ერთიანდებიან, ანტონიმები, ჩვეულებრივ, წყვილების სახით არსებობენ (good-bad; hot-cold). თუმცა ეს ყოველთვის ასე არ არის და ანტონიმების სხვა ტიპიც შეიძლება გამოიყოს, რომლებიც სხვადასხვა გრადაციის ხარისხით ხასიათდებიან (hot – warm – cold).

ანტონიმთა უმეტესობა ზედსართავი სახელია. მეორე ადგილზეა ზმნები. არსებითი სახელებში კი უფრო ნაკლებია მათი არსებობა.

ჩვენ უკვე ვილაპარაკეთ იმის შესახებ, თუ რა არის სიტყვის მნიშვნელობა. მაგრამ სიტყვას შეიძლება ჰქონდეს არა მხოლოდ ერთი, არამედ რამდენიმე მნიშვნელობა. სიტყვათა რაოდენობა და რეფერენტთა რაოდენობა არ არის შესატყვისი და ეს ყველა ენაში განსხვავებულია. სიტყვას, რომელსაც აქვს რამდენიმე მნიშვნელობა, ეწოდება „**პოლისემანტური**“, ხოლო მოვლენას, როდესაც სიტყვებს აქვთ ერთზე მეტი მნიშვნელობა - „**პოლისემია**“. ინგლისურ ენაში პოლისემია მეტად განვითარებული მოვლენაა. უმეტესი ინგლისური სიტყვებისა სწორედ პოლისემანტურია. პოლისემანტური სიტყვის სემანტიკური სტრუქტურის ანალიზი შეიძლება ანალიზის ორ ძირითად დონეს დაეყრდნოს:

პირველ დონეზე პოლისემანტური სიტყვის სტრუქტურა შეისწავლება როგორც მნიშვნელობათა სისტემა. ეს ის შემთხვევაა, როდესაც გამოიყოფა ერთი ძირითადი მნიშვნელობა (ე.წ. „**მთავარი მნიშვნელობა**“) და დანარჩენი მნიშვნელობები დაკავშირებულია მასთან. მაგალითად, ავიღოთ ინგლისური სიტყვა *family*, რომლის მნიშვნელობათა სქემა შეიძლება ამგვარი სახით წარმოვადგინოთ:



and their children

4.

<p>II</p> <p>the spouse and children of one person</p> <p>e.g. We're taking the family on vacation next week</p>	<p>III</p> <p>descendants of a common ancestor</p> <p>e.g. The house has been owned by the same family for 300 years.</p>	<p>IV</p> <p>a group of related things (languages, plants, animals, etc.)</p> <p>e.g. language family; cabbage family, lion family, etc.</p>	<p>V</p> <p>a local organizational unit of the Mafia or other large criminal group</p>
--	---	--	--

როგორც ვხედავთ, პირველი მნიშვნელობა მოიცავს („ფარავს“) ყველა დანარჩენ „მონათესავე“ მნიშვნელობას. ყველა დანარჩენი მნიშვნელობა დაკავშირებულია სწორედ პირველ მნიშვნელობასთან და მისგან გამომდინარეობს. პოლისემანტურ სიტყვათა უმრავლესობა სწორედ ამ ტიპს განეკუთვნება (როდესაც ერთი მთავარი მნიშვნელობა დომინირებს დანარჩენ მნიშვნელობებზე).

მაგრამ ყოველთვის ასე არ ხდება და ზოგიერთ პოლისემანტურ სიტყვას ასეთი ცენტრი, ანუ ძირითადი მნიშვნელობა არა აქვს თავის სტრუქტურაში. მაგალითად, ავიღოთ სიტყვა “smart”:

1. clean, tidy, and well dressed (person) (e.g. you look very smart)
2. clever, skillful (smart answer, smart officer)
3. fashionable (e.g. clothes)
4. quick, brisk (e.g. go for a smart walk)
5. severe (e.g. smart punishment)

როგორც ვხედავთ აქ დომინანტ მნიშვნელობას ვერ გამოვკვეთავთ, რომელსაც მიემართებიან დანარჩენი მნიშვნელობები, მაგრამ სამაგიეროდ, აშკარად ვხედავთ, რომ იკვეთება რაღაც საერთო, რაც შეიძლება აერთიანებდეს ყველა ამ მნიშვნელობას

და საერთო არის რაღაცის ინტენსივობის, რაღაცის არა ნაკლებობის კომპონენტი: („ადამიანი იყოს კარგად და სუფთად ჩაცმული“, „ტანსაცმელი იყოს მოდური და მოხდენილი“; „მოძრაობდე სწრაფად“; „სასჯელი იყოს მკაცრი“). ასეთ შემთხვევაში ის, რაც ერთმანეთთან აკავშირებს ამ სიტყვის მნიშვნელობებს, არის კომპონენტი, რომელიც საერთოა ყველა მისი მნიშვნელობისათვის (მოცემულ შემთხვევაში ეს არის „რაღაცის არა ნაკლებობის“ და „ინტენსივობის“, რაც შეიძლება გამოვლინდეს კომპონენტური ანალიზის შედეგად).

საკმაოდ რთული პრობლემაა პოლისემანტური სიტყვების ომონიმებისაგან გარჩევა. პოლისემანტური სიტყვისაგან განსხვავებით, რომელსაც ან აქვს ერთი ცენტრალური (ძირითადი) მნიშვნელობა და მოიცავს დანარჩენ მნიშვნელობებს, ან გამოიყოფა კომპონენტი, რომელიც საერთოა ყველა მნიშვნელობისათვის, ომონიმები სრულიად შემთხვევით ხასიათს ატარებენ, მათ მნიშვნელობებს ერთმანეთთან საერთო არაფერი აქვს, მაგალითად, სიტყვები “bank” (*ბანკი*) და “bank” (*მდინარის პირი*) ან “match” (*მატჩი*) და “match” (*ასანთი*). ეს დამთხვევა შეიძლება განპირობებული იყოს ფონეტიკური დამთხვევით, სიტყვების სესხებით (ზემოთ მოყვანილ მაგალითებში “bank” (*ბანკი*) იტალიური ნასესხობაა, ხოლო “bank” (*მდინარის პირი*) ადგილობრივი ინგლისური სიტყვა; ასევე “match” (*ასანთი*) ფრანგულიდან ნასესხები სიტყვაა, ხოლო “match” (*მატჩი*) ადგილობრივი ინგლისური სიტყვა) და ა.შ.³²

ვიმსჯელოთ შემდეგ საკითხებზე:

1. რა არის სინონიმია?
2. რატომ არის სემანტიკური კრიტერიუმი ყველაზე მნიშვნელოვანი სინონიმის განსაზღვრისას თანამედროვე ლინგვისტიკაში?
3. რამდენად არის შესაძლებელი სინონიმების ურთიერთჩანაცვლება? დაასახელეთ მაგალითები.
4. რა არის პოლისემია? იგი დადებითი თუ უარყოფითი მოვლენაა ენაში?
5. როგორ შეიძლება გავანალიზოთ პოლისემანტური სიტყვის სემანტიკური სტრუქტურა?
6. რა არის ომონიმია? რითი განსხვავდება პოლისემია და ომონიმია ერთმანეთისაგან და რატომ არის ხოლმე მათი გარჩევა პრობლემა?
7. რა ტიპის ომონიმებს იცნობთ?

დანართი 1

ინგლისურ ენაში გამოყოფენ შემდეგი სახის ომონიმებს:

სრულ ომონიმებს - ერთნაირად იწერება და ერთნაირად წარმოითქმის (როგორც მაგალითად, bank – bank);

ჰომოფონებს (homophones) – ერთნაირად წარმოითქმის, მაგრამ განსხვავებულად იწერება (მაგალითად, sea – see; I- eye; night- knight);

ჰომოგრაფებს - ერთნაირად იწერება, მაგრამ სხვაგვარად წარმოითქმის (მაგალითად, bow –bow; tear – tear).

ლექცია 13

ენობრივი სისტემის სინტაქსური დონე: წინადადება როგორც სინტაქსური დონის ძირითადი ერთეული

როგორც ვიცით, ენობრივ ნიშანთა იერარქიაში ლექსიკურ დონეს, რომლის ძირითადი ერთეულია სიტყვა, მოსდევს სინტაქსური დონე, რომლის ძირითადი ენობრივი ერთეული არის წინადადება. თუ მორფოლოგია შეისწავლის როგორ არის სიტყვა აგებული, სინტაქსი შეისწავლის სიტყვათა კომბინაციებს წინადადებაში - წინადადების რაობას და როგორობას. ეს ორი სფერო - მორფოლოგია და სინტაქსი - ურთიერთდაკავშირებულია და ორივე მათგანი გრამატიკის ქვესისტემას წარმოადგენს.

თავდაპირველად, გავიხსენოთ წინადადების როგორც ენობრივი ნიშნის ფუნქცია. თუ სიტყვა ასახელებს სინამდვილის ამა თუ იმ სეგმენტს, წინადადება ასახელებს სიტუაციას (ახდენს სიტუაციის ნომინაციას), ანუ ასახელებს სინამდვილის ისეთ მოვლენას თუ ფაქტს, რომელიც შედგება სიტყვების მიერ დასახელებული სეგმენტებისაგან. თუმცა მთავარია არა ის, თუ რამდენი სიტყვისაგან შედგება წინადადება, არამედ ის, რომ იგი მიუთითებდეს სიტუაციას და ასახელებდეს მას. შესაბამისად, წინადადება შეიძლება იყოს ერთსიტყვიანიც, მაგ. „თოვს“. „გილოცავ!“

როგორც ითქვა, **სინტაქსი** იკვლევს ენობრივი სისტემის იმ დონეს, რომლის ძირითად ერთეულს წარმოადგენს წინადადება. მაგრამ წინადადების კვლევის ტრადიცია არსებობდა ენობრივი სისტემის დონეებრივ ხედვამდეც. სინტაქსი ტრადიციულად იკვლევდა წინადადების ტიპებს და წინადადების ამა თუ იმ წევრს (ქვემდებარეს, დამატებას და ა.შ.). ამდენად, თანამედროვე ლინგვისტიკა ეყრდნობა როგორც სისტემური პარადიგმის ფარგლებში წარმოდგენილ დონეებრივ ხედვას წინადადების შესახებ, ასევე იმ ტრადიციასაც, რაც მანამდე არსებობდა წინადადების კვლევისას.

როგორც გვახსოვს, წინადადება სისტემური პარადიგმის ფარგლებში ენობრივი დონეების იერარქიაში უმაღლესი დონის ნიშნობრივ ერთეულად მიიჩნეოდა. ხოლო როდესაც მოხდა სისტემური პარადიგმიდან კომუნიკაციურ პარადიგმაზე გადასვლა, ენობრივი სისტემის უმაღლეს ერთეულად აღიარებულ იქნა არა წინადადება, არამედ ტექსტი. შესაბამისად, სინტაქსიც დაიყო ორ დონედ:

მიკროსინტაქსი, რომელიც შეისწავლის წინადადებას ამ სიტყვის ტრადიციული გაგებით, ანუ შეისწავლის წინადადების ისეთ კომპონენტთა ფუნქციებს, რომელთაც წინადადების ფარგლებში ასრულებენ სიტყვებით გამოხატული წევრები (ანუ იკვლევს წინადადების ამა თუ იმ შესაძლო წევრს (ქვემდებარეს, დამატებას და ა.შ.);

მაკროსინტაქსი (ანუ იგივე **ტექსტის სინტაქსი**), რომელიც შეისწავლის უკვე ტექსტს, რომლის ფარგლებში თავად წინადადებები ასრულებენ ისეთ ფუნქციას, რომელსაც წინადადებაში ასრულებენ სიტყვებით გამოხატული წინადადების წევრები.

ამდენად, თანამედროვე ლინგვისტიკისათვის მნიშვნელოვანია, რომ სინტაქსი დავინახოთ არა მხოლოდ წინადადების როგორც მოცემული დონის ენობრივი ნიშნის შემსწავლელი ის დარგი, რომელიც გამოყო სისტემურმა ენათმეცნიერებამ, არამედ უფრო ფართოდ - ერთი მხრივ, იმ ტრადიციის გათვალისწინებით, რაც მანამდე არსებობდა ენობრივ ერთეულთა კვლევისას, მეორე მხრივ კი, კომუნიკაციურ განზომილებაში (სადაც წინადადება უკვე შეისწავლება როგორც ისეთი გამონათქვამი, რომლის კვლევა შესაძლებელია მხოლოდ ტექსტის ფარგლებში).

ისევე, როგორც ენის ლექსიკურ სისტემაში გვაქვს სიგნიფიკატი, რომელიც მეტყველებაში შეიძლება იქცეს რეფერენტად, ასევე ენის სინტაქსურ სისტემაში გვაქვს წინადადების მოდელები, რომლებიც კონკრეტულ სახეს (ანუ სიტყვებით შევსებულ სახეს) იღებენ მეტყველებაში (ენობრივი კომუნიკაციის პროცესში).

წინადადებათა ეს მოდელები (ანუ სინტაქსური მოდელები) შეიძლება საფუძვლად დაედოს მეტყველებაში (ენობრივი კომუნიკაციის პროცესში) წინადადებათა უსასრულო რაოდენობის წარმოშობას. მაგალითად, ავიღოთ წინადადება „ქალი მიდის ქუჩაში“. ის სინტაქსური მოდელი, რომელიც საფუძვლად უდევს ამ კონკრეტულ წინადადებას, შეიძლება რეალიზდეს მრავალ სხვა კონკრეტულ წინადადებად: „ბავშვი მიდის სკოლაში“, „დედას სძინავს ოთახში“, „სტუდენტი წერს აუდიტორიაში“ და ა.შ.

წინადადებათა ჩვენთვის კარგად ცნობილი სახეები (ტიპები) **აგებულების** მიხედვით, როგორცაა მარტივი, შერწყმული და რთული (თანწყობილი და ქვეწყობილი), წინადადებები, ეფუძნებიან ენის სისტემაში არსებულ სინტაქსურ მოდელებს.

ენის სისტემაში არსებულ სინტაქსურ მოდელებს ეფუძნება ასევე წინადადებათა კლასიფიკაცია მათი **კომუნიკაციის ტიპის** მიხედვით, როგორცაა თხრობითი, კითხვითი და ძახილის წინადადებები. მაგრამ იმისდა მიხედვით, თუ როგორია კომუნიკაციის კონკრეტული მიზნობრივი ფუნქცია, კომუნიკაციურად ორიენტირებულ ლინგვისტიკაში წინადადება გაიგება უკვე როგორც ამ ფუნქციის შესაბამისი **გამონათქვამი**. თუ ენის სისტემაში წინადადებები წარმოადგენენ ენის ერთეულებს, ენის აქტუალიზაციის დონეზე - ისინი მეტყველების ერთეულებად იქცევიან. სწორედ მეტყველების ამ მინიმალურ ერთეულს ეწოდება „გამონათქვამი“.

ნებისმიერი გამონათქვამის მნიშვნელობა შეიძლება დაკონკრეტდეს მხოლოდ გარკვეულ კომუნიკაციურ კონტექსტში. მაგალითად, ავიღოთ ამგვარი წინადადება:

„პროფესორმა დააგვიანა“. მიუხედავად იმისა, რომ ქართული ენის ცოდნა გვაძლევს იმის შესაძლებლობას გვესმოდეს ამ წინადადების სემანტიკა - მისი მნიშვნელობა, იგი არ უდრის იმ მნიშვნელობას, რომლითაც ის მეტყველებაში შეიძლება გამოვიყენოთ. კონტექსტმა კი შეიძლება გვაჩვენოს, რომ ეს წინადადება შეიცავს შემდეგ გამონათქვამებს:

აგვიანებს ჩვენი პროფესორი (და არა ნებისმიერი პროფესორი).

პროფესორი აგვიანებს ლექციაზე (და არა რესტორანში).

როგორც ითქვა, გარკვეული სიტუაციის დასახელება ხდება წინადადების საშუალებით. თანამედროვე ლინგვისტიკაში ადგილი აქვს წინადადების მიერ ნომინირებული სიტუაციის ხდომილებრივ აღქმას, ე.ი. სიტუაცია აღიქმება უფრო როგორც დინამიკური და არა სტატიკური ფაქტი. შესაბამისად კი, წინადადების ძირითად წევრად აღიქმება შემასმენელი, ანუ წინადადების ის წევრი, რომელიც ძირითადად ზმნით გამოიხატება. სწორედ ამიტომ ენათმეცნიერებაში გაჩნდა წინადადების თანამედროვე კონცეფცია, რომელსაც „ვერბოცენტრიზმი“ ეწოდება. ვერბოცენტრისტული თეორიის თანახმად, წინადადების ცენტრი იქნება შემასმენელი (პრედიკატი). „ზმნა თავისი მნიშვნელობით ყველაზე მეტად უახლოვდება წინადადებას. უფრო მეტიც, შეიძლება ითქვას, რომ წინადადება - ეს არის გაშლილი ზმნა, ყოველი ზმნა - ეს არის შეკუმშული წინადადება. ამდენად, ზმნა წინადადების სტრუქტურული და სემანტიკური ცენტრია (ვერბოცენტრისტული თეორია). ამავე დროს ყოველი ხდომილება გულისხმობს მონაწილეებს, რომელთა გარეშე იგი ვერ განხორციელდება: ლუსიენ ტენიერის სიტყვებით, „წინადადება - ესაა პატარა დრამა, რომლის მონაწილენიც არიან ზმნის გარშემო შემოკრებილი აქტანტები.“³³

როგორც ვხედავთ, სიტუაციის ამგვარმა ხდომილებრივ-ვერბოცენტრისტულმა ხედვამ შემოიტანა ისეთი ახალი სინტაქსური ტერმინი, როგორცაა „აქტანტი“. რას წარმოადგენენ „ზმნის გარშემო შემოკრებილი აქტანტები“? აქტანტებია სუბიექტი და ობიექტი (პირდაპირი და ირიბი). აქტანტების რაოდენობის მიხედვით იზომება ზმნის ვალენტობა. ეს უკანასკნელი არის ზმნის უნარი მიიერთოს გარკვეული რაოდენობის აქტანტები. ტერმინი „ვალენტობა“ აღებული ქიმიიდან, სადაც, როგორც ვიცით ვალენტობა არის ატომის უნარი მიიერთოს სხვა ატომების გარკვეული რაოდენობა. ამდენად, ამა თუ იმ წინადადების ფარგლებში პრედიკატს როგორც წინადადების ფუნქციურ ცენტრს შეიძლება დაუკავშირდეს ამა თუ იმ რაოდენობის აქტანტი, რისი გათვალისწინებთაც ლაპარაკობენ ზმნის ვალენტობაზე. შესაბამისად, თუ ზმნა შეიწყობს ერთ აქტანტს, იგი ერთვალენტია (mono-valent), მაგ. walk, run, die; თუ ორ აქტანტს - ორვალენტია (di-valent) - love, watch, see, kiss, მაგ. David kissed his girlfriend; თუ სამ აქტანტს - სამვალენტია (tri-valent), მაგ. give, send, hand, მაგ. Tom gave his girlfriend a ring; თუ ზმნა არც ერთ აქტანტს არ შეიწყობს, მაშინ ის უვალენტია (avalent), როგორც მაგალითად, მეტეოროლოგიური ზმნები - rain, snow (it's raining).

³³ მ. გვენცაძე, ლინგვისტური გერმანისტიკა, თბილისი, 2009

ვიმსჯელოთ შემდეგ საკითხებზე:

- 1.რა არის წინადადების როგორც ენობრივი ნიშნის ფუნქცია?
- 2.რას შეისწავლის მაკროსინტაქსი?
- 3.რას შეისწავლის მიკროსინტაქსი?
- 4.რას ნიშნავს წინადადების მოდელის (სინტაქსური მოდელის) ცნება?
- 5.რა განსხვავებაა წინადადებასა და გამონათქვამს შორის?
- 6.რას ნიშნავს ტერმინი „ვერბოცენტრიზმი“?
- 7.განმარტეთ ტერმინი „აქტანტი“.

ლიტერატურა:

1. გვენცაძე მ., ლინგვისტური გერმანისტიკა, თბილისი, ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის გამომცემლობა, 2009.
2. თევდორაძე ნ., ტექსტის ლინგვისტიკა, თბილისი, ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის გამომცემლობა, 2010.
3. ლებანიძე გ. ლექციები ენათმეცნიერების შესავალსა და ზოგად ენათმეცნიერებაში, თბ., „ენა და კულტურა“, 1997.
4. ლებანიძე გ. ანთროპოცენტრიზმი და კომუნიკაციური ლინგვისტიკა, თბილისი, „ენა და კულტურა“, 1998.
5. ნებიერიძე გ., ენათმეცნიერების შესავალი, თბილისი, 1991.
6. .ფ.დე სოსიური, ზოგადი ენათმეცნიერების კურსი, თბილისი, 2002.
7. O'Grady W., Contemporary Linguistics: An Introduction, Bedford/St. Martin's, 2000.
8. W.G. Widdowson, Linguistics, Oxford University Press, 1996.
9. Widdowson W.G., Discourse Analysis, Oxford University Press, 2007.
10. . Сусов И.П., Введение В Языкознание, М., 2008.